ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ბალათურია ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს გვ.4

დეპუტატი პენსიის 150 ლარამდე გაზრდას მოითხოვს



პარასკევი, 20 ნოემბერი, 2009 №300 (5041) ფასი: 30 თეთრი

# სკანდალურმა შალვა რამიშვილმა „სიმართლის დრო“ სკანდალურად დატოვა



გვ.2 რა მოხდა „იმედში“?

## კონსერვატორებმა მერობის კანდიდატად ძიძიგური დაასახელეს

ოპოზიცია ირაკლი ალასანიას პასუხს სთხოვს გვ.2



## ცესკოში ყველა პარტიას თითო ხმა უნდა ჰქონდეს გვ.2

## ალასანიას ალიანსი პრაიმერზე თანახმაა გვ.3

სააკაშვილი პრეზიდენტობიდან თავისი სურვილით არ წავა





## ცოტნე გამსახურდიას არავინ დაუჭერია გვ.6

რატომ არ დაკითხეს დაჭრილი დავით ბაჯელიძე

## ბელორუსია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობას“ არ აღიარებს გვ.5



## ალასანიას პარლამენტში ახალი გვ.5 ფრაქციის შექმნა უნდა



## ამერიკა სააკაშვილის ალტერნატივას ეძებს გვ.7



## სააკაშვილს მერკელი და სარკოზი გვ.4 აღარ იღებენ

## მოხევეები ლარსის გამშვები პუნქტის გახსნას ეწინააღმდეგებიან გვ.6

2 ოსმა სეპარატისტებმა ერგნეთის შეხვედრა ჩაშალეს

4 თამარაშვილის ქუჩაზე მეეზოვე დაჭრეს

2 საქართველოში შემოტანილი „ტამიფლუ“ ვადაგასული არ არის

5 თელავის უნივერსიტეტიდან გათავისუფლებულმა ლექტორებმა სასამართლოს მიმართეს

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კონსერვატორებმა მერობის კანდიდატად ძიძიგური დაასახელეს

თეა მარხვაი ე

**2008 წლის საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დროს ოპოზიციამ სერიოზული შეცდომა დაუშვა. ნაციონალებთან დაპირისპირება ერთიანი გუნდით ვერც ერთ არჩევნებზე ვერ შეძლეს, ამასთან, ვერც ის მოახერხეს, რომ ერთმანეთისთვის პრობლემები არ შეექმნათ, რითაც, რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ისარგებლა. საპარლამენტო არჩევნები, მართალია, გაყალბდა, მაგრამ იქ ნაჩვენები სამარცხვინო შედეგი ოპოზიციამ თავის თავს უნდა დააბრალოს.**



შარშანდელი შეცდომის დაშვებას ოპოზიცია მომავალი წლის თვითმმართველობის არჩევნებზე აღარ აპირებს, ყოველ შემთხვევაში, ერთმანეთს ამისკენ მოუწოდებენ.

საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, რომ ეს მოწოდებები მოწოდებებად დარჩება. ოპოზიციური კანდიდატები კი კვლავ ერთმანეთს დაუპირისპირდებიან. მოგეხსენებათ, რომ ჩვენებურ ოპოზიციაში ამბიციური ხალხია. შესაბამისად, გასაკვირი არ არის, ყველა პარტიის ლიდერს მერობის სურვილი რომ გაუჩნდეს.

ორიოდე თვის წინ კონსერვატორებმა საკმაოდ საინტერესო იდეა გააჟღერეს. კონსერვატორებმა ოპოზიციის შიგნით პრაიმერის ჩატარების იდეა გაახმაურეს. მათი თქმით, ოპოზიციის საერთო კანდიდატი სწორედ პრაიმერის მეშვეობით უნდა გამოვლენილიყო.

მაშინ ვრცელდებოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კონსერვატორები მერის პოსტზე სოზარ სუბარის კანდიდატურის წამოყენებას აპირებდნენ. ეს ხმები მანამდე გავრცელდა, სანამ სუბარი სახალხო დამცველის პოსტს დატოვებდა.

სახალხო დამცველობიდან წამოსული სუბარი პირდაპირ ალასანიას „ალიანსში" აღმოჩნდა. მის გადასაბირებლად, როგორც ამბობენ, ალასანიას დიდი ჯაფა დასდგომია. ისე, იმ პერიოდში ირაკლი ალასანია სხვა ოპოზიციონერებთანაც აქტიურ მოლაპარაკებებს მართავდა თურმე.

როგორც ოპოზიციაში ამბობენ, ალასანია მათ ეუბნებოდა, რომ ის იყო სააკაშვილის ალტერნატივა. უთქვამს ისიც, რომ ამერიკელები მას მხარს უჭერდნენ. ვილაცები ალასანიას განცხადებით დაინტრიგდნენ, მაგრამ სხვა ბოროტმა ოპოზიციონერებმა გააბაზრეს, მაგას ბრაიზა კრიშავდაო. ასე იყო თუ ისე, ალასანიამ მხოლოდ სუბარი გადაიყვანა თავის რიგებში.

ამის შემდეგ საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც გვაუწყა, რომ ის მერობის კანდიდატი იქნებოდა, ხოლო სუბარი — საკრებულოს თავმჯდომარეობის. ოპოზიციაში ალასანიას სამერო ამბიციებს დიდი აღშფოთება მოჰყვა. რამდენიმემ ისიც კი თქვა, ეგ ალასანია ოპოზიციაში სააკაშვილის მიერ არის შემოგზავნილიო. ხმამაღლა და სერიოზულად გაეროში საქართველოს ყოფილ ელჩს არავინ დაპირისპირებია.

## ოპოზიცია ირაკლი ალასანიას პასუხს სთხოვს

გუშინ ირაკლი ალასანიას კონსერვატორებმა საგანგებოდ მიმართეს და მოითხოვეს, რომ მან პრაიმერთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსიროს. მართალია, ალასანიას სამერო პრეტენზიები ღიად აქვს გაცხადებული, მაგრამ ბოლომდე არც პრაიმერზე უთქვამს უარი.

ამიტომაც კონსერვატორების ერთ-ერთი ლიდერი, ზვიად ძიძიგური, ალასანიას პრაიმერთან დაკავშირებით ღიად სთხოვს პოზიციის დაფიქსირებას. თავად ძიძიგური ღიად აფიქსირებს, რომ პრაიმერში ის იქნება კონსერვატორების მერობის კანდიდატი.

ძიძიგურის წარდგენა გუშინ ჭადრაკის სასახლეში გაიმართა. წარდგენის ცერემონიალს სხვა ლიდერებიც ესწრებოდნენ, რომლებიც ასევე მხარს უჭერენ პრაიმერის ჩატარების იდეას. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც მერობაზე სერიოზული პრეტენზიები გააჩნიათ.

ჭადრაკის სასახლეში გამართულ თავყრილობას ესწრებოდა ლევან გაჩეჩილაძეც, რომელსაც, როგორც ამბობენ, მერობის ყველაზე მაღალი შანსები აქვს. 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებში მან პირწმინდად მოუგო თბილისში მიხეილ სააკაშვილს.

ამის შემდეგ ნაციონალებმა დაამკვიდრეს ახალი ფრაზა: „საქართველო მარტო თბილისი არ არის". თუმცა გაჩეჩილაძემ სააკაშვილი სხვა დიდ ქალაქებშიც დაამარცხა. მარტო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით გაჩეჩილაძის მერობის პოსტზე დაყენება, ალბათ, უპრიანი არ იქნება.

საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე თვეში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, სადაც გაჩეჩილაძემ კენჭი სამგორის რაიონში იყარა. იქ გაჩეჩილაძემ არჩევნები წააგო.

ამის მიუხედავად, გაჩეჩილაძის ფანები მიიჩნევენ, რომ ის თბილისს ისევ მოიგებს, მაგრამ ამისთვის ჯერ მისი კანდიდატურა უნდა იქნეს წამოყენებული, შემდეგ კი პრაიმერში გაიმარჯვოს.

მისგან განსხვავებით, ზვიად ძიძიგური „საპრაიმეროდ" უკვე მზად არის. თანაპარტიელების სახელით მან განაცხადა, რომ კონსერვატორები ხელისუფლებასთან ბრძოლის ახალ ეტაპზე გადადიან.

— კონსერვატიული პარტია აქტიური პოლიტიკური ბრძოლის მორიგ ეტაპზე გადადის. ჩვენთვის ადგილობრივი არჩევნები სააკაშვილის ხელისუფლებიდან წასვლის საშუალებაა და არა კანალიზაციების მოწესრიგებისა, — განაცხადა ზვიად ძიძიგურმა.

კონსერვატორების ლიდერმა ოპოზიციის შეცდომებზეც ისაუბრა. მისი თქმით, ახლა ოპოზიციამ სულ სხვანაირად უნდა იმოქმედოს.

— მთავარია ერთობა და ოპოზიციამ ის შეცდომა არ უნდა გაიმეოროს, რაც ჯერ საპრეზიდენტო, შემდეგ კი საპარლამენტო არჩევნების დროს დაუშვა, — აღნიშნავს ძიძიგური.

მისი აზრით, ამ ერთობაზე ყველა ოპოზიციონერმა უნდა იზრუნოს. ძიძიგურის თქმით, პოლიტიკური კეკლუცობა ოპოზიციისთვის დამღუპველი იქნება.

— არჩევნების შედეგი იქნება დასაცავი. უკან დახევას არ ვაპირებთ. ირაკლი ალასანიას მოვუწოდებ, აქტიურად დააფიქსიროს თავისი პოზიცია პრაიმერთან დაკავშირებით. სხვა პარტიებს მოვუწოდებ, ახლა პოლიტიკური კეკლუცობის დრო არ არის. ვინც არჩევნებში აპირებს მონაწილეობას, ღიად დააფიქსიროს ეს, — აღნიშნა ძიძიგურმა.

ოპოზიცია რომ ერთიანი უნდა იყოს, ამაზე სხვა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## ოსმა სეპარატისტებმა ერგნეთის შეხვედრა ჩაშალეს

ოკუპირებული ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა დღეს ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების ფარგლებში დაგეგმილი შეხვედრა ჩაშალეს.

შეხვედრაზე ქართულ მხარეს ცხინვალში დაკავებული მოზარდების გათავისუფლების საკითხი უნდა დაეყენებინა.

სეპარატისტები ერგნეთის შეხვედრის ჩაშლით, ჯერ კიდევ ჟენევის კონსულტაციების მერვე რაუნდის მიმდინარეობისას დაიმუქრნენ. კოკოითის სეპარატისტული მთავრობა ოსი მოქალაქეების გაუჩინარებაში ქართულ მხარეს ადანაშაულებს. როგორც მათ ჟენევაში განაცხადეს, თუ ქართული მხარე დაკარგულ ოს მოქალაქეებს არ გაათავისუფლებდა, ერგნეთის შეხვედრას ჩაშლიდნენ.

მედიანიუსი

## მიტოვებული სომხური ეკლესიის გუმბათი ჩამოინგრა

თბილისში ახოსპირელის ქუჩის 6-ში მდებარე მიტოვებული სომხური ეკლესიის გუმბათი ჩამოინგრა. ნგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია. როგორც „მედიანიუსს" საგანგებო სიტუაციათა სამსახურში განუცხადეს, აღნიშნულთან დაკავშირებით შეტყობინება გუშინ გამთენიისას 04.18. საათზე შევიდა. შემთხვევის ადგილზე ორი სამაშველო ჯგუფი იმყოფებოდა.

როგორც სამაშველო სამსახურში განმარტეს, გუმბათის ჩამონგრევის შემდეგ საშიშროება იყო კიდევ ერთი კედლის ჩამონგრევის. სწორედ ამის გამო მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა ეკლესიასთან ახლოს მცხოვრები ორი ოჯახის ევაკუაცია მოახდინეს.

მედიანიუსი

## საქართველოში შემოტანილი „ტამიფლუ" ვადაგასული არ არის

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც, საქართველოში ვადაგასული პრეპარატი „ტამიფლუ" არის შემოტანილი. როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, ასეთი ინფორმაცია გუშინწინ ზოგიერთმა პოლიტიკოსმა გაავრცელა.

— საქართველოში შემოტანილი „ტამიფლუს" არცერთი კაფსულა ვადაგასული არ არის. ყველა პოლიტიკოსს მოვუწოდებ, საკუთარი ამბიციის დასაკმაყოფილებლად ამ თემას პოლიტიკური ქულებისათვის ნუ გამოიყენებს, — აღნიშნა ალექსანდრე კვიტაშვილმა და დასძინა, რომ რეიტინგის ასამაღლებლად ტყუილის თქმა დიდი შეცდომაა. მისივე თქმით, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მოსახლეობაში პანიკის დათესვა ისეთი უბედურებაა, როგორიც უკრაინაში მოხდა.

შეგახსენებთ, რომ პრეპარატი „ტამიფლუ" ახალი ტიპის გრიპის ვირუსის სამკურნალოდ გამოიყენება.

მედიანიუსი

# სკანდალურმა შალვა რამიშვილმა „სიმართლის დრო" სკანდალურად დატოვა

## რა მოხდა „იმედში"?

თეა მარხვაი ე



სკანდალური შალვა რამიშვილის გარშემო ისევ სკანდალი აგორდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ მან ტელეკომპანია „იმედი" დატოვა. თბილისში მაშინვე გავრცელდა ჭორი, რომ რამიშვილის წასვლა მარინა სალუქვაძესთან დაკავშირებულ სკანდალს უკავშირდება.

თავის გადაცემაში შალვა რამიშვილმა „ტაბუს" ყოფილ წამყვანზე უხერხული კითხვა დასვა, რამაც მარინა სალუქვაძის აღშფოთება გამოიწვია. სალუქვაძემ რამიშვილისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სასამართლოში ჩივილსაც არ გამორიცხავს.

მთელი დღის განმავლობაში რამიშვილის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით უამრავი ჭორ-მართალი გავრცელდა. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ რამიშვილი „იმედიდან" საერთოდ გაუშვეს.

ეს ინფორმაცია ხალხისთვის ისეთივე მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორც თავის დროზე მისი „იმედში" მისვლა. საზოგადოება ელოდა, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ შალვა რამიშვილი რომელიმე ოპოზიციურ პარტიაში გაწევრიანდებოდა. ასევე უკვე სახელდებოდა ის ოპოზიციური ტელევიზიები, სადაც შალვა რამიშვილს შესაძლო იყო ემუშავა.

ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ის „იმედზე" წავიდოდა. ეგონათ, რომ ის ისეთივე სკანდალურ შოუს წაიყვანდა, როგორც ტელეკომპანია „202"-ზე მიჰყავდა. სწორედ იმ გადაცემით გახდა მაშინ ის ხელისუფლებისთვის მიუღებელი.

სკანდალური რამიშვილი სკანდალურად დააპატიმრეს. მან პატიმრობაში 4 წელი გაატარა. სახალხო დამცველმა რამდენჯერმე სთხოვა

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# ცესკოში ყველა პარტიას თითო ხმა უნდა ჰქონდეს

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი წევრი, ალეკო შალამბერიძე, ახალი ინიციატივით გამოდის. მისი თქმით, ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები 7 წევრით უნდა დაკომპლექტდეს იმ პარტიების წარმომადგენლებისგან, რომლებმაც ბოლო არჩევნებზე საუკეთესო შედეგი აჩვენეს.

შალამბერიძე ამ იდეის განხორციელებისთვის ხელმოწერების შეგროვებას იწყებს.

— არჩევნების ჩატარების წესები კვლავ პოლიტიკური დავიდარების საგანს წარმოადგენს, მაგრამ მთავარი საკითხი, თუ როგორ იქნება საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესი და რა თანაფარდობით ეყოლებათ პოლიტიკურ პარტიებს კომისიის წევრები წინასაარჩევნო კომისიებში, კვლავ დისკუსიის საგანს წარმოადგენს. პრეზიდენტი რომ წარადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სამ კანდიდატურას და ოპოზიციის წარმომადგენლებს უფლება ექნებათ, ამ სამიდან შეარჩიონ ერთი, ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე მიკერძოებული არ იქნება ამ სამი თავმჯდომარის კანდიდატურის შერჩევაში და საკითხი — მთავარია, ვინ ატარებს არჩევნებს, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, კვლავ ერთი პარტიის სასარგებლოდ რჩება. ამ ჩაკეტილი წრიდან უნდა გამოვიდეთ. ყოველი სახელისუფლებო არჩევნები ახალი ეტაპია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებაში, ვინაიდან ჩვენთან პრეზიდენტი, იმავდროულად, ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარეც არის, კანონის წინაშე, თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარე, როგორც თანასწორი სხვა პოლიტიკური პარტიების მიმართ თანასწორად უნდა მონაწილეობდეს საარჩევნო კომისიების დაკომპლექტებაში და ემორჩილებოდეს კანონს, დაფუძნებულს პარიტეტულ საწყისებზე შექმნილი საარჩევნო ადმინისტრაციების შესახებ, პრინციპით: „ერთი პარტია, ერთი ხმა", — აცხადებს შალამბერიძე.



წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოფილი დეპუტატი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარება არ შეიცვლება.

— ამ ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში საზოგადოება, რომლის ძირითადი და ხელშეუხებელი უფლებაც არის, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით აირჩიოს საკუთარი წარმომადგენლები სახელისუფლებო ორგანოებში, ამ უფლებას ვერ განახორციელებს და შეუძლებელი გახდება ჩვენი სხვა უფლების დაცვაც, — აცხადებს ალეკო შალამბერიძე.


ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru



რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ალასანიას ალიანსი პრაიმერზე თანახმაა

ნათია ხურცილავა

**ადგილობრივი არჩევნები, შეიძლება ითქვას, ხელისუფლებისთვის ლაკმუსის ქაღალდია. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, იმავეს თქმა შეიძლება „ალიანსი საქართველოსთვისაც". გაიმარჯვებს თუ არა „ალიანსი" თბილისში, ამაზე ბევრი რამე, მთელი მომავალი პოლიტიკა იქნება დამოკიდებული.**

მართალია, ადგილობრივი არჩევნები ჯერ მხოლოდ 30 მაისს მოარულად არის დანიშნული, მაგრამ ხელისუფლებამ და „ალიანსმა" წინასაარჩევნო კამპანია უკვე დაიწყეს.

ადგილობრივი არჩევნები შეიძლება გადამწყვეტი ბრძოლა აღმოჩნდეს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის.

„ალიანსი საქართველოსთვის" ერთ-ერთი ლიდერი, დავით გამყრელიძე, არ გამორიცხავს, რომ არჩევნების გაყალბების შემთხვევაში ამომრჩეველი ქუჩაში გავიდეს თავისი უფლების დასაცავად. ამ შემთხვევაში კი ისინი ამ პროტესტს სათავეში ჩაუდგებიან. გამყრელიძე აცხადებს, რომ ამ პროტესტს მხარს დემოკრატიული სამყარო დაუჭერს, როგორც ეს საქართველოში 2003 წელს მოხდა.

„ახალი თაობა" „ახალი მემარჯვენეების" ლიდერ დავით გამყრელიძეს ესაუბრა.

***— ბატონო დავით, ალიანსმა გადაწყვიტა, რომ ადგილობრივ არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა და ამ გზით ჩამოართვას ხელისუფლება სააკაშვილს. თუმცა, რამდენად რეალურია გამარჯვების მიღწევა? ექსპერტები ამბობენ, რომ ხელისუფლება არ დათმობს დედაქალაქს, ქვეყნის პოლიტიკურ ცენტრს...***

— არათუ მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს არის ერთადერთი გზა. სხვა გზა, სხვა გეგმა არ მომისმენია. არც ვიცი, როგორ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება არა მხოლოდ თბილისში, არამედ მთლიანად საქართველოში, თუ არა არჩევნების გზით, ასევე არჩევნების გაყალბების საფუძველზე ქუჩის საპროტესტო აქციებით. საქართველოს ისტორიაში ხელისუფლების შეცვლის სხვა გზაც იყო — ტანკების, ზარბაზნების გზა, რომელიც აღარ უნდა გამეორდეს და რომელმაც არათუ უკან დაგვხია, არამედ ქართულ სახელმწიფოებრიობას უზარმაზარი საფრთხე შეუქმნა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. დღეს მთელი საქართველოს მოაზროვნე საზოგადოება შეთანხმებულია, რომ ეს შეცდომა იყო და აღარ უნდა გამეორდეს. არჩევნებს ალტერნატივა არა აქვს. იმის თქმას, რომ არჩევნებს სააკაშვილის პირობებში აზრი არა აქვს, მივყავართ იქამდე, რომ უნდა დაველოდოთ, სანამ სააკაშვილი თავად არ გადადგება, სანამ პრეზიდენტობა არ მობეზრდება. ეს ცოტა არასერიოზულია. ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რა ტიპის არჩევნებია. თუნდაც ადგილობრივი არჩევნები შეიძლება ამ რეჟიმის დემონტაჟის დასაწყებად იქნეს გამოყენებული. თბილისის წართმევა, თბილისში გამარჯვება გახდება საფუძველი მთელ საქართველოში გამარჯვებისა, ამ რეჟიმის დემონტაჟისა.

***— ყველა შემთხვევაში მიიღებთ მონაწილეობას? 50-პროცენტიან ბარიერზე, რასაც თქვენ ითხოვთ, ხელისუფლება არ მოდის. ისინი 30 პროცენტს ითხოვენ. რამდენად რეალურია, რომ შეთანხმებას მიაღწიოთ? როგორც ვიცი, ხელისუფლება დათმობას არ აპირებს...***



## სააკაშვილი პრეზიდენტობიდან თავისი სურვილით არ წავა

— მინდა, რომ ამ ინტერვიუთი ვისარგებლო და საზოგადოებას განვუმარტო, რას ცდილობს ხელისუფლება. დღეს ხელისუფლება წარმოაჩენს ბარიერს, როგორც „ალიანსის" ახირებას, მაგრამ ხელისუფლების მიერ ამაზე უარის თქმა და 30 პროცენტზე საუბარი რეალურად მცდელობაა, საკუთარ შესაძლებლობებს, საკუთარ ინტერესებს მოარგონ კანონი, სისტემა. 50-პროცენტიანი ბარიერი არის ჩვეულებრივი, რომელიც გადაწყვეტს საკითხს. მარტივ მაგალითს გეტყვით: ნებისმიერ კრებაზე საკითხი მონაწილეთა უმრავლესობით წყდება. პარლამენტში, კონგრესში, საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი ფორმა არსებობს. ეს არის დამსწრეთა უმრავლესობა. ადრე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მაღალი კვორუმი გამოიყენებოდა — საერთოდ, ამომრჩეველთა 50 პროცენტი. შემდეგ სააკაშვილმა, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, პირველი ეს შეცვალა და მონაწილეთა 50 პროცენტი დატოვა, მაგრამ ამაზე დაბლა ვერ იტყოდა, რადგან ეს არარეალურია, უსამართლო პრინციპია, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება სურვილი ჰქონდა. სამართლიანი პრინციპია მონაწილეთა უმრავლესობით არჩეული კანდიდატი. სწორედ ეს მინდა გაიგოს საზოგადოებამ, რომ ჩვენ ვიბრძვით არა ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ სამართლიანი პრინციპის დამკვიდრებისთვის, ვიბრძვით იმისთვის, რომ თბილისში მერი უმრავლესობამ აირჩიოს და არა უმცირესობამ. ძალიან მიკვირს, რომ სხვა პოლიტიკური ძალები ამ მიმართულებით არ აქტიურობენ, თუმცა, ძალიან ლოგიკურია.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ ისინი არ აცხადებენ პრეტენზიას მერის პოსტზე. ეტყობა, ვერ ხედავენ რეალურად გამარჯვების შანსს. რაც შეეხება სამართლიანობის პრინციპს, ეს, როგორც ჩანს, ასეთი პოლიტიკის დროს მეორეხარისხოვანია. მათთვის შეიძლება უფრო მნიშვნელოვანია, გარკვეული გარანტიები შეიქმნან საკრებულოში მოსახვედრად და ადგილების დასაკავებლად.

***— ანუ შეიძლება გარიგებას ჰქონდეს ადგილი დანარჩენ ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის?***

— არ მინდა, ბრალდებები წავუყენო ვინმეს. შეიძლება, ვინმეს გარიგებაც აქვს და არ გამოვრიცხავ, მაგრამ ამ შემთხვევაში არავის ვაბრალებ გარიგებას. „ალიანსსა" და ხელისუფლებას, ორივეს აქვს გამარჯვების, მერის თანამდებობის დაკავებისა და უმრავლესობით მოსვლის პრეტენზია. შესაბამისად, ძირითადი დავა, შეუთანხმებლობა არის „ალიანსსა" და ხელისუფლებას შორის. ჩვენ ვაცხადებთ, რომ ვიბრძვით გამარჯვებისთვის და არა მხოლოდ ვიბრძვით, არამედ აუცილებლად გავიმარჯვებთ.

***— რაც შეეხება პირობებს?***

— არ გვაქვს ილუზია, რომ ამ ხელისუფლების პირობებში იდეალურ საარჩევნო გარემოს, იდეალურ საარჩევნო კოდექსს მივიღებთ. თავიდანვე ვთქვით, რომ საჭიროა საარჩევნო გარემოს, საარჩევნო წესების გაუმჯობესება. სწორედ ამიტომაც ვიღებთ კოდექსის კომისიაში მონაწილეობას, ამიტომაც ვაქტიურობთ და ვფიქრობთ, რომ აუცილებლად შედეგი იქნება.

***— თუ არ წამოვიდნენ, ამ შემთხვევაში რა იქნება?***

— მიღწეული შედეგი საკმარისია თუ არა, ამაზე შემდეგ ვიმსჯელებთ, მაგრამ გეუბნებით, ჩვენ განწყობილი ვართ, რომ სააკაშვილს თბილისი წავართვათ და ეს გავაკეთოთ არა მიტინგზე დგომით, როგორც იყო რამდენიმე თვის განმავლობაში. ჩვენ მაშინ თბილისი მართლაც წავართვით, მაგრამ მისი სამართლებრივი გაფორმება ვერ მოვახერხეთ, სწორედ იმიტომ, რომ მექანიზმი არ გვქონდა. არჩევნები არის ერთადერთი კონსტიტუციური, დემოკრატიული მექანიზმი უპირატესობის გაფორმებისა.

***— თუ ადგილობრივი არჩევნები გაყალბდა, აპირებთ ქუჩაში გასვლას თქვენი ხმების დასაცავად?***

— ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანია საზოგადოების გადაწყვეტილება. თუ ამომრჩეველი ჩათვლის, რომ ეს არჩევნები გაყალბდა და პროტესტის გრძნობა გაუჩნდება, პირველ რიგში ის გამოვა ქუჩაში. რა თქმა უნდა, ჩვენ ამ პროცესში აქტიური მონაწილე ვიქნებით და სათავეშიც ჩავუდგებით. ეს აბსოლუტურად ლეგიტიმური პროტესტი იქნება. ჩვენ ხალხის გადაწყვეტილების შესაბამისად ვიმოქმედებთ. თუ ხალხი ჩვენ მოგვცემს ხმას და ძალაუფლებას თბილისში, მაშინ ჩვენ ვიქნებით კანონიერი ხელისუფლება თბილისში და, ვინც ამას წინ აღუდგება, კანონგარეშე დარჩება. ასე მოხდა ყველგან, სადაც არჩევნები გაყალბდა. ყველა პროტესტი, რომელიც არჩევნების გაყალბებას უკავშირდებოდა, მხარდაჭერილი იყო მსოფლიო დემოკრატიული თანამეგობრობის მხრიდან. შესაბამისად, ხელისუფლება ან საბოლოოდ დაადგება დიქტატურის გზას, ან დაჰყვება ხალხის ნებას და ძალაუფლებას გამარჯვებულს გადასცემს.

***— ანუ საერთაშორისო ორგანიზაციების, ამერიკის იმედი გაქვთ, რომ ზეწოლას მოახდენენ ხელისუფლებაზე?***

— ჩვენი ხალხისა და ჩვენი თავის იმედი გვაქვს პირველ რიგში. როდესაც ჩვენი ბრძოლა სამართლიანი იქნება, შესაბამისად, მხარდაჭერაც იქნება ყველა დემოკრატიული სახელმწიფოს მხრიდან.

***— ბატონო დავით, რას იტყვით პრაიმერთან***

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# კონსერვატორებმა მერობის კანდიდატად ძიძიგური დაასახელეს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ლიდერებმაც ბევრი ისაუბრეს. ყველა ღიად აცხადებს, რომ არსებულ ხელისუფლებას მხოლოდ გაერთიანებული ძალებით დაამარცხებენ.

— მოქმედ რეჟიმზე გამარჯვების გარანტს მხოლოდ ერთობა წარმოადგენს.ხელისუფლებაში დღეს ძალიან ბევრი პრობლემაა, თუმცა იმაზე მეტი პრობლემა ოპოზიციურ სპექტრშია, რისი მოგვარებაც მისი გაერთიანებითაა შესაძლებელი, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ლევან გაჩეჩილაძის აზრით, სააკაშვილი შესაძლოა ერთ დღეში დამთავრდეს. საამისოდ ოპოზიციამ პირადი ამბიციები უნდა დათრგუნოს.

— როგორც კი თითოეული ოპოზიციონერი ლიდერი ქვეყანას საკუთარ პარტიულ ამბიციებზე მაღლა დააყენებს, იმ დღეს დამთავრდება სააკაშვილი. მხოლოდ ერთობით შეიძლება ამ რეჟიმის უსისხლოდ გაშვება, სხვა შემთხვევაში კი შესაძლოა ქვეყანას ვატკინოთ, — განაცხადა გაჩეჩილაძემ.

პრაიმერის იდეასთან დაკავშირებით სხვა ლიდერებსაც დადებითი პოზიცია აქვთ. მათი ვარაუდით, თუ ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ეყოლება, ნაციონალების დამარცხება შესაძლებელი იქნება.

პრაიმერის ჩატარებას ოპოზიცია თებერვლის ბოლოსთვის აპირებს. პრაიმერის მომხრეებს იმედი აქვთ, რომ ამ დროისთვის თავის პოზიციას ირაკლი ალასანიაც დააფიქსირებს.

ბოროტი ხმები კი ამბობენ, რომ ალასანია ცოცხალი თავით არ დათანხმდება პრაიმერის იდეას, თუმცა დავით ბაქრაძესთან გამართული უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ შესაძლოა მან პოზიცია შეიცვალოს.

ცოტა ხნის წინ ალასანია პარლამენტის თავმჯდომარეს ფარულად შეხვდა. იმ შეხვედრაზე ალასანიას ბაქრაძისთვის გარიგება შეუთავაზებია. ალასანია მერის არჩევნებზე 50-პროცენტიანი ბარიერის დაწესებას ითხოვდა. ამ შემთხვევაში ის თავისი კანდიდატურის მოხსნას აპირებდა.

სპიკერს ალასანიას ულტიმატუმის არ შეშინებია და უთქვამს, ბარიერს არ დავწევთო. ალასანიასგან განსხვავებით, ბარიერის დაწევას დადებითად შეხვდნენ სხვა ოპოზიციონერები. სხვათა შორის, იმასაც ამბობენ, რომ ნაციონალები 20-პროცენტიანი ბარიერის დაწესებას ითხოვენ.

მათ რაღაც გამოკითხვები ჩაუტარებიათ და გაურკვევიათ, რომ დედაქალაქში 20-პროცენტიანი ნაღდი მხარდაჭერა აქვთ. ისე, რადგან ნაციონალები ვახსენეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ საპრაიმერო განწყობა იქაც შეიქმნა.

ამ იდეით ნაციონალების წევრი ალეკო შალამბერიძე გამოვიდა, რომელსაც თავადაც გაუჩნდა მერობის ამბიცია, მართალია, მსუბუქად, მაგრამ მაინც. მისი აზრით, ნაციონალებში მერის კანდიდატურა სწორედ პრაიმერის მეშვეობით უნდა გაირკვეს.

ამ ერთი შეხედვით უმტკივნეულო იდეას ისეთი ამბავი მოჰყვა ნაციონალებში, მტერსა და მაწყევარს. მავანმა ნაციონალმა ისიც კი თქვა, ეგ კაცი ჩვენი პარტიის წევრი არ არისო. არადა, იმ კაცმა ანუ შალამბერიძემ პარტიიდან წასვლის შესახებ განცხადება ერთი კვირის წინ დაწერა.

ნაციონალებს ამის გამო არ უნერვიულიათ. მათ სანერვიულო ისედაც მრავლად აქვთ, რადგანაც ჯერ ბოლომდე არ გაურკვევიათ, ვინ იქნება მათი მერობის კანდიდატი.

# სკანდალურმა შალვა რამიშვილმა „სიმართლის დრო" სკანდალურად დატოვა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

პრეზიდენტს მისი შეწყალება. სააკაშვილმა ყოფილი თანამოაზრე არ შეიწყალა. რამიშვილმა სასჯელი ბოლომდე მოიხადა და, როგორც ზევით უკვე ვთქვით, ციხიდან გამოსვლის შემდეგ მის მომავალს ოპოზიციაში ხედავდნენ.

ის კი „იმედში" წავიდა. იმ „იმედში", რომელიც, ოპოზიციის მტკიცებით, ხელისუფლებისაა. რამიშვილის მიმართ მაშინვე გაჩნდა უარყოფითი დამოკიდებულება. ამის მიუხედავად, მის სკანდალურ შოუს ბევრი მაყურებელი ჰყავდა.

სკანდალური შოუ „იმედზე" ისევ გაგრძელდება. თუმცა, „სიმართლის დრო" შესაძლოა ძველებურად სკანდალური აღარ აღმოჩნდეს, რადგანაც მას უკვე სხვა ადამიანი წაიყვანს. რამიშვილისნაირი თამამი და სკანდალური კითხვების დასმას კი ბევრი ვერ გაბედავს.

ტელეკომპანია „იმედში" რამიშვილის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კომენტარები მხოლოდ დღის ბოლოს გააკეთეს. როგორც „იმედში" ამბობენ, ეს იყო რამიშვილის პირადი გადაწყვეტილება.

— შალვა რამიშვილი თვლის, რომ მან ამ გადაცემაში საკუთარი თავი ამოწურა, — აცხადებენ „იმედში".

„იმედში" იმედოვნებენ, რომ რამიშვილი ხალხმა ამ გადაცემით კარგად დაიმახსოვრა. მის ფანებს რამიშვილის შემოქმედების ყურება ისევ შეეძლებათ. შალვა რამიშვილი „სამსონაძეების ოჯახის" მიტოვებას არ აპირებს.

„სიმართლის დროს" ახალ წამყვანს უახლოეს მომავალში იპოვიან. მომავალ სამშაბათს კი საზოგადოება ისევ რამიშვილის „სიმართლის დროს" უყურებს.

***

„სიმართლის დროდან" წამოსვლასთან დაკავშირებით შალვა რამიშვილმა ინტერვიუ მისცა „პრესა.გეს" ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილს.

**შალვა რამიშვილი:**

— ეს ჩემი გადაწყვეტილება იყო, რომელიც „იმედის" და „თიბისის" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებულია. ახლა პროექტი ჩემთვის ნაკლებად საინტერესო გახდა. თუმცა, ცალსახად მინდა განვაცხადო, რომ ძალიან კარგი პროექტია; მე, ალბათ, წვლილი შევიტანე იმაში, რომ მას რეიტინგი აქვს, მაგრამ ახლა სხვა პრიორიტეტები, სხვა საქმეებია საკეთებელი და ამ საქმეებისთვის მეტი დრო მჭირდება.

***— თქვენი პასუხი არადამაჯერებელი ჩანს.***

— ეგ უკვე თქვენი აზრია.

***— ვფიქრობ, არც მკითხველი დაიჯერებს, ასე უცებ როგორ გახდა „ნაკლებად საინტერესო" გადაცემა, რომელიც მიგყავდათ.***

— კი ბატონო, რა ვუყოთ ახლა?! ეგ თავად მკითხველმა განსაზღვროს.

***— გავრცელებული აზრით, გადაცემა მარინა სალუქვაძეზე დასმული კითხვის გამო დატოვეთ.***

— ეს აბსურდია.

***— ამის გამო საყვედური მიიღეთ?***

— არა, ეს აბსურდია.

***— როგორ მიიღეთ გადაცემიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება — დამოუკიდებლად თუ მეგობრების, ან ოჯახის წევრების რჩევით?***

— როგორ გითხრათ?! გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მივიღე.

***— როცა ციხიდან გამოსვლის შემდეგ გკითხეთ, რას აპირებდით, „ჩემებურად გავახურებო", — მითხარით.***

— მე მგონი, გავახურე კიდეც (იცინის). არა?!

***— გახურება სხვანაირად აღვიქვით — გვეგონა ისეთივე კრიტიკული და მწვავე იქნებოდით, როგორც დაპატიმრებამდე.***

— ძალიან ცინცხალი და მაგარი პროექტი იყო.

***— ეს პროექტი ხომ პოლიტიკასთან არანაირ კავშირში არ იყო და თქვენი ადრინდელი ჟურნალისტური საქმიანობისგან რადიკალურად განსხვავდებოდა?***

— კი, ბატონო.

***— „იმედზე" მისვლით, რამიშვილმა პრინციპებზე უარი თქვაო, — ასე აღიქვა თქვენი გადაწყვეტილება საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა.***

— იმ ნაწილს ვურჩევ, მოვლენებს დაელოდონ და ნახავენ, რა პრინციპებზე ვთქვი უარი; მაგას გავარკვევთ.

***— უკვე იცით, რას გააკეთებთ ხვალ-ზეგ?***

— მე ვაკეთებ უკვე პროექტს „იმედზე" — სამსონაძეებს.

***— ანუ „იმედში" რჩებით?***

— მე არ ვრჩები „იმედში", ჩემი პროექტი გადის „იმედზე". მე „იმედის" თანამშრომელი არასდროს ვყოფილვარ.

***— რომელიმე პოლიტიკური თოქ-შოუს წამყვანის ამპლუაში შეიძლება გიხილოთ — მაგალითად, ეროსი კიწმარიშვილისგან შემოთავაზება ხომ არ მიგიღიათ, რომელმაც „მაესტრო" სამწლიანი მართვის უფლებით აიღო?***

— შემოთავაზება არ მიმიღია.

***— თუ მიიღებთ?***

— ეს როგორი შეკითხვაა, იცით?! — ბებიაზე და ბაბუზე რომაა ანეკდოტი, დაახლოებით ისეთი.

***— მაინც როგორი?***

— ხომ არ მოვყვები?! უხამსი ანეკდოტია, მაგრამ მკითხველი გაიგებს. ბებიას რომ რაღაცები ჰქონდეს, რაც ქალს და კაცს განასხვავებს, ბაბუა იქნებოდაო, დაახლოებით ასეთი ანეკდოტია. მოკლედ, რაღაცამ რომ გაიელვოს ცაზე და მეტეორი ჩამოვარდეს.

***— ე.ი. ფანტაზიების სფეროში გადავიჭერით.***

— დიახ — „შემოთავაზებას თუ მიიღებთ" რომ იყოს. იყოს ჯერ ეს შემოთავაზება და მერე ვნახოთ.


გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან", „მაგთიდან", „ბილაინიდან" ნომერზე 30–30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30–30 და ფონდ „იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი „იავნანა", გაზეთი „ახალი თაობა"

# ბაღათურია ხელისუფლებას ულტიმატუმს უყენებს

ნანა მიშელაშვილი

**„ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ხელისუფლებას არჩევანის წინაშე აყენებს. დეპუტატის წინადადება ასეთია: ხელისუფლებამ ან გამგებლებს უნდა გაუზარდოს ხელფასი, ან პენსიონერებს. მართალია, ბაღათურია ამბობს, რომ ეს ულტიმატუმი არ არის, მაგრამ ფაქტია, რომ ხელისუფლებას არჩევანის წინაშე აყენებს: ან პენსიონერები, ან გამგებლები.**



გუშინ ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტში ბრიფინგი გამართა და მინიმალური პენსიის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების საკითხზე ისაუბრა.

ბაღათურიას თქმით, მინიმალური პენსიის ზრდა სამ ეტაპად უნდა მოხდეს და 150 ლარი უნდა გახდეს. კერძოდ, პირველ ეტაპზე პენსია უნდა გაიზარდოს 25 ლარით, მეორე და მესამე ეტაპზე — კიდევ 25-25 ლარით.

— 2010 წლის პირველი იანვრისთვის პენსიონერმა უნდა აიღოს 25 ლარით მომატებული პენსია და ეს უნდა იყოს მათთვის საახალწლო საჩუქარი, — ასეთია ბაღათურიას წინადადება.

ჯონდი ბაღათურიამ მომავალი წლის ბიუჯეტში გაზრდილი პენსიების დასაფინანსებელი თანხაც იპოვა. ბაღათურიას თქმით, 2010 წლის ბიუჯეტში 130 მილიონი ლარით არის გაზრდილი გამგებლებისთვის ტრანსფერები, რაც, სავარაუდოდ, არჩევნებს მოხმარდება.

— ჩვენი ოპონენტები ელოდებოდნენ, რომ „ქართული დასი“ იტყოდა, შემცირდეს თავდაცვისა და სამართალდამცავი ორგანოების დაფინანსების ხარჯებიო, მაგრამ ჩვენ ბიუჯეტში სხვა თანხები მოვიძიეთ, რომელიც პენსიონერთა პენსიების დასაფინანსებლად უნა იქნეს მიმართული, — აღნიშნა ბაღათურიამ.

ბრიფინგის დასასრულს ბაღათურიამ აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ან გამგებლებს უნდა გაუზარდოს თანხები, ან პენსიონერებს.

— თუ ხელისუფლება მხარს დაუჭერს გამგებლებისთვის თანხების გაზრდას, მაშინ პენსიონერები საარჩევნოდ მათ მხარს აღარ დაუჭერენ, — აღნიშნა ბაღათურიამ. მანვე იხუმრა, რომ ხელისუფლებას შეუძლია, 5 ლარით მომატებული პენსია უკან წაიღოს და 25 ლარით გაზრდილი მისცეს.

## დეპუტატი პენსიის 159 ლარამდე გაზრდას მოითხოვს

პარლამენტში ოპოზიცია გუშინ სხვა სოციალურ საკითხზეც აქტიურობდა. კერძოდ, „ქრისტიან-დემოკრატებმა“ გუშინ პარლამენტში ჯანდაცვის მინისტრი დაიბარეს. ვიდრე დეპუტატებს შეხვდებოდა, სანდრო კვიტაშვილმა ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა და ზოგიერთ პოლიტიკოსს მოუწოდა, პანიკა არ დათესონ.

სანდრო კვიტაშვილი პოლიტიკოსებს საკუთარი ამბციების დასაკმაყოფილებლად მოსახლეობაში პანიკის დათესვას საყვედურობს. მინისტრს არც ერთი პოლიტიკოსის გვარი არ დაუსახელებია, ისე გააკეთა განცხადება. ჯანდაცვის მინისტრის თქმით, 2 დღის წინ პოლიტიკოსების მხრიდან ცრუ ინფორმაცია გაჟღერდა, თითქოს საქართველოში ვადაგასული „ტამიფლუა“ შემოტანილი.

— მოვუწოდებ ყველა პოლიტიკოსს, თავიანთი ამბციების გამო ნუ გამოიყენებენ ამ თემას პოლიტიკური ქულებისთვის, — აღნიშნა კვიტაშვილმა და იქვე დაამატა, რომ ტყუილების თქმა საკუთარი რეიტინგის ასამაღლებლად დიდი შეცდომაა.

სანდრო კვიტაშვილის განცხადებით, საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მოსახლეობაში პანიკის დათესვა არის უბედურება, რომელიც მოხდა უკრაინაში.

— საქართველოში შემოტანილი „ტამიფლუს“ არც ერთი კაფსულა არ არის ვადაგასული, — ასეთია მინისტრის განმარტება.

პარლამენტში ჯანდაცვის მინისტრი „ქრისტიან-დემოკრატებმა“ სულ სხვა საკითხთან დაკავშირებით დაიბარეს. კერძოდ, ფრაქცია ონკოლოგიისა და გულის ქირურგიის სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობაზე ასაკობრივი შეზღუდვების გაუქმებას ითხოვს. სახელმწიფო ამ დაავადებების მკურნალობის დაფინანსებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებს მონაწილეობას, თუ პაციენტი 60 წელს არის გადაცილებული. ოპოზიცია კი მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს, რადგან დაავადებულთა ორივე ჯგუფი საგრძნობლად გაახალგაზრდავდა.

„ქრისტიან-დემოკრატებს“ საკუთარი წინადადებები აქვს, თუ როგორ უნდა მოხდეს ონკოლოგიისა და კარდიოლოგიის სახელმწიფო პროგრამების სახეცვლილება მოსახლეობის სასარგებლოდ. მათი აზრით, ასაკობრივი შეზღუდვები უნდა შემცირდეს, რათა ამ პროგრამებმა უფრო ფართო ფენები მოიცვას. ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ გამოთქმულ წინადადებებს შეაჯერებენ, ხარჯებს დაითვლიან და, თუ ბიუჯეტი საშუალებას მისცემს, „ქრისტიან-დემოკრატების“ ინიციატივას შიდა რესურსების გადანაწილებით დააფინანსებენ, თუ არადა, დამატებითი ხარჯების გამოყოფას მოითხოვენ.

— ეს არ იქნება ძალიან დიდი ხარჯები, მაგრამ ამით ძალიან კარგი საქმე გაკეთდება, — განუცხადა შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებს მინისტრმა კვიტაშვილმა.

# ალასანიას ალიანსი პრაიმერზე თანახმაა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

*დაკავშირებით, რომელიც „კონსერვატორების“ იდეა იყო?*

— ეს არ იყო მხოლოდ მათი ექსკლუზიური იდეა. ჩვენ პრაიმერი ჯერ კიდევ 2005 წელს ჩავატარეთ. აქედან მოყოლებული, ამ იდეაზე ვმუშაობთ. პრაიმერი არ არის თვითმიზანი. ჩვენი მიზანია ადგილობრივ არჩევნებში, თბილისში გამარჯვება. ამ გამარჯვებისთვის სასურველია, თუ ოპოზიციას ერთი კანდიდატი ეყოლება. ერთიანი კანდიდატის შერჩევის ერთ-ერთი ეფექტური საშუალება შეიძლება იყოს პრაიმერი. ჩვენ ვატარებთ კვლევებს, სოციოლოგიურ გამოკითხვებს, ასევე ნოემბრის ბოლოსთვის საარჩევნო კოდექსზე მუშაობაც დასრულდება და ამის შემდეგ ყველანი მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ ვინ და როგორ აგრძელებს ბრძოლას. სასურველია ერთიანი კანდიდატი, ასევე უნდა გაირკვეს, თუ ვინ მონაწილეობს არჩევნებში. ვერანაირ პრაიმერზე ვერ ვისაუბრებთ, თუ არ გვეცოდინება, ვინ მონაწილეობს არჩევნებში. როდესაც ეს გაირკვევა, მერე შეიძლება საუბარი ფორმებზე, რა სისტემით შეიძლება ერთიანი კანდიდატის შერჩევა. პრაიმერი რომ კარგია, ამის აგიტაციას ვერავინ გამიწევს, რადგან ვთვლი, რომ ამ იდეის ერთ-ერთი ავტორი ვარ სხვებთან ერთად. ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, რომ მას უფრო სწორად მიაჩნია შეთანხმება ერთიან კანდიდატზე და თქვა, ყველამ ირაკლი ალასანიას დავუჭიროთ მხარიო. მიმაჩნია, რომ კონსულტაციებში, აზრების შეჯერებაში უნდა გამოვიმუშაოთ საბოლოოდ ერთიანი მიდგომა. როგორც მესმის, „ლეიბორისტები“, „ფორუმი“ არ აპირებენ მონაწილეობის მიღებას არჩევნებში. შესაბამისად, თუ ეს მათი საბოლოო გადაწყვეტილებაა, ჩვენ აღარ დაგვჭირდება მათთან კონსულტაციები ერთიან კანდიდატზე.

***— სამ მაჟორიტარულ ოლქში აპირებს თუ არა „ალიანსი“ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას?***

— სულ არ მიფიქრია ამ საკითხზე. დიდ აზრს ვერ ვხედავდით ამ პარლამენტში შესვლასთან დაკავშირებით. ამიტომაც ვთქვით უარი და ლეგიტიმაცია არ მოგვიხდენია. „ახალი მემარჯვენეები“ ნამდვილად არ ვაპირებთ ამ არჩევნებში მონაწილეობას. „ალიანსში“ არ გვიმსჯელია. ჩვენი პრიორიტეტი ახლა ადგილობრივი არჩევნებია, პირველ რიგში — თბილისის არჩევნები.

***— ეს კითხვა იმიტომ დაგისვით, რომ ამბობენ, თითქოს ალასანიას სურს, თავისი პარტია საპარლამენტო იყოს...***

— რადგან არ ვიცი ჩვენი პარტნიორების პოზიცია ამ საკითხზე, ამიტომ ვამბობ, რომ არ გვაქვს პოზიცია. მხოლოდ „მემარჯვენეებზე“ რომ იყოს საუბარი, ადვილად გეტყოდით.

***— ბატონო დავით, ამბობდნენ, რომ თითქოს თქვენ აპირებდით „ალიანსიდან“ წამოსვლას. ამაზე რას იტყვით?***

— მუდმივად არის ასეთი ჭორები, რომ მე ვარ გაბრაზებული, ნაწყენი, რომ თურმე მერობა მდომებია, მერე — საკრებულოს თავმჯდომარეობა. ეს არის ჭორები, თუმცა არ მწყინს. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება თავისი ყურადღებით მანებივრებს მეც და „ალიანსსაც“. არსად არ ვაპირებდი გასვლას და არც ვაპირებ. მომავალში „ალიანსი“ კიდევ უფრო გაძლიერდება. სწორედ „ალიანსს“ ეკისრება ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანისა და აღმშენებლობის დაწყების რთული მისია.

# თამარაშვილის ქუჩაზე მეეზოვე დაჭრეს

თამარაშვილის ქუჩაზე ცოტა ხნის წინ მეეზოვე დაჭრეს. წინასწარი ინფორმაციით, ორი პიროვნება მანქანიდან გადმოვიდა და დასუფთავების სამსახურის თანამშრომელს კამათი დაუწყო იმ მიზეზით, რომ ის მანქანის სიახლოვეს გვიდა. შემდეგ კი ცივი იარაღით მას თავში ჭრილობა მიაყენეს.

შემთხვევის ადგილზე ამ დრომდე სამართალდამცავები მუშაობენ, რომლებიც ადგენენ დამნაშავეების ვინაობასა და ადგილსამყოფელს.

**პრაიმ-ნიუსი**

# ქართველმა ებრაელებმა აშდოდის დამკრძალავი ბიურო აღაშფოთეს

ებრაული წყაროების ცნობით, აშდოდის დამკრძალავმა ბიურომ „ხავრათ კადიშა“ ქართველი ებრაელებისთვის ადგილობრივ სასაფლაოზე ნაკვეთების შეძენის აკრძალვა მოითხოვა.

კერძოდ, ბიუროს წარმომადგენლების თქმით, ქართველი ებრაელები გარდაცვლილებს ქართული ტრადიციებით კრძალავენ და სასაფლაოზე დიდ ადგილს იკავებენ.

დამკრძალავი ბიუროს წარმომადგენლები აღშფოთებულები არიან იმ ფაქტით, რომ ქართველი ებრაელები სასაფლაოზე სკამებს, მაგიდებს ამონტაჟებენ, სასაფლაოს კი, ჯაჭვით ღობავენ.

— ისინი სასაფლაოზე ნაკვეთებს წინასწარ ყიდულობენ. საქმე აბსურდამდეც კი მიდის. ერთ-ერთი სასაფლაოსთვის ქართველმა ებრაელებმა ცხრა, მეზობლად მდებარე მონაკვეთი შეიძინეს. თითოეული ნაკვეთი ათასობით და ათი ათასობით შეკელი ღირს, მაგრამ ისინი ხარჯებს არ ერიდებიან, — აცხადებს „ხავრათ კადიშას“ ხელმძღვანელი ოვადია დახანი.

ისრაელის კანონმდებლობით, სასაფლაოზე ნაკვეთის ყიდვის აკრძალვა დაუშვებელია. ამიტომაც, დამკრძალავმა ბიურომ თავისი ინიციატივით, ერთ-ერთ ქართველ ებრაელს ნაკვეთის მიყიდვაზე უარი უთხრა, რასაც შეხლა-შემოხლა მოჰყვა.

**მედიანიუსი**

# სააკაშვილს მერკელი და სარკოზი აღარ იღებენ

გერა მამულაშვილი

საქართველოსთვის და უკრაინისთვის „მაპის“ (გაწევრიანების სამოქმედო პროგრამა) მინიჭების საკითხზე ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრები დეკემბერში ბრიუსელში იმსჯელებენ. ამის შესახებ ალიანსის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს აპატურაიმ განაცხადა. ამასთან აპატურაიმ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილ ვითარებაზეც ისაუბრა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიებია. აპატურაი ასევე გამოეხმაურა ოკუპირებულ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეების გატაცების ფაქტებს და შეშფოთება გამოხატა.

ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ, რომ დეკემბერში ბელგიაში ნატო-საქართველოს და ნატო-უკრაინის კომისიების სხდომები გაიმართება.

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი კახა კაციტაძე აცხადებს, რომ ნატოს მხრიდან დადებით გადაწყვეტილებას არ უნდა ველოდოთ, რადგან საჭირო სტანდარტების დაკმაყოფილების კუთხით საქართველოში პროგრესი კვლავ არ შეინიშნება. მისივე თქმით, ამ თვალსაზრისით საქართველოს საგარეო პოლიტიკა არც კი იგეგმება.

***— რა გადაწყვეტილებას უნდა ველოდოთ დეკემბრის თვეში?***

— ნატოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმა ამასთან დაკავშირებით წინასწარ რაც თქვეს, ზუსტად ის მოხდება. ანუ საკითხის განხილვას ექნება ადგილი.

***— რაც შეეხება საბოლოო გადაწყვეტილებას „მაპის“ მიღებასთან დაკავშირებით?***

— საკითხის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება დამეთანხმებით, რომ სხვადასხვა რამეა.

***— რა პერსპექტივები გვაქვს ამ შემთხვევაში ჩვენ და უკრაინასაც?***

— მთელი ამ წლების მანძილზე პატიოსნად და მთელი გულით ვცდილობდი, რომ ნატოს წევრები გავმხდარიყავით. მაგრამ რა ვქნა, მაინც არ მჯერა, რომ სიტუაცია უკეთ წარიმართება. იმიტომ, რომ არის საერთოდ ქვეყანაში რაიმე წინსვლა? თქვენ ხედავთ საერთოდ ასეთ წინსვლას?

მოგიყვებით ამაზე ერთ შედარებით ძველ ამბავს. ერთხელ მისი უდიდებულესობის, ანუ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალიან დიდ მოხელესთან საუბარი მქონდა; იქაური ანალიტიკოსები მეორეხარისხოვანი ხალხი არ არის. არის ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სადაც ქვეყნის საგარეო გადაწყვეტილებებს იღებენ. მაგრამ ასევე არიან ანალიტიკოსები, რომლებიც სამინისტროს ამ გადაწყვეტილებებს ამზადებენ. იქ ერთი მეორეზე ნაკლები არაფრით არ არის.



იმ მოხელის გვარს არ დავასახელებ, ბუნებრივია. ძალიან სერიოზული საუბარი გვქონდა დაახლოებით საათსა და ოც წუთს. ეს იყო ჯერ კიდევ 2006 წელი. ანუ 2007 წლის დარბევაც მაშინ ჯერ არ ყოფილა. როგორც ჩანს, 2007 წლის ნოემბრის დარბევა იყო საბოლოო წერტილი, რამაც ყველა ანალიტიკოსს გადააწყვეტინა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრიანება არ შეიძლება; რომ ქვეყანა საჭირო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს.

ჰოდა, ამ ბრიტანელმა დიპლომატმა მითხრა ასეთი რამ: ჩვენთან საგარეო საქმეთა სამინისტროში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობაა. არიან ადამიანები, ვინც ამბობენ, რომ საქართველოს ისეთი გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რომ ასეთ რაღაცებზე თვალები დავხუჭოთო. ანუ თვალები დავხუჭოთ, რომ ქვეყანაში დემოკრატიული უფლებები ირღვევაო. და ამავე დროს არის მეორე პრინციპული პოზიცია, რომ ასეთი დარღვევების ფაქტებზე თვალები არ უნდა დავხუჭოთო.

ბრიტანეთის საგარეო სამინისტროშიც კი ასეთი ტიპის მსჯელობა მიმდინარეობდა. ახლა 2007 წლის ნოემბრის მერე ამასთან დაკავშირებით საერთოდ კითხვა აღარ დარჩენილა.

***— როდესაც დიდ ბრიტანეთში ამ ტიპის მსჯელობები მიმდინარეობს, დღევანდელ საფრანგეთზე და გერმანიაზე რაღა უნდა ვთქვათ?***

— გეთანხმებით, მაგრამ ერთს გეტყვით ამასთან დაკავშირებით. ჩემი ქართული, მშობლიური ცნობიერების მერე, ჩემი თაობის პირებს, როგორც წესი, ჰქონდათ რუსული ყაიდის აზროვნება ხომ? მეორე ენას ყველა, როგორც წესი, რუსულს ირჩევდა ხოლმე. მე ცოტა უცნაური და სასაცილო გამონაკლისი ვიყავი. ქართულის მერე ყველაზე ჩქარა გერმანული ვისწავლე. უფრო ადრე, ვიდრე რუსული. ამიტომ ჩემთვის ამ მომენტის აღიარება ძალიან მძიმეა. თანაც მე ხომ ფილოსოფოსი ვარ, თან გერმანული ფილოსოფიის პროფესორი ვარ.

ისიც ხომ ვიცით, გერმანიას საქართველოს განვითარებაში რა წვლილი აქვს შეტანილი. იგივე დამოუკიდებელი რესპუბლიკა გერმანიის გარეშე შეიქმნებოდა? იცით სტატისტიკა იმ ცნობილი ქართული ბატალიონების შესახებ? თვითონ ბაბუა საბჭოთა კავშირის მხარეს დაღუპული მყავს, ქერჩში დაიღუპა. მაგრამ იქითაც, ხომ ომობდნენ ქართველები და იცით რამდენი ბატალიონი იყო? 26 ქართული ბატალიონი იბრძოდა გერმანიის მხარეს. დივიზიებში რომ გადაიყვანოთ სამი დივიზია უპრობლემოდაა.

***— რატომ არ არის წარმატებული დღეს ჩვენი ევროპული პოლიტიკა?***

— საქართველოს საგარეო პოლიტიკა რეალურად დღეს არც კი იგეგმება. მინისტრი რომ რუსეთის მოქალაქეა, ეს კიდევ სხვა საკითხია. ჩვენგან განსხვავებით, მაგალითად, კარგად იგეგმება ლიტვის საგარეო პოლიტიკა; მეტნაკლებად ლატვიის და ესტონეთის პოლიტიკა იგეგმება უკეთესად. აბა, სხვა რა გითხრათ? მეტნაკლებად იგეგმება რუმინეთის და ბულგარეთს საგარეო პოლიტიკა.

მაგრამ გერმანია გინდა, თუ არ გინდა ევროპის ცენტრს წარმოადგენს. სპეციფიკურია გერმანიაც, ინგლისიც, საფრანგეთიც. იტალიაზე შეგვიძლია ვიცინოთ. თვითონ იცინიან იტალიელები თავიანთ სახელმწიფოზე. ბუნებრივია ამაში ბერლუსკონის ფაქტორს ვგულისხმობ; ეს სხვა არის.

მაგრამ სერიოზული სახელმწიფო თუ გვინდა რომ ვიყოთ, რამენაირად უნდა მოვახერხოთ, რომ ცივილიზებულ ევროპულ ერებთან გვქონდეს ის ურთიერთობა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის საჭიროა. მაგრამ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სააკაშვილის არავინ არ იღებს, ამას ქვეყანა არ უნდა გადავაყოლოთ. მოდით, პირდაპირ გეტყვით, არ უნდა ამას ბევრი ლაპარაკი. არც მერკელი იღებს სააკაშვილს ელემენტარულად, არც ბრიტანეთი და სარკოზიმ ხომ ხელი ჩაიქნია და ჩაიქნია.

მინდა ასევე ყურადღება მიაქციოთ ერთ არსებით მომენტს, რომელიც საქართველოში რატომღაც ყველას გამოეპარა. გახსოვთ სააკაშვილის ადმინისტრაციამ, თუ პრესსამსახურმა განაცხადა (რომელიც მედიაშიც იყო დაბეჭდილი), რომ იმ ოთხი ბავშვის გაშვებაზე სააკაშვილი დღეს ბაიდენს და სარკოზის დაელაპარაკებაო. სად გაქრა ეს ამბავი, ძალიან მაინტერესებს. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს განცხადება 12 ნოემბერს მოხდა.

მსურს ბატონ პრეზიდენტს ვკითხო — მედიაში რომ ბრძანეთ, ბაიდენი დაელაპარაკება სააკაშვილს ბავშვების გაშვებაზე, რატომ არ არის არანაირი რეაქცია? რატომ არ იძლევიან ამაზე პასუხს? პასუხი არც ფრანგული მხრიდან ისმის. და ელაპარაკა საერთოდ ბაიდენს სააკაშვილი. მიჩნდება ასეთი აზრი, რომ სააკაშვილს არა მარტო ხელს აღარ ართმევენ, არამედ მას უკვე ტელეფონზეც აღარ ელაპარაკებიან. ამის შემდეგ სერიოზულად რომელ საკითხზე უნდა ვიმსჯელოთ?

# ბელორუსია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობას“ არ აღიარებს

გერა მამულაშვილი

ოფიციალური თბილისი ბელორუსელი პარლამენტარების ვიზიტს საქართველოში „ძალიან მნიშვნელოვანს“ უწოდებს. პარალელურად მინსკის სამკაციანი ჯგუფი სოხუმშიც მართავს შეხვედრებს. ამ ვიზიტის შედეგად ბელორუსიამ აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ „აღიარების“ საკითხზე ოფიციალური პოზიცია უნდა გამოხატოს.

ბელორუსიის პარლამენტმა 5 ნოემბერს წარმომადგენელთა პალატაში სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომელმაც უახლოეს მომავალში საქართველოს სეპარატისტული რეგიონების საკითხი უნდა გადაწყვიტოს. ამის საფუძველი გახდა სოხუმის და ცხინვალის მიმართვა ბელორუსიის ხელისუფლებისადმი ე.წ. აღიარებაზე.

ბელორუსი პარლამენტარები საქართველოში შეხვდნენ როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებს, ასევე უშუალოდ ოკუპირებული რეგიონებიდან დევნილებსაც. მათ აუდიენციები ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლებთანაც ჰქონდათ. ორივე მხარე აღნიშნულ შეხვედრებს პროდუქტიულს უწოდებს. თუმცა, საბოლოოდ მინსკი რა გადაწყვეტილებას მიიღებს, ამის პროგნოზირებისგან ყველანი დიპლომატიურად თავს იკავებენ.

მინსკელი პარლამენტარების სამკაციანი ჯგუფი ამავე დღეებში სოხუმშიც იმყოფება და იქაც ადგილზე სწავლობს შექმნილ რეალობას. მათ მარიონეტულ ხელისუფლებასთან და აფხაზური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთანაც შეხვედრები გამართეს. რას ეტყოდნენ მათ სეპარატისტები, ნათელია. მთავარი აქ ის არის, თავად ბელორუსები რისკენ ისწრაფვიან და რა საბოლოო არჩევანის გაკეთებას აპირებენ აგრესორ კრემლსა და დემოკრატიულ დასავლურ სამყაროს შორის.

გუშინვე ბელორუსული დელეგაციის წარმომადგენლები კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესაც შეხვდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ უწმინდესის პოზიცია ბელორუსებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას მოახდენს. ბელორუსებმა ისიც კარგად იციან, რომ რუსეთის საპატრიარქო დღემდე უარს ამბობს ე.წ. პოლიტიკური საზღვრების ცვლილების აღიარებაზე და აფხაზეთის (მათ შორის ეკლესიის) „დამოუკიდებლობის“ აღიარებაზე. რამდენად იმოქმედებს ეს ფაქტორი ექსკოლმეურნეობის თავმჯდომარე ლუკაშენკოზე, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

ამასობაში მინსკის დელეგაციასთან შეხვედრებით აფხაზური მხარეც კმაყოფილია. ბელორუსული დელეგაციის ხელმძღვანელმა მიხაილ რუსიიმ ბაღაფშის ხელისუფლებამ „სიტუაციის სრული სურათის დანახვის შესაძლებლობისთვის“ მადლობა გადაუხადა.

— ჩვენ მოვინახულეთ აფხაზეთის პარლამენტი, შევხვდით სპიკერს და სახალხო კრების კომიტეტების ხელმძღვანელებს. საინტერესო და საგნობრივი საუბარი შედგა მთავრობაში. ჩვენ დიდი კმაყოფილება მივიღეთ საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბასთან შეხვედრით და საგარეო უწყებაში მიღებული დოკუმენტები ჩვენი ვიზიტის შედეგების შეჯამებაში ხელს შეგვიწყობს. აფხაზეთის თავდაცვის მინის-

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# ალასანიას პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნა უნდა

ნანა მიშელაშვილი

**„ალიანსი საქართველოსთვის“ შიგნით გარკვეული უთანხმოებაა. მართალია, ამას „ალიანსი საქართველოსთვის“ წევრები არ ადასტურებენ, თუმცა გარკვეული ინფორმაციები ჟონავს, რომ „ალიანსის“ შიგნით საქმე მთლად კარგად არ არის.**

„ალიანსის“ წევრებს რაიმე უთანხმოების აფიშირება არ სურთ. ეს ბუნებრივიც არის, რადგან ადგილობრივი არჩევნების წინ სიტუაციის „აჭრა“ სასურველი არ არის.

ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ირაკლი ალასანია. მას გადაწყვეტილების მიღება ერთ საკითხთან, კერძოდ, პარლამენტის 3 მანდატთან დაკავშირებით მოუწევს.

საქმე ისაა, რომ ადგილობრივი არჩევნების პარალელურად, სამ რაიონში უნდა ჩატარდეს დეპუტატის არჩევნები. ოზურგეთს, ჩუღურეთსა და გურჯაანს მაჟორიტარი დეპუტატები არა ჰყავს. არადა, ამ სამ რაიონს ნამდვილად სჭირდება დეპუტატი, ამიტომ გამოკლებული წევრების არჩევნები უნდა ჩატარდეს.

იმ შემთხვევაში, თუ ალასანიას პარტიამ 3 რაიონში მოისურვა კანდიდატურების დაყენება, ეს „ალიანსში“ გარკვეულ უთანხმოებას გამოიწვევს. არადა, ბოროტი ხმები ამბობენ, რომ ალასანიას პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნა სურს.

ახალი ფრაქციის შესაქმნელად ალასანიას ამჯერად რესურსი არა აქვს. მას, სულ მცირე, 6 დეპუტატი მაინც სჭირდება, რომ ახალი ფრაქცია შექმნას. 2 დეპუტატის მოძებნა პარლამენტში ალასანიას ახლაც შეუძლია.

გიორგი ცაგარეიშვილი და კარლო კოპალიანი ალასანიას ახალ ფრაქციაში კი წავლენ, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. კიდევ 4 დეპუტატია საჭირო. იმ შემთხვევაში, თუ ალასანიას პარტია სამ მაჟორიტარულ ოლქში კანდიდატს დააყენებს და გაიმარჯვებს, ალასანიას პოზიციები პარლამენტში გაძლიერდება, რადგან 5 დეპუტატი ეყოლება. მეექვსე დეპუტატის მოძებნა ფრაქციის შესაქმნელად საკმაოდ მარტივი იქნება.



ირაკლი ალასანიას მიერ ახალი ფრაქციის შექმნა იმას ნიშნავს, რომ, გარე ოპოზიციისგან განსხვავებით, მას პარლამენტის ტრიბუნა ექნება. ასევე ექნება გარკვეული პოსტები დელეგაციებსა და კომიტეტებში, თუმცა ეს ყველაფერი ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდებია და ამის განსახორციელებლად, სულ მცირე, 3 დეპუტატის მანდატის მოპოვებაა აუცილებელი.

სანამ ირაკლი ალასანიას გუნდი პარლამენტის გამოკლებული წევრების არჩევნებში მონაწილეობას გადაწყვეტს, ალბათ, დავით გამყრელიძის პოზიციის მოსმენა მოუწევს. გამყრელიძეს ამ პარლამენტზე მაინცდამაინც კარგი შეხედულება არა აქვს. „მემარჯვენეებმა“ 5 მანდატზე უარი თქვეს, საიდანაც 2 მაჟორიტარულ ოლქში მოპოვებული მანდატები იყო. მანდატების დაჭრის შემდეგ „მემარჯვენეებმა“ და ოპოზიციის კიდევ რამდენიმე ლიდერმა სადეპუტატო მანდატი შეიწყვიტა.

## გამყრელი ესა და ალასანიას შორის უთანხმოებაა?

ალიანსში კიდევ ერთი უთანხმოების მიზეზი, შესაძლოა, დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი გახდეს. გიორგი ცაგარეიშვილი და ირაკლი ალასანია სტუდენტობის მეგობრები არიან. ცაგარეიშვილი ალასანიას პარტიაში აპირებს შესვლას, თუმცა ამას ხელს, სავარაუდოდ, დავით გამყრელიძისა და დანარჩენების პოზიცია უშლის.

გიორგი ცაგარეიშვილსა და დავით გამყრელიძეს ცუდი ურთიერთობა რომ აქვთ, ეს ყველას კარგად ახსოვს. ცაგარეიშვილმა გამყრელიძეს ერთხელ დიქტატორობაც კი დასდო ბრალად.

ცაგარეიშვილი-გამყრელიძის დაპირისპირება სათავეს ჯერ კიდევ წინა პარლამენტიდან იღებს. ეს წყენა, როგორც ჩანს, ორივეს ჯერ კიდევ ახსოვს და არ განელებია.

ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ გამყრელიძე და მემარჯვენეები არიან წინააღმდეგი, რომ გიორგი ცაგარეიშვილი ალასანიას პარტიაში შევიდეს და, შესაბამისად, ალიანსის წევრი გახდეს. მართალია, ცაგარეიშვილი ჯერ ალასანიას პარტიის წევრი არ არის, თუმცა ალასანია და ცაგარეიშვილი ამ ბოლო დროს ერთად შეხვდნენ ვეტერანებს და მათი პოზიციებიც მოისმინეს. ეს ფაქტი, წესით, შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენოდა „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერს, თუმცა, ვის შეიყვანს პარტიაში ალასანია და ვის — არა, ამას, ალბათ, თავად გადაწყვეტს და არა „ალიანსის“ დანარჩენი წევრები.

ირაკლი ალასანია ამჯერად ევროპაში წავიდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას რამდენიმე სიახლე დახვდება. ერთი უკვე ცნობილია. პრაიმერში კონსერვატორებმა მერის პოსტზე ზვიად ძიძიგურის კანდიდატურა დაასახელეს. სანამ ალასანია თბილისში ჩამოვა, შესაძლოა, თბილისის მერობის მსურველთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს, ანუ, როგორც კი ალასანია გაიგულეს, მაშინვე მერობის კანდიდატურების დასახელება დაიწყეს.

ოპოზიცია მერობის 3-4 კანდიდატურაზე არ გაჩერდება და კანდიდატურების დასახელებას გააგრძელებს. ამას თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ კანდიდატურის დასახელებას აპირებენ „ქრისტიან-დემოკრატები“ და კიდევ ერთი-ორი ოპოზიციური პარტია.

სანამ კანდიდატურების დასახელება მიმდინარეობს, ოპოზიცია ერთმანეთს სხვა საკითხებშიც უყენებს ბრალდებას. „ალიანსი საქართველოსთვის“ თბილისის მერის არჩევნების დროს 50%-იან ბარიერს მოითხოვს, ოპოზიციის ნაწილი და ხელისუფლება კი 30%-ზეც თანახმაა. ამ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული უთანხმოება იმ ჯგუფში მოხდა, რომელიც ახალ საარჩევნო კოდექსზე მუშაობს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ორი დღის წინ სამუშაო ჯგუფის სხდომა პროტესტის ნიშნად მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა დატოვეს.

ეს ფაქტობრივად, პირველი შემთხვევაა, როდესაც რაიმე სამუშაო ჯგუფის სხდომას ოპოზიციის ნაცვლად ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ტოვებენ. ამ ფაქტს ზოგიერთი ოპოზიციონერი ოპოზიციის დამსახურებად მიიჩნევს, თუმცა, თუ სამუშაო ჯგუფი ვერ შეთანხმდა და ახალი საარჩევნო კოდექსი არ იქნა მომზადებული, დიდი ალბათობაა, რომ ადგილობრივი არჩევნები ისევ ძველი საარჩევნო კოდექსით ჩატარდეს.

ძველი საარჩევნო კოდექსით არჩევნების ჩატარება კი ოპოზიციას არ აწყობს, რადგან ოპოზიციას ძირითადი პრეტენზიები სწორედ მოქმედ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით აქვს.

## თელავის უნივერსიტეტიდან გათავისუფლებულმა ლექტორებმა სასამართლოს მიმართეს

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გათავისუფლებულმა ლექტორებმა აკადემიური საბჭოს ოქმის და რექტორის ბრძანების გაუქმების მოთხოვნით სასამართლოს მიმართეს.

როგორც „პირველს“ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან აცნობეს, უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 2009 წლის 10 სექტემბერს კონკურსი ჩატარდა და მნიშვნელოვანი დარღვევებით წარიმართა, რომლის დროსაც მასში მონაწილე პირები თანაბარი უფლებებით არ სარგებლობდნენ.

პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელდინო ჯანგულაშვილის განცხადებით, მისი, ზიზი ლორიასა და მედიკო მეტრეველის სამსახურის გარეშე დატოვება, წინასწარ იყო გადაწყვეტილი.

პედაგოგების ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს უნივერსიტეტის რექტორი გიორგი გოცირიძე. მისი თქმით, ლორიამ, ჯანგულაშვილმა და მეტრეველმა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად აუცილებელი მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილეს. ელდინო ჯანგულაშვილის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ იცავს.

**პირველი**

# „ბაგრატიონი 1882“-მა ახალი ბრენდი, „რეზერვი“, წარმოადგინა

შორენა გონგლა ე

**კომპანია „ბაგრატიონი 1882“-მა გუშინ ახალი ცქრიალა ღვინის, „რეზერვის“, პრეზენტაცია გამართა. როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, „რეზერვი“ ქართულ ბაზარზე გასაყიდად 19 ნოემბრიდან გავიდა და იგი სასტუმროებში, კაფეებში, რესტორნებსა და საცალო სავაჭრო ქსელში გაიყიდება. გუშინვე გაიმართა სარეკლამო კლიპის პრეზენტაციაც, რომელსაც მაყურებელი სულ მალე იხილავს.**



თამამად შეიძლება ითქვას, რომ „რეზერვი“, მართლაც რომ, განსაკუთრებულია საქართველოს ბაზარზე არსებულ ცქრიალა ღვინოთა შორის. პროდუქტი გამოირჩევა დამზადების წესითა და სრულიად ახალი და განსხვავებული გემოთი.

„რეზერვი“ დამზადებულია ფრანგული შამპანიზაციის ანუ ბოთლური მეთოდით, რაც იმას ნიშნავს, რომ ღვინის მეორადი ფერმენტაცია მიმდინარეობს ბოთლში. თავად ღვინის დაწურვისას გამოყენებული იყო ქართული ყურძნის საუკეთესო საშამპანურე ჯიშების — „ჩინურის“, „მწვანესა“ და „ციცქას“ 2007 წლის მოსავალი. მოსავლის მიღებისას საგულდაგულოდ და ზედმიწევნით შეირჩა მტევნები, რამაც პროდუქტის უმაღლესი ხარისხი განაპირობა. ამჯერად „ბაგრატიონი 1882“ მომხმარებელს სთავაზობს „რეზერვს“ ბრუტის სახეობით. მომავალში იგეგმება ამავე დასახელების ნახევრად მშრალის გამოშვებაც.



ქართველ სპეციალისტებთან ერთად, „რეზერვის“ დამზადების პროცესში მონაწილეობდნენ მაღალკვალიფიციური გამოცდილი გერმანელი სპეციალისტები. „რეზერვი“ უკვე გადის ექსპორტზე აშშ-სა და გერმანიაში. პროდუქტი წარმოდგენილი იყო საერთაშორისო გამოფენაზე დიუსელდორფში და ლონდონის ღვინის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც სომელიებისა და სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა.

„ბაგრატიონი 1882“-ში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პროდუქტის შეფუთვას. დიზაინი დაამუშავა ცნობილმა გერმანულმა კომპანიამ, „ცონცეპტ ფრანკფურტმა“, ჩატარდა თვისობრივი კვლევები საქართველოში, აშშ-სა და გერმანიაში. ფოკუსჯგუფებთან „რეზერვის“ შეფასებისა და განხილვისას გამოიკვეთა, რომ პროდუქტის იმიჯი არის სოლიდური არისტოკრატული, კვლევის მონაწილენი „რეზერვს“ განიხილავდნენ, როგორც განსაკუთრებული შემთხვევების აღსანიშნავ სასმელს და პრეზენტაციების ერთ-ერთ აუცილებელ ატრიბუტსა და ძვირფას საჩუქარს.

„ბაგრატიონი 1882“ გეგმავს, რომ „რეზერვი“ გაიყიდოს სასტუმროებში, კაფეებსა და რესტორნებში, ასევე საცალო სავაჭრო ქსელში. „ბაგრატიონი 1882“ განაგრძობს განვითარებას და მომხმარებელს მრავალფეროვან პროდუქციას სთავაზობს. „რეზერვი“ კიდევ ერთი სიახლეა ცქრიალა ღვინის მოყვარულთათვის.

როგორც მარკეტინგისა და გაყიდვების დირექტორმა ირაკლი წერეთელმა განაცხადა, „რეზერვის“ საცალო ფასი მომხმარებლისთვის აბსოლუტურად მისაღები იქნება. მისი თქმით, აღნიშნული ღვინო უკვე გადის ექსპორტზე ამერიკასა და გერმანიაში. მისივე განცხადებით, ექსპორტზე უკვე 10 ათასი ბოთლი ღვინო გავიდა, ადგილობრივ ბაზარზე კი კომპანია ერთი წლის განმავლობაში 40-50 ათასი ბოთლი „რეზერვის“ გამოშვებას გეგმავს.

ირაკლი წერეთელი, „ბაგრატიონი 1882“-ის მარკეტინგის დირექტორი:

— დღეს კომპანია „ბაგრატიონი 1882“ წარმოადგენს თავის ახალ პროდუქტს. ეს პროდუქტი დამზადებულია ტრადიციული შამპანიზაციის მეთოდით, ანუ მეორადი ფერმანტაცია მიმდინარეობს ბოთლში და ღვინო ძველდება ბოთლში ერთი წლის განმავლობაში. ჩვენ ვიყენებთ მხოლოდ ქართული ყურძნის ჯიშებს. ეს არის 2007 წლის მოსავალი, რომელიც გამოირჩეოდა თავისი ხარისხით. პროდუქტი შეფუთულია გერმანიაში, არის ძალიან მაღალი ხარისხის და დახვეწილი. ჩვენი ახალი პროდუქტი გამოირჩევა თავისი გემოვნური თვითსებებითაც და შეფუთვითაც.

*— რა იქნება თქვენი ახალი პროდუქტის ფასი?*

— ფასი მაღაზიაში იქნება 20 ლარამდე.

*— პირველ ეტაპზე სად იგეგმება ამ ღვინის გაყიდვა?*

— ეს პროდუქტი უკვე იყიდება საზღვარგარეთ, გერანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. გაყიდვა უკვე დღეიდან დაიწყება საქართველოშიც და შემდეგ მოიცავს სხვადასხვა ბაზარს.

## ბელორუსია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობას“ არ აღიარებს

დასაწყისი მე-5 გვერდზე

ტრთან შეხვედრისას ჩვენ ბევრი დეტალი განგვიმარტეს, რაც ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, — აცხადებს მიხაილ რუსიი.

— ბელორუსი დეპუტატები და სენატორები აპირებენ ადგილზე შეისწავლონ სიტუაცია — აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის, თუ არაღიარებისთვის, — აცხადებს ბელორუსიის პარლამენტის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი სერგეი მასკევიჩი. მისივე თქმით, ის საქართველოს და ბელორუსიის ურთიერთობების განვითარებას და ასევე კავკასიური პრობლემის გადაწყვეტას იმედოვნებს.

— ჩვენ ვგრძნობთ, რომ ხალხმა მართლაც დიდი სტრესი გადაიტანა, სტრესი განიცადა სახელმწიფომაც. ამავდროულად ჩვენ ვგრძნობთ, რომ არის მზაობა, არის პოტენციალი, განწყობილება სიტუაციის ცივილიზებული გზით განვითარებისთვის, თანამშრომლობისთვის და ა.შ. ამიტომ ჩვენ მოხარულნი ვართ, რომ ქართველი ხალხის ამ სითბოს ვგრძნობთ“, — აცხადებს უკვე თბილისში მყოფი მასკევიჩი.

თავის მხრივ აფხაზეთის „პრეზიდენტი“ ბაღაფში აცხადებს, რომ ბელორუსიასთან „ძველი მეგობრობა“ აკავშირებს. მან ლუკაშენკოს მადლობა გადაუხადა იმ ქმედებისთვის, „რაც მან დსთ-ს მხრიდან აფხაზეთის ბლოკადისას გამოიჩინა“. ცნობილია, რომ მაშინ ლუკაშენკო ამ ისედაც ფორმალურ ბლოკადას არ ცნობდა.

ბაღაფში ხაზს უსვამს, რომ „აფხაზეთი დიალოგს წარმართავს ყველასთან, ვისაც მასთან საუბარი სურს, მე ალექსანდრ ლუკაშენკოსაც ამის შესახებ არაერთხელ განვუცხადე, რომ ის, ვინც ჩვენ გვერდით იდგა მძიმე პერიოდში, ასეთებად დარჩებიან კიდევაც. ხოლო როგორ გაგრძელდება აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება, ამას დრო გვიჩვენებს. ჩვენ გვესმის, რომ ამ რთულ სამყაროში ყველაფერი ადვილად და მარტივად არ გვეძლევა“, — აცხადებს ბაღაფში.

ამასთანავე ბაღაფში აღნიშნავს, რომ „აფხაზეთის ხელისუფალნი არ აპირებენ არავისთვის დაძალებას და რაღაც მოთხოვნების წამოყენებას, რათა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარონ“. მისივე თქმით, „აფხაზეთმა ყველაფერი დანარჩენი შიდა რეფორმებით, დემოკრატიული ინსტიტუტების და ეკონომიკის განვითარებით უნდა მოიპოვოს“.

თბილისში დარწმუნებულნი არიან, რომ ბელორუსია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ე.წ. „დამოუკიდებლობას“ არ აღიარებს. ჩამოსვლის წინ მინსკმა ოფიციალურად სთხოვა ნებართვა ქართულ მხარეს, რომ დეპუტატები ცხინვალში და სოხუმში ჩასულიყვნენ. ამით მიანიშნეს, რომ ამ რეგიონებს კვლავაც საქართველოს ტერიტორიებად თვლიან. სოხუმში და ცხინვალში კი საპირისპიროდ ფიქრობენ.

შეგახსენებთ, რომ თებერვლის ბოლოს ევროკავშირმა ბელორუსია ოფიციალურად „აღმოსავლური პარტნიორობის“ პროგრამაში შეიყვანა და მინსკისგან მოითხოვა, რომ არ ეღიარებინა საქართველოს ოკუპირებული რეგიონები. სუვერენული სახელმწიფოებიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა დღემდე მხოლოდ რუსეთმა, ნიკარაგუამ და ვენესუელამ აღიარეს.

# ცოტნე გამსახურდიას არავინ დაუჭრია

გულიკო ბალა ე

დღეს უკვე 24-ე დღეა, საპყრობილეში შიმშილობს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი — ცოტნე გამსახურდია. აქედან 9 დღეა, რაც მშრალი შიმშილობა აქვს გამოცხადებული.

ცოტნე გამსახურდიას მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ ექიმთა სამი ბრიგადა რიგრიგობით მუდმივად მორიგეობს მის საკანში და ყურადღების გარეშე არ ტოვებენ.

— მთავარი კითხვა ისაა, ვის დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ დადგება ფატალური შედეგი, რასაც არ ვისურვებთ? ყველაფერი უნდა ვილონოთ საზოგადოების მხარდაჭერით, რომ ასეთი შედეგი თავიდან ავიცილოთ, — აცხადებს ცოტნე გამსახურდიას ადვოკატი ქეთი ბექაური, რომელმაც ცოტნე გამსახურდიას ფიზიკურ მდგომარეობასა და მის საქმესთან დაკავშირებით, არსებული მდგომარეობის თაობაზე გუშინ პრესკონფერენციაზე ისაუბრა.

ადვოკატი ქეთი ბექაური აცხადებს, რომ ეს საქმე ბურუსით არის მოცული და ალბათ ჟურნალისტებს დააინტერესებთ, რატომ არ იკითხება დაზარალებული დავით ბაჯელიძე.

— უკვე 24-ე დღეა, რაც ცოტნე გამსახურდია შიმშილობს. აქედან 9 დღეა მშრალ შიმშილობაზეა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად დამძიმდა, რომ უკვე ექიმები მის საკანში მუდმივად არიან და ცოტნეს ყურადღების გარეშე არ ტოვებენ. მაგრამ ეს არ აღელვებს იმ პროცესის მწარმოებელ ორგანოს, რომელიც გახლავთ ძველი თბილისის მესამე განყოფილება. ასევე ყურად არ იღებს არც დაცვის მხარის შუამდგომლობას, არც საზოგადოების პეტიციებს, არც დაინტერესებული პირების და არც არასამთავრობოების აზრს, — ამბობს ქეთი ბექაური.

ცოტნე გამსახურდიას საქმის გამომძიებელი გახლავთ ზურაბ სხირტლაძე. ქეთი ბექაურმა ჟურნალისტებს გვაჩვენა ზურაბ სხირტლაძის გამოგზავნილი პასუხები მის შუამდგომლობებზე, რომელიც, რა თქმა უნდა, არ დაკმაყოფილდა. სხირტლაძის პასუხებიდან გამომდინარე, ადვოკატს გამომძიებელ სხირტლაძის იურიდიულ კვალიფიკაციაში ეჭვი ეპარება. მისი შეფასებით, გამომძიებელი სხირტლაძე საგამომძიებლო ორგანოდან დათხოვნას იმსახურებს.

— გამომძიებელ ზურაბ სხირტლაძის მიერ 12 ნოემბერს გამომგზავნილი პასუხი ჩემს შუამდგომლობაზე კურიოზულია. ჩვენ შუამდგომლობაში ისეთს არაფერს ვითხოვთ — ელემენტარული რამ არის, როდესაც პირს ბრალი ედება (ეს იქნება ცოტნე გამსახურდია თუ ვინმე სხვა) სხვისი სიცოცხლის განზრახ ხელყოფაში, სიცოცხლის მოსპობის მცდელობაში და ასეთ საქმეზე დაზარალებული უნდა დაიკითხოს. ამ



შემთხვევაში კი დაზარალებულ დავით ბაჯელიძეს არ ჰკითხავენ.

გამომძიებლის პასუხი ჩემს შუამდგომლობაზე, თუ რატომ არ იკითხება დაზარალებული 23 დღის განმავლობაში, ძალიან კურიოზულია. გამომძიებელი გვპასუხობს, რომ დაზარალებული დაიკითხება გამოძიების ეტაპზე, როცა საჭიროდ ჩათვლიან. კომენტარი თქვენთვის მომინდვია.

ეს რას ნიშნავს? ქეთი ბექაურის განცხადებით:

— ეს ნიშნავს, რომ ამ წერილის ავტორს საერთოდ არ ჰქონდა უფლება იურისტის დიპლომი აეღო. ის, საერთოდ, არ უნდა მუშაობდეს, არც შს საქმეთა ორგანოებში და არც საგამოძიებო ორგანოში; საინტერესოა, ვინ დაავალა ცოტნე გამსახურდიას საქმის გამოძიება? ასეთი წერილის მომზადებისთვის ეს ადამიანი, საერთოდ, დათხოვნილი უნდა იქნეს შს ორგანოებიდან.

გამომძიებელმა სხირტლაძემ ცოტნე გამსახურდიას ადვოკატ ქეთი ბექაურს ასევე უარი უთხრა მეორე შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. „საკმაოდ კურიოზული დადგენილება გახლავთ. საგამოძიებო ორგანომ უარი გვითხრა, როდესაც მივმართეთ შუამდგომლობით, საქმეს დაერთოს, ჩემ მიერ დამოუკიდებელი საექსპერტო-კრიმინალისტიკური ბიუროდან მიღებული წერილობითი მოსაზრება, რომელმაც თავიდან ბოლომდე გააბათილა გამოძიების მიერ დანიშნული ქიმიური ექსპერტიზების დასკვნა, ყბადაღებული დენთის კვლების აღმოჩენაზე ცოტნე გამსახურდიას ხელზე და ასევე ტანსაცმელზე“.

## რატომ არ დაკითხეს დაჭრილი დავით ბაჯელი ე

ეს გახლავთ წერილობითი მოსაზრება, რომელიც პროცესით გათვალისწინებული ნორმით, 129-ე მუხლის საფუძველზე მოიპოვა დაცვის მხარემ. „ამით გარკვეული რევიზია ჩავუტარეთ გამოძიების მიერ ჩატარებულ ქიმიურ ექსპერტიზას, რის შედეგადაც აღმოჩნდა, რომ კვლევის მეთოდიკა იყო დარღვეული, ხოლო ექსპერტიზის ჩამტარებელი პირი არ გახლდათ სპეციალისტი. მას მიღებული აქვს ქიმიური განათლება. თვითონვე წერს, რომ განათლებით იურისტია. ეს ქალბატონი გახლავთ ვინმე ლარისა ლისინა, რომელმაც აიღო ნიმუშების კვლები ცოტნე გამსახურდიას ხელებიდან, ანაწმედების სახით, თითქოს დენთის კვლის აღმოჩენის მიზნით. ლარისა ლისინა — მისი სახელი და გვარი მინდა დაიმახსოვროს საზოგადოებამ. ამდენად, ექსპერტიზა დარღვევით ჩატარდა, — ასკვნის ადვოკატი.

ადვოკატმა ქეთი ბექაურმა წარმოადგინა აგრეთვე მის მიერ მოპოვებული საექსპერტო მოსაზრება. „ექსპერტის მიერ მთელი რიგი სამეცნიერო კვლევის მეთოდიკა და სპეციალური, ტექნიკური, კრიმინალისტიკური ლიტერატურა იქნა გამოყენებული და ისე დაასაბუთა იმის საპირისპირო, რაც წერია ლარისა ლისინას მიერ წარმოდგენილ დასკვნაში. ამის საპასუხოდ გამომძიებელი სხირტლაძე თავის დადგენილებაში მიუთითებს, რომ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს და დამოუკიდებელი კრიმინალისტი ექსპერტი გიორგი გოგია არ შეიძლება დაიკითხოს წინასწარი გამოძიების პროცესში თურმე იმიტომ, რომ „მან თავისი მოსაზრება შეადგინა ლიტერატურულ ნაწარმოებზე დაყრდნობით“. აი, უცოდინრობის კიდევ ერთი დასტური და უვიცობის ზეიმი, როდესაც გამომძიებელი (მაპატიეთ, სხვა რა ვუწოდო არ ვიცი) ლიტერატურულ მხატვრულ ნაწარმოებს, სპეციალური კრიმინალისტიკური ლიტერატურისაგან ვერ არჩევს, რომლის მიხედვითაც არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში ტარდება და სპეციალურ ლიტერატურაში მითითებული კვლევის მეთოდიკით დგინდება, იყო თუ არა ამა თუ იმ პირის ხელებზე ან ტანსაცმელზე დენთის კვალი. რა წესით ხდება ეს ყველაფერი, ჩამოყალიბებული აქვს დამოუკიდებელ ექსპერტს, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა გამომძიებელმა. უარი გვითხრეს ექსპერტის დაკითხვაზე, რათა მომხდარიყო საპროცესო გამაგრება“.

საუბარია დამოუკიდებელი საექსპერტო-კრიმინალისტიკური ბიუროს ექსპერტ-კრიმინალიტ გიორგი გოგიაზე, რომლის დაკითხვაზე გამოძიება უარს აცხადებს.

კითხვაზე, ამ შემთხვევაში გამომძიებელ სხირტლაძის უცოდინრობასთან გვაქვს საქმე, თუ შეკვეთასთან? ადვოკატი ქეთი ბექაური პასუხობს:

— მე ვარ იურისტი, ადვოკატი და დაცვის მხარეს წარმოვადგენ. ვისი დაკვეთით ხდება ეს? არის თუ არა კერძო დაინტერესება? არის თუ არა პირთა ჯგუფი და ვინ არიან ისინი? მე ამას, სამწუხაროდ, შეფასებას ვერ მივცემ. ამის შეფასება სხვა დონეზე უნდა მოხდეს. ასეთი შეფასება შეგიძლიათ თავისუფალ ჟურნალისტებს და საზოგადოებას.

— ჩვენი ძირითადი პრეტენზია ისაა, რომ არ ხდება ცოტნე გამსახურდიას საქმეზე არ ტარდება აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებები, არ დაიკითხეს დაზარალებული. ამ დროს ცოტნე გამსახურდია 23-ე დღეა შიმშილობს. შიმშილობის ფორმა კი არის უკიდურესი და ძალიან მძაფრი. ეს არის მშრალი შიმშილობა, რომელმაც ფატალური შედეგი შეიძლება გამოიწვიოს. ამ დროს მოცემულ საქმეზე მიუკერძოებელი, ეფექტური და სამართლიანი გამოძიება არ მიმდინარეობს, რაც აღიარებული, დაცული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით, ასევე საქართველოს კონსტიტუციით პრიორიტეტად აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით — განებავთ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, განებავთ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციით.

სწორედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული სიცოცხლის უფლება არის ხელყოფილი ცოტნე გამსახურდიას მიმართ. ამან გამოიწვია ჩვენი შეშფოთება. ამიტომ გადავწყვიტეთ საზოგადოებისთვის გაგვეცნო, რა ხდება ცოტნე გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებით, ვინაიდან აზრი ორად არის გაყოფილი და ცოტა ხნის წინ ცოტნე გამსახურდია არცთუ ისე დადებითი კუთხით წარმოაჩინეს. მაშინ ჩვენ ამაზე გავჩუმდით, ვინაიდან ველოდებოდით, რომ პროცესის მწარმოებელი ორგანო მოკლე დროში, გადაცემა „პოსტკრიპტუმში“ ცოტნე გამსახურდიაზე გარკვეული ინფორმაციის გაშვების შემდეგ, ჩაატარებდა მოკვლევას, მაგრამ გამოძიება უმოქმედოა.

ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განაცხადა, რომ მან ჟურნალისტები პირადად ცოტნე გამსახურდიას ინიციატივით მიგვიწვია.

— ვინაიდან ისინი არანაირ ქმედით საგამოძიებო ღონისძიებას არ მიმართავენ, ამიტომ მე თქვენ მოგიწვიეთ თვითონ ბრალდებულ ცოტნე გამსახურდიას ინიციატივით. მისი თხოვნა იყო, რომ მასმედიის საშუალებით საზოგადოებისთვის მეცნობებინა, რა ხდება მისი ბრალდების საქმეში.

დაადგინა თუ არა გამოძიებამ, ვინ დაარტყა ცოტნე გამსახურდიას თავში? როგორც ადვოკატი აცხადებს, ამ კითხვას პასუხი ვერ გაეცემა ვერც ერთ შემთხვევაში, თუ არ დაიკითხება თავად დაზარალებული დავით ბაჯელიძე.

ადვოკატი ქეთი ბექაური ახმაურებს ინფორომაციას, რაც მისი თქმით, არის დავით ბაჯელიძის განცხადება, რომ ცოტნე გამსახურდიას მისთვის დაზიანება არ მიუყენებია.

— დავით ბაჯელიძე ითხოვს ამ საგამოძიებო მოქმედების ჩატარებას, რაც, სამწუხაროდ, არ სრულდება, ანუ ბაჯელიძე ითხოვს დაკითხვას. ის ამისთვის მზად არის, ჯანმრთელად გრძნობს თავს და აცხადებს, რომ ცოტნე გამსახურდიას მისთვის სხეულის დაზიანება არ მიუყენებია.

# მოხევეები ლარსის გამშვები პუნქტის გახსნას ეწინააღმდეგებიან

ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნის საკითხი ჯერ ოფიციალურად გადაწყვეტილი არ არის. თუმცა, ხელისუფლების მაღალჩინოსნების განცხადებებიდან გამომდინარე, საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. პუნქტის შესაძლო გახსნასთან დაკავშირებით, მეზობელი სომხეთისთვის ანგარიშის გაწევის აუცილებლობასთან ერთად, ხელისუფლებას ის არგუმენტიც მოჰყავს, რომ ეს ყაზბეგის რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყობს ხელს. მეტიც, ცენტრალური ტელევიზიების ეთერში გასული სიუჟეტების მიხედვით, ლარსის გახსნას ხევის მოსახლეობაც ემხრობა. თუმცა, 21 ნოემბერს სტეფაწმინდაში, ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმის ეზოში მიტინგი გაიმართება, რომელზეც მოხევეები სწორედ ლარსის გახსნას გააპროტესტებენ. როგორც „მედიანიუსს“ აქციის ორგანიზატორმა ზაზა წიკლაურმა განუცხადა, საპროტესტო აქცია მთელი ხევის აზრს გამოხატავს.

— ეს ძალიან დიდი და პრობლემური თემაა. მოკლედ ვიტყვი: შეიძლება, ბევრმა არ იცის, თუ რა გეგმები აქვთ რუსებს და ოსებს ყაზბეგის რაიონის მიმართ. ისინი ამტკიცებენ, რომ ყაზბეგის რაიონი ეკუთვნის ჩრდილოეთ ოსეთს და ის ხელოვნურად მიუერთეს საქართველოს. ქართულ პრესაში ეს ამბავი მიჩუმათდა. ასეთ ვითარებაში დაუშვებელია ლარსის პუნქტის გახსნა. არ შეიძლება ამის გაკეთება, რადგან მტერს ხელი არ უნდა შევუწყოთ. ჩვენ, ხევის მოსახლეობას გვაქვს კონტაქტები ინგუშეთში, ჩეჩნეთში და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ნაწილში. გვაქვს ინფორმაცია, რომ სერიოზულად აპირებენ ყაზბეგზე მოდავებას. უფრო დეტალურად ამაზე ყაზბეგში 21 ნოემბერს დაგეგმილ მიტინგზე ვისაუბრებთ.

***— პირველ რიგში, იმას გკითხავთ, თქვენ რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციას ხომ არ მიეკუთვნებით და რომელიმე პოლიტიკური პარტია ხომ არ არის ამ საპროტესტო აქციის ორგანიზატორი?***

— არცერთ პოლიტიკურ ორგანიზაციას არ მივეკუთვნები და ამ აქციის უკან არანაირი პარტია არ დგას. პირიქით, ჩვენი სურვილი იქნებოდა, რომ პოლიტიკური ძალები ამოსულიყვნენ ყაზბეგში და ჩვენთვის მოესმინათ. განსაკუთრებით ეს ეხება სახელისუფლებო პარტიის წევრებს, რადგან ისინი იღებენ გადაწყვეტილებებს. ამ პუნქტის გახსნა დაუშვებელია.

***— თქვენ არგუმენტად ის დაასახელეთ, რომ მართლაც, ჩრდილოეთ ოსეთში და რუსულ პრესაში დაიწყო პროპაგანდა, რომლის მიხედვითაც, ყაზბეგი ოსეთს უნდა დაუბრუნდეს. თუ რუსებმა ფართომასშტაბიანი პროვოკაციების განხორციელება დაიწყეს, რა მნიშვნელობა ექნება, გახსნილია თუ დახურული ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი?***

— კი მაგრამ, ჩვენ ამ პუნქტის გახსნით რატომ უნდა შევიქმნათ ზედმეტი პრობლემები და რატომ უნდა შევუწყოთ ხელი რუსებს და ოსებს თავიანთი მიზნების განხორციელებაში? რატომ უნდა გადავდგათ თუნდაც ერთი ნაბიჯი, რომელიც რუსეთს საქმეს გაუიოლებს? როდესაც რუსები 1801 წელს შემოვიდნენ საქართველოში, მათ პირველ რიგში, ამ გზის მშენებლობა დაიწყეს და ჩვენი ნებით რატომ ვუხსნით ამ გზას? მაინც და მაინც იქამდე უნდა მივიყვანოთ საქმე, რომ აქედან გამოგვყარონ ქართველები, როგორც ეს შიდა ქართლში გააკეთეს?!

***— დავაზუსტებ - ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნას ეწინააღმდეგება ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის ნაწილი თუ მთელი ხევი?***

— მთელი ხევი წინააღმდეგია ამ გზის გახსნის. ჩვენ დავწერეთ მიმართვა, რომელსაც ყველამ მოაწერა ხელი და ამ მიმართვის მიწოდებას ხელისუფლებისთვის შევეცდებით. ყველა წინააღმდეგია.

***— ადგილობრივი ხელისუფლებაც?***

— არ ვიცი, გაბედავენ თუ არა ამის ხმამაღლა თქმას, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლებაც ჩვენს აზრს იზიარებს როგორც ადამიანურად, ისე თანამდებობრივად.

***— ისე, თქვენი განცხადება ზოგიერთს, შესაძლოა, უცნაურად მოეჩვენოს, რადგან ცენტრალური ტელევიზიების მიხედვით, ხევის მოსახლეობა მიესალმება ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნას.***

— ეს სისულელეა. აქ იყვნენ ამოსულები ტელევიზიები, ჩაწერეს ინტერვიუები და ყველა ეუბნებოდა, რომ წინააღმდეგნი იყვნენ ამ გზის გახსნის. მაგრამ, მერე დაამონტაჟეს ეს ყველაფერი და ისე გამოიყვანეს, თითქოს ხევს უხარია ლარსის გახსნა. ვიმეორებ — მთელი ხევი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამ პუნქტის გახსნას.

***— ხელისუფლების წევრების არგუმენტით, ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის ამუშავება ხელს შეუწყობს ყაზბეგის რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებას.***

— როგორ შეუწყობს ხელს?! როდესაც ლარსის პუნქტი გახსნილი იყო, დიდი რაოდენობით კონტრაბანდული ტვირთი მოძრაობდა. მოხევე იყო კონტრაბანდის გადამზიდავი, ტვირთების ჩამომზიდი და მუშა. აი, სულ ეს იყო „ინფრასტრუქტურის განვითარება“. თუ ეს პუნქტი გაიხსნება, უკვე მკაცრი საბაჟო კონტროლი იქნება და ვერც ასე და ვერც ისე, ადგილობრივი მოსახლეობას არანაირი შემოსავლები არ ექნება. მით უმეტეს, ამ გზაზე ქართულ ტვირთები უკვე აღარ იმოძრავებს. დაგვიჯერეთ ადგილობრივ მოსახლეობას, არანაირი „ინფრასტრუქტურის განვითარება“ არ იქნება. მეორეც, მთავარი ხომ სახელმწიფოს ინტერესია, რასაც, ჩვენი აზრით, ლარსის გახსნა ეწინააღმდეგება. მაინც და მაინც რუსეთს უნდა დავუთმოთ ხევი?! კარგი იქნება, თუ ჟურნალისტები ხშირად ამოვლენ ხოლმე და ყურადღებას მოგვაქცევენ და ჩვენს აზრს დააფიქსირებენ. იმედია, შაბათის აქციას ჟურნალისტები ყურადღებას მიაქცევენ.

***— ამოვლენ, ალბათ, თუ გზა იქნება გახსნილი.***

— გზა გახსნილია. ჩვენი ინფორმაციით, მოძრაობა შესაძლებელია. ზოგჯერ გზა გახსნილია ხოლმე და მაინც ავრცელებენ ინფორმაციას, თითქოს მოძრაობა შეუძლებელია. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამას სპეციალურად აკეთებენ, მაგრამ ფაქტია, რომ ხევს მეტი ყურადღება სჭირდება როგორც ხელისუფლების, ისე მედიის მხრიდან.

**მედიანიუსი**

## სააკაშვილმა იუშჩენკო წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა

კიევში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავისი უკრაინელი კოლეგა ვიქტორ იუშჩენკო სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოთი წმინდა გიორგი ორდენით დააჯილდოვა.

სააკაშვილმა იუშჩენკოს ორდენი კიევში საქართველოს საელჩოს ახალი შენობის გახსნასთან დაკავშირებით გამართულ ცერემონიაზე გადასცა.

იუშჩენკომ საქართველოს პრეზიდენტს ჯილდოსთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ მისთვის დიდი პატივია იმ ორდენის მიღება, რომლის კავალერები არიან ლეხ კაჩინსკი, ვალდას ადამკუსი და ჯონ მაკკეინი.

ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა საელჩოს ახალი შენობა დაათვალიერეს და საპატიო სტუმრების წიგნში ჩანაწერები გააკეთეს.

მედიანიუსი

## საქართველოს ელჩმა ნურსულთან ნაზარბაევს რწმუნებათა სიგელები გადასცა

ყაზახეთში და უზბეკეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა პაატა კალანდაძემ ყაზახეთის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს რწმუნებათა სიგელები გადასცა.

ნაზარბაევმა ელჩს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ მისი მუშაობის პრაქტიკული შედეგები ქართულ-ყაზახურ ურთიერთობებს ახალ დონეზე აიყვანს.

კალანდაძე ელჩად მიმდინარე წლის ნოემბერში დაინიშნა. მანამდე ის ისრაელში საქართველოს კონსულის თანამდებობაზე მუშაობდა.

მედიანიუსი

## პერუმ შესაძლებელია სეპარატისტების დამოუკიდებლობა აღიაროს

პერუმ შესაძლებელია სეპარატისტული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიაროს

საქართველოს ორი სეპარატისტული რეგიონის აღიარების შესახებ შესაბამისი წინადადება პერუს კონგრესში ამ ქვეყნის ოპოზიციურ ნაციონალისტურმა პარტიამ შეიტანა. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კონგრესს არ ექნება მიზეზი, უარი თქვას ამ წინადადებაზე, -განაცხადა პარტიის ლიდერმა ოლიანტა ულამამ გააკეთა.

— პერუ — ერთ ერთი იმ ქვეყანათაგანია რომელმაც კოსოვოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად აღიარა. ამიტომაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ აფხაზეთიც და სამხრეთ ოსეთიც იმსახურებენ ოფიციალურ აღიარებას. სწორედ ამან გვიბიძგა ჩვენ კონგრესში ეს წინადადება შეგვეტანა,— აცხადებს ოლიანტა ულამა და დასძენს, ამჟამად სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან აწარმოებს კონსულტაციებს იმის შესახებ, რომ მის წინადადებას მხარი დაუჭირონ.

— იმედი მაქვს ჩვენ შევძლებთ კონგრესის დარწმუნებას აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა. მით უფრო, რომ ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავ იმისა, რომ კოგრესმა ჩვენს წინადადებაზე უარი თქვას, — აცხადებს ოლიანტა ულამა.

ულამა პერუში პოპულარულ პოლიტიკოსად თავისი ნაციონალისტური, ანტიიმპერიალისტური და ანტიამერიკული იდეების წყალობით გახდა. 2006 წელს ოლიანტა ულამა საპრეზიდენტო არჩევნებშიც მონაწილეობდა და ამომრჩეველთა ხმების 44,56 % დააგროვა. მისი პარტია სიდიდით მეორე პარტიაა პერუში.

პრაიმ-ნიუსი

## ვახტანგ VI-ის სტამბა იუბილარია

**ეკა ირემაშვილი**

გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ქართველის მეფის ვახტანგ VI-ის სტამბის 300 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება.

ეს მნიშვნელოვანი თარიღი კინომსახიობთა თეატრში კულტურული ღონისძიებით, საგანგებო გამოფენითა და კონცერტით უკვე აღინიშნა. ლიტერატურის მუზეუმში კი ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით წარმოდგენილი იქნება ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები, პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი" და სხვა უძველესი ბეჭდური ნიმუშები.

გამოფენის გახსნასთან ერთად ლიტერატურის მუზეუმში კონფერენცია სახელწოდებით „შტრიხები წიგნის ისტორიისათვის" მოეწყობა.

ლიტერატურის მუზეუმში ვახტანგ VI-ის სტამბის სამასწლიანი იუბილესადმი მიძღვნილი ექსპოზიცია 20 ნოემბერს გაიხსნება და ერთ თვეს გაგრძელდება.

## „ახალი ტალღა" დრამატურგებსა და სცენოგრაფებს შანსს აძლევს

**ეკა ირემაშვილი**

რუსთაველის თეატრის მიერ დაარსებული პროექტი „ახალი ტალღა" ახალგაზრდა ხელოვანების ხელშეწყობაზე მუშაობს. პროექტის ფარგლებში დრამატურგებისა და სცენოგრაფებისთვის კონკურსი გამოცხადდა.

პროექტი „ახალი ტალღა" რუსთაველის თეატრში პირველ ნოემბერს დაიწყო, რომლის ფარგლებშიც შეირჩევა 10 ახალგაზრდა რეჟისორი, დრამატურგი, მუსიკის ავტორი და სცენოგრაფი. ისინი 2009-2010 წლების თეატრალური სეზონის ბოლოს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე წარმოადგენენ 10 სპექტაკლს. პროექტის ფინანსური მხარდამჭერი კი ფონდი „ღია საზოგადოება საქართველოა".

პროექტის ფარგლებში ასევე ცხადდება დრამატურგების და სცენოგრაფების კონკურსიდრამატურგების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ახალგაზრდა დრამატურგებს. კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ერთი ან რამდენიმე პიესა. პიესის თემა კი თავისუფალია. უკვე გადაწყვეტილია, რომ კონკურსი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი სინოპსისების წარმოდგენა და წინასწარი შერჩევას მოიცავს. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარადგინონ სინოპსისი და მინიმუმ ერთი სურათი პიესიდან. სინოპსისთან ერთად ასევე შესაძლებელია დასრულებული პიესის წარდგენაც. მიღებული მასალის საფუძველზე კომპეტენტური ჟიური საუკეთესო პიესებს შეარჩევს. საკონკურსო მასალის მიღების ბოლო ვადა კი 20 ნოემბერია.

მონაწილეები, რომლებიც პირველ ეტაპზე წარადგენენ მხოლოდ სინოპსისებს, პიესის დასრულებული ვარიანტი 2009 წლის 25 დეკემბრამდე ჟიურის უნდა წარუდგინონ. პროექტის მეორე ეტაპი პიესების საბოლოო შერჩევაა. წარმოდგენილი მასალიდან კომპეტენტური ჟიური შეარჩევს 10 საუკეთესო პიესას, რომლებიც დაიდგმება რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე. ჟიურის წევრები პირობას დებენ, რომ საკონკურსო მასალის შერჩევისას დაცული იქნება ავტორის ანონიმურობა.

რაც შეეხება სცენოგრაფების კონკურსს, აქ საქმე გაცილებით მარტივადაა. მათთვის კონკურსის თემა თავისუფალია და იგი ორ ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი საკონკურსო მასალის მიღებაა, რაც მოიცავს ესკიზებს, მაკეტებსა და კოსტიუმების ფოტოებს. სცენოგრაფებისთვის გამართული კოკნურსის მეორე ეტაპზე კი მოხდება მათთან გასაუბრება.

# ამერიკა სააკაშვილის ალტერნატივას ეძებს

**შორენა კოწოწაშვილი**



პოლიტიკური პროცესის დუღილის პროცესში ხელისუფლება პოზიციების დათმობას არ აპირებს და ადგილობრივ არჩევნებში თბილისის მერის პოსტისთვის ბრძოლაში 40-50%-იანი ბარიერის წინააღმდეგია. ბოლო მომენტამდე ისე ჩანდა, რომ ხელისუფლება საწადელს აღწევდა, მაგრამ ორი დღის წინ გამოიკვეთა, რომ სააკაშვილის ინტერესები იზღუდება და რომ ნაციონალები 30%-იან ბარიერში სერიოზული მხარდაჭერის გარეშე დარჩნენ.

რა იყო სააკაშვილის გავლენიანი ნაციონალის — პავლე კუბლაშვილის გაღიზიანების მიზეზი, რა დამოკიდებულება აქვს ამერიკას ადგილობრივი არჩევნებისადმი საქართველოში, არის თუ არა სააკაშვილის ჩანაცვლებისთვის მზადება და აგზავნის თუ არა სააკაშვილი რუსეთში ემისრებს, ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან" ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **ნესტან კირთაძე** საუბრობს.

***— ქალბატონო ნესტან, როგორ შეაფასებდით იმ პოლიტიკურ პროცესს, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს და რომელიც ადგილობრივ არჩევნებთან და ბარიერთან დაკავშირებით გამოიკვეთა?***

— პირველ რიგში, კომენტარი უნდა გავაკეთოთ 18 ნოემბრის შეხვედრის ძალიან სკანდალურ ფაქტზე, როდესაც პავლე კუბლაშვილმა ნაციონალური მოძრაობის სახელით დატოვა ენდეაის ფორმატში დიალოგი და დისკუსია საარჩევნო კოდექსთან და საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და თქვა, რომ იგი არ დაუჭერს მხარს ბარიერის 30%-ზე მაღალ ციფრს. ეს არის ინდიკატორი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და მკაფიო სიგნალია. იცით, რომ „ალიანსის" მხრიდან იყო წინადადება, რომ ბარიერი იყოს 50%. აქვე იყო დათქმა, რომ თუკი ხელისუფლება ამ საკითხთან დაკავშირებით წამოვა, იქნება მცირედი კორექტივი და დათმობა მათი მხრიდან. შესაბამისად, გუშინვე გაჩნდა 45%, მაგრამ საბოლოოდ, ალბათ, ბარიერი იქნება 40%-იანი, იმიტომ არა, რომ კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფი ითხოვდა ამას, იმიტომ, რომ საქართველოს მეგობრები აშშ-ში უკვე ფიქრობენ, რომ მართლა რეალურად დაიწყონ რაღაც ტიპის ცვლილებები ქვეყანაში. რა იქნება ეს ცვლილებები, როგორ იქნება, ეს უკვე პოლიტიკური წესებისა და მიმდინარეობის საქმეა. მათი თავის ტკივილი — მიხეილ სააკაშვილი — ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც რაღაც ტიპის რეალური ცვლილებებით უნდა შეცვალონ.

***— რატომ არ თანხმდება სააკაშვილი 40, 45 ან 50%-იან ბარიერს?***

— ამის ორი მიზეზი არსებობს. პირველი: მიხეილ სააკაშვილის ფსიქოლოგიური და ემოციური განწყობა ამ პროცესისადმი. გაიხსენეთ 2008 წლის 5 იანვრის ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი თბილისი იყო სრულიად მკაფიოდ, გამოკვეთილად ოპოზიციური დედაქალაქი, მიხეილ სააკაშვილმა და რეჟიმმა შეძლო ზუსტად 30,5%-ის ხმების მობილიზება (მე არ ვამბობ ხმების მიღებას). რამდენიმე თვის განსხვავებით გადავიდეთ 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე. მაშინ ნაციონალურმა მოძრაობამ შეძლო 37% ხმების მობილიზება. აქედან გამომდინარე, ლოგიკური და აბსოლუტურად სამართლიანი დასკვნა, რომ სააკაშვილმა, რომელიც გახდა მეორედ საქართველოს პრეზიდენტი, რეალურად მიიღო ხმების 48%. დანარჩენი პროცენტები იყო ევროდასავლეთის თანხმობით დაფიქსირებული, რათა სააკაშვილი გასულიყო საქართველოს პრეზიდენტად. სააკაშვილი ვერასოდეს შეეგუება, პირდაპირი არჩევნების გზით 30%-ზე მეტი პროცენტით იხილოს კანდიდატი თუ მერი, რომელსაც ექნება 40 და შემდგომ უკვე მაღალი პროცენტი. რატომ? — იმიტომ, რომ ვინც უნდა იყოს პირდაპირი გზით არჩეული მერი, იზრდება მისი ლეგიტიმაციის ხარისხი და პოლიტიკური წონა. „მოქმედმა პრეზიდენტმა" თბილისში შეძლო მხოლოდ 30%-ის მობილიზება. ეს არის ამ ნაწილის ემოციური მხარე. რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, რასაკვირველია, სააკაშვილი არასოდეს თავისი ნებით, თუ ამერიკულმა მხარემ მასზე დიდი იძულება არ მოახდინა, არ დათანხმდება 40%-ს ზემოთ ბარიერის დაკანონებას.

***— თქვენ ბრძანეთ, მაღალი ბარიერი ამერიკელების მოთხოვნაა, ანუ ამერიკამ იცის სააკაშვილის პოზიცია და უარყოფითი დამოკიდებულება მაღალი ბარიერისადმი და მაქსიმალურად ითხოვს, ბარიერი 40%-ს ქვემოთ არ ჩამოვიდეს?***

— ეს არის არა მხოლოდ ჩემი ვარაუდი, არამედ იმ საუბრების შედეგი, რომელიც გამოიკვეთა ამ ბოლო პერიოდში, როდესაც ძალიან მაღალი რანგის პირები იყვნენ ჩამოსული აშშ-დან და რომლებიც ნებისმიერი ტიპის საუბარში პირდაპირ ამბობდნენ, რომ რეალური დემოკრატიული ცვლილებები გარდაუვალია.

***— ამ ცვლილებებში იგულისხმება ის, რომ სააკაშვილის შევიწროება იგეგმება თუ ჩანაცვლება?***

— მე, პირადად, მთელი ეს ორ-სამთვიანი პროცესები, რომელიც ზოგისთვის უინტერესოც კი იყო, მაგონებს 2003 წლის 22 ნოემბრის წინა პერიოდს. გაიხსენეთ ისიც, რომ 19 ნოემბრამდე ერთ კანდიდატზეც კი არ იყვნენ შეჩერებული და არავინ იცოდა, პრეზიდენტი იქნებოდა სააკაშვილი თუ რომელიმე სხვა ფიგურა რევოლუციური „ტროიკიდან". აქვე გაიხსენეთ ბეიკერის ფორმულები და ის მოძრაობები, რომლებიც, პრაქტიკულად, ტექნოლოგიურად პროცესს ხდიდა გარდაუვლად მიმართულს იქითკენ, რომ ქვეყანაში რაღაც უნდა შეცვლილიყო. მართალია, ვინც ამბობს, რომ 22 ნოემბერს არ იყო გადაწყვეტილი, რომ ედუარდ შევარდნაძე იმ დღესვე წავიდოდა. შევარდნაძე კიდევ 6 თვით უნდა დაეტოვებინათ, უნდოდათ ექციათ ჩვრად და მერე მოთელვითი პროცესით უნდა გამოკვეთილიყო რეალური პირველი პირი. ამით იმის თქმა მინდა, რომ, მართალია, დღეს სრული ნიჰილიზმია მთელ საქართველოში, პოლიტიკური ლუსტრაციის პერიოდია საზოგადოებისა და ხალხისთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაღაც ტიპის ცვლილებები არ მოხდეს. სავარაუდოდ, მიმაჩნია, რომ ეს ყველაფერი არ დამთავრდეს ამ ხელისუფლების არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად შეცვლით. იცით, როგორი გზაჯვარედინია? ამას გულწრფელად ვამბობ, ყოველგვარი პოლიტიკური მანევრების გარეშე: ან ეს ხელისუფლება მესამედ მოდის ადგილობრივ დონეზე, მაგრამ ზოგადად მესამედ მოდის ხელისუფლებაში. თუ ჩვენმა პოლიტიკურმა მეგობრებმაც ოპოზიციური ფლანგიდან ამას ხელი შეუწყვეს, რა თქმა უნდა, ასე იქნება, ანდა მთლიანად მიდის. აი, ასეთი გზაჯვარედინი შეიძლება ვიხილოთ უახლოეს მომავალში.

***— სააკაშვილის ხელისუფლების მესამედ მოსვლა რომ არ მოხდეს, რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ?***

— პოლიტიკურმა სპექტრმა, მინიმუმ, ის უნდა გააკეთოს, რომ ის იყოს პირნათელი და სამართლიანი საკუთარი ხალხისა და ამომრჩევლების წინაშე და არავითარი ფარული გარიგებები, არავითარი პირადი ვაჭრობები ხელისუფლებასთან არ უნდა ჰქონდეს.

***— ამ პოლოტიკურ რეალობაში და ამერიკელების პოზიციიდან გამომდინარე, ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციამ მონაწილეობა არ უნდა მიიღოს?***

— ამ ეტაპზე, დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც საარჩევნო კანონმდებლობა, პრაქტიკულად, იგივეა, მე არ ვგულისხმობ 25-25-ის პრინციპს და სხვა პატარ-პატარა ნიუანსებს, საარჩევნო ადმინისტრაციის პრინციპი რჩება იგივე, ლაპარაკია მხოლოდ ლევან თარხნიშვილის შეცვლაზე. თარხნიშვილი წავა და ახალი თარხნიშვილი მოვა, შეიძლება, უარესიც მოვიდეს. როდესაც საუბარია ბარიერის საკითხზე, რომელიც განხეთქილების ვაშლად იქცა ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის; როდესაც არ არსებობს საარჩევნო კონკურენციის არანაირი ნება, ანუ პოლიტიკურად თავისუფალი არჩევნების შესაძლებლობა მინიმუმამდეა დაყვანილი, შეიძლება ითქვას, საერთოდ არ არსებობს; როდესაც პოლიცია ისევ პოლიტიკური რჩება და ის წარმართავს საარჩევნო პროცესს; პრაქტიკულად, გარემო არ არის ქვეყანაში ერთადერთი მიზეზისთვის — ეს არის სამართლიანი არჩევნები. რა თქმა უნდა, ყველა თავმოყვარე ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიამ უნდა გამოაცხადოს, რომ იგი ჩადგება ბოიკოტის რეჟიმში, მანამდე, ვიდრე არ იქნება მიღწეული როგორც კანონმდებლობა და პროცედურები, ასევე პოლიტიკური სამართლიანი საარჩევნო პირობები.

***— თქვენ აცხადებთ, რომ ობამას ადმინისტრაცია მონდომებულია სააკაშვილის შეცვლით, თავად სააკაშვილს კი არაერთხელ უთქვამს, რომ მისი მტერი პუტინია და რომ რუსეთია დაინტერესებული მისი გაშვებით. ვერ ხვდება სააკაშვილი, რეალურად საიდან ელოდება საფრთხე თუ მისი მხრიდან ეს ორმაგი თამაშია?***

— რა თქმა უნდა, არის ორმაგი თამაში. ამ ორმაგი თამაშის მიზეზია ერთადერთი: სააკაშვილმა შეინარჩუნოს ძალაუფლება, შეინარჩუნოს ის სასახლე, რომელიც მან სამარცხვინოდ მთელი ამ წლების განმავლობაში აშენა მშიერი, დანაწილებული და გაძვალტყავებული მოსახლეობის ხარჯზე. მაგრამ ვითარება ასეთია: რასაკვირველია, აშშ არ მალავს თავის სტრატეგიულ ინტერესს კავკასიის რეგიონში და კონკრეტულად საქართველოზე. ეს არ არის მისი ემოცია, არამედ ეს არის მისი სტრატეგიული პოლიტიკა. ამას ემატება ის, რომ ამერიკელები ხშირად ამბობენ, რომ მათ ყოველ სანტიმეტრ მიწაში აქვს გადახდილი ფული, იმიტომ, რომ ამდენი დახმარება, ამდენი მილიარდები ჩაიდო საქართველოში. ისინი თვლიან, რომ ეს უკვე პოლიტიკური ინვესტიციაა. მაგრამ ისინი უკვე უფლებრივად გამოხატავენ თავიანთ პრეტენზიებს საქართველოში მათი მდგომარეობის განმტკიცებაზე. არის მეორე მეგა სახელმწიფო — რუსეთი, რომელიც ამბობს სრულიად ღიად, როგორც პრეზიდენტის, ასევე პრემიერის დონეზე და, სხვათა შორის, ეს განცხადებები გაქანებული ომისა და სისხლისღვრის დროს გაკეთდა. პუტინმა და მედვედევმა გარკვევით აღნიშნეს, რომ ისინი არ მალავენ და ეუბნებიან მსოფლიოს, რომ კავკასია არის მათი გავლენის სფერო; რომ აქ დაქცეულია რუსი ჯარისკაცის სისხლი და რომ ისინი არასოდეს უარს არ იტყვიან კავკასიაზე. ასე რომ, ინტერესები ერთმანეთს ეჯახება. ამას ძალიან კარგად ხედავს სააკაშვილი. სააკაშვილმა დიდი ხანია შენიშნა ობამას ადმინისტრაციის გულგრილობა, ამიტომ თანდათან იწყებს ვირეშმაკულ პოლიტიკას რუსეთის მიმართულებით. მოსკოვში ვიყავი იმ დროს, როდესაც ნანი ბრეგვაძე, ზურაბ აბაშიძე და კიდევ ერთი-ორი ადამიანი, რომელთა გვარებსაც შეგნებულად არ დავასახელებ, იყვნენ ჩასული პრიმაკოვის ცნობილ ვახშამზე.

***— ქართველების ჩასვლას პრიმაკოვთან პოლიტიკური სარჩული ჰქონდა?***

— რა თქმა უნდა. ეს არის პოლიტიკური სარჩული. დავიწყოთ იმით, რომ ევგენი პრივაკოვი, გარდა იმისა, რომ რუსეთში გავლენიანი ფიგურაა, სააკაშვილის პირადი ლობისტია, რუსულ მაღალ პოლიტიკურ წრეებში მისი პირადი ლობისტი, მეურვე და მამა. ნანი ბრეგვაძე და სხვები რომ რუსეთის პოლიტელიტაში მიღებული მომღერლები არიან, ეს ყველამ იცის. ახლა გვარიანი შემოსავლების გამო ისინი თანხმდებიან, იყვნენ, რუსულად კარგად ჟღერს „პრიდვორნიე პევცი" — სასახლის კარის მომღერლები. ეს ამ წუთში ჩვენი გასარჩევი არ არის. არ მინდა, ამ საკითხს ემოციურად შევხედო.

***— რაზე მიანიშნებთ, რომ სააკაშვილს აინტერესებს რუსეთის პოლიტელიტასთან ურთიერთობის დათმობა და მხარდამჭერების დათვალიერება?***

— ესენი არიან სააკაშვილის პირადი ემისრები განსაკუთრებით რუსეთის პრემიერ-მინისტრთან და არა პრეზიდენტ მედვედევთან, იმიტომ, რომ „ფორბსის"

გაგრძელება მე-8 გვერდზე

# სასამართლო ბესელიას შვილისა და ძმის საქმეს 25 ნოემბერს დაუბრუნდება



ბათუმის საქალაქო სასამართლო 2009 წლის 25 ნოემბრისთვის დანიშნულ მორიგ სასამართლო პროცესზე დაზარალებული ჯაფარიძესა და მის მეუღლეს დაკითხავს, რომლებიც მიმდინარე წლის 19 აგვისტოს, უშუალოდ მონაწილეობდნენ ქალაქ ქობულეთში ერთ-ერთ კაფეში მომხდარ ინციდენტში, რომლის დროსაც სამართალდამცავებმა მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის" გენერალური მდივნის, ეკა ბესელიას შვილი, რატი მილორავა და ძმა, ბესიკ ბესელია დააკავეს.

ეს იყო ერთადერთი შუამდგომლობა, რომელიც სასამართლოს მხრიდან გუშინ დაკმაყოფილდა. ბათუმში, სასამართლო პროცესს ეკა ბესელიაც დაესწრო, როგორც საქმეში მონაწილე კანონიერი წარმომადგენელი, რადგანაც მისი შვილი, რატი მილორავა არასრულწლოვანია და კანონმდებლობა ეკა ბესელიას უფლებას აძლევდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ განიხილა დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობები მოწმეების დაკითხვისა და მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ, აღმკვეთი ღონისძიების შესაფარდებლად ფაქტობრივი და ფორმალური გარემოებების უქონლობის გამო აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის საკითხი, როგორც სერგო ბესელიას, ისე რატი მილორავას მიმართ, მაგრამ მოსამართლემ არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და შუამდგომლობებს მხარდაჭერა არც ბრალდების მხრიდან ყოფილა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის არც ის მოთხოვნა, რომელიც ეხებოდა გამომძიებლების ოქროპირიძისა, გოგიტიძის და პროკურორ დავითაშვილის დაკითხვას; ასევე, სახაზინო ადვოკატისა და იმ პედაგოგის, რომლებიც ესწრებოდნენ არასრულწლოვანი რატი მილორავას მიმართ ჩატარებულ ამოცნობებს. „აღნიშნულ პირთა დაკითხვა იყო მნიშვნელოვანი, რადგან მიმდინარე გამოძიება, რომელიც ფალსიფიცირებულ, ყალბებულ და კანონის მოთხოვნების დარღვევით მიღებულ მტკიცებულებებზეა დაფუძნებული, სწორედ, ამ ადამიანების გამომძიებლებისა და პროკურორის მიერაა ჩატარებული. სწორედ ამის შედეგად სერგო ბესელია და რატი მილორავა განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ." - განაცხადეს ადვოკატებმა.

ეკა ბესელიას თქმით, გამოძიება დასრულდა, მაგრამ სამართალდამცავ ორგანოებს არც ერთ იმ საკითხზე არ გამოუხატავთ ინტერესი, რომელიც საქმეზე ობიექტურ ჭეშმარიტებას დაადგენდა. „სასამართლომ ქმედება დააკვალიფიცირა წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფის მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევად და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევად, თუმცა გამოძიებას საამისო დასაბუთების არანაირი მტკიცებულება არ გააჩნია. გამოძიება ვერ ადასტურებს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო წინასწარი შეთანხმებით წარმოქმნილ სიტყვიერ კონფლიქტში მონაწილეობა ანუ ხულიგნობის ჩადენა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა. მეტიც, საბრალდებო დასკვნაში, ოთხივე პირის მიმართ, ერთნაირი ტექსტია და მხოლოდ სახელ-გვარი შეცვლეს. ეს არის კოლექტიურად შედგენილი ერთი დოკუმენტი, რომლის დროსაც, ბრალდების მხარემ არ შეიწუხა თავი ცალკეულ შემთხვევაში დაეფიქსირებინა, რაში გამოიხატა რომელიმე მათგანის მიერ დანაშაულის ჩადენა. გამოძიებამ თავის დასკვნაში გააქრო მთავარი ფაქტობრივი გარემოებაც, თუ რის გამო დაიწყო კონფლიქტი ჯაფარიძესა და ჭკუასელს შორის. ეს შეგნებულად გაკეთდა, რადგანაც თუკი რეალურად აღწერდნენ, რა მოხდა იმ დღეს კაფეში, აღმოჩნდებოდა, რომ სიტყვიერი კამათი მოხდა სხვა პირებს შორის, სადაც არ ფიგურირებდნენ არც რატი და არც ბესო. ასე ვერანაირად დადასტურდებოდა ის, რომ ადგილი ჰქონდა ხულიგნობის ფაქტს", — განაცხადა ეკა ბესელიამ.

შეგახსენებთ, რომ პოლიციამ ეკა ბესელიას შვილი და ძმა 2009 წლის 19 აგვისტოს, ქობულეთში, ერთ-ერთ კაფეში მომხდარი ინციდენტის დროს დააკავა. ქობულეთის საქალაქო სასამართლომ ეკა ბესელიას შვილი 3-ათასლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლა, ხოლო ძმა, ბესიკ ბესელია ამ დრომდე ბათუმის იზოლატორში იმყოფება. მას წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

**მედიანიუსი**

# ამერიკა სააკაშვილის ალტერნატივას ეძებს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

უკანასკნელი გამოკითხვითაც გამოჩნდა, რომ პუტინი მესამე ადგილზე დგას ამერიკისა და ჩინეთის პირველი პირების შემდეგ. აქ ლაპარაკია ფაქტობრივ რეალობაზე. ასე რომ, მიხეილ სააკაშვილი ძალაუფლების შესანარჩუნებლად უკვე ძალიან აქტიურად მუსირებს რუსეთის ორბიტაზე, ყოველდღე აგზავნის რუსეთში თავის ემისრებს და ცდილობს, რუსეთის ხელისუფლებისგან მიიღოს ის მესიჯები, რომლითაც სააკაშვილი თავის ძალაუფლებას განიმტკიცებს საქართველოში.

***— თქვენ აღნიშნეთ, სააკაშვილს ეშინიაო. რისი ეშინია სააკაშვილს, ადგილობრივი არჩევნების?***

— მოდით, ასე ვთქვათ, ეს ხომ არ არის ისეთი დემოკრატიული ქვეყანა, სადაც ადგილობრივი არჩევნებით ხან ერთი პარტია იმარჯვებს, ხან — მეორე? დღეს ადგილობრივი არჩევნების საკითხი ასე დგას, ყოველ შემთხვევაში, ასე უნდათ, რომ დააყენონ: ან ხელისუფლება იცვლება, აქ ლაპარაკი არ არის მხოლოდ ადგილებზე, ან ეს ხელისუფლება ისევ უნდა დარჩეს. სააკაშვილს ადგილობრივი არჩევნები სჭირდება, როგორც დემოკრატიული ტესტი მეორე ტალღისთვის, ბაიდენის დაპირებისთვის და ა.შ. მაგრამ ოპოზიციურმა ძალებმა ადგილობრივი არჩევნები უნდა დააყენონ ზუსტად ამ რაკურსში: ან ცვლიან ხელისუფლებს, ან ხელს უწყობენ ამ ხელისუფლების მესამედ მოყვანას. არჩევანი სრულიად მკაფიოა. გზა სრულად გამოკვეთილია. სააკაშვილი რეალობაში კარგად ერკვევა და იცის, რომ შეიძლება მის მიერვე დანიშნული არჩევნები სააკაშვილის დასასრულიც აღმოჩნდეს, იმის მიხედვით, როგორ ითამაშებს და იმუშავებს ნამდვილი პატრიოტი ოპოზიციური სპექტრი.

***— ოპოზიციური ერთობა აუცილებელია ადგილობრივ არჩევნებში?***

— ოპოზიციური ერთობა არ არის აუცილებელი. ამისთვის აუცილებელია ალტერნატივა. ახლა, სხვათა შორის, ნინო ბურჯანაძეს ვუსმენდი, როდესაც შეურიგებლობის იდეით გამოვიდა. ძალიან მწარედ ჩამეცინა, იმიტომ, რომ ბევრი ჟურნალისტი ესწრებოდა იმ ბრიფინგს, როდესაც პირადად მე ჩემი ავტორობით წარმოვადგინე შეურიგებლობის დეკლარაცია 2007 წლის 7 ნოემბრის ცნობილი ამბების შემდეგ. მაშინ უნდა ემუშავა ამ შეურიგებლობას ყველა მიმართულებით. დღეს შეურიგებლობაზე უკვე ბურჯანაძე საუბრობს. ასევე დაიმახსოვრეთ, ეს საკითხი იქნება ძალიან აქტიური ქართულ პოლიტიკურ პრინციპებში. როცა გესმის საუბარი, ჩვენ გამოვალთ და, ვინც მოეწონება ქართველ ხალხს, ის იქნება მერობის კანდიდატიო. პოლიტიკა შოუბიზნესი ხომ არ არის, პოდიუმზე გამოვიყვანოთ პოლიტიკოსები.

***— პრაიმერს გულისხმობთ?***

— რასაკვირველია. აქ ქართველი ხალხი უნდა შეთანხმდეს შერჩევის ერთადერთ პრინციპზე. თუ ალტერნატივა იქნება, ალტერნატიული საგარეო პოლიტიკა, ალტერნატიული საშინაო პოლიტიკა, ალტერნატული პოლიტიკა სეპარატისტულ რეგიონებთან, ალტერნატიული პოლიტიკა სოციალური მიმართულებით. თუ ასეთი პოლიტიკა იქნება აუცილებელი, ყველამ იცის, რომ ლეიბორისტული პარტია არის ალტერნატიული პოლიტიკა, პროგრამულად ალტერნატიული პოლიტიკაა, მაშინ ამ ალტერნატიული პოლიტიკის ლიდერი არის ალტერნატივა და არა გუშინდელი სააკაშვილის თანაგუნდელები, რომლებიც თუნდაც ერთიანობაში მიაღწევენ იმას, რომ დაასახელონ ერთიანი კანდიდატი. დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საკითხი დგას ასე: ან გადარჩება ეს ქვეყანა, ან დაიღუპება საბოლოოდ, ასეთ შემთხვევაში არჩევანი დგას არა პოლიტიკურ პოდიუმზე, ვინ უფრო კარგი ფიზიკური მონაცემებით ან პიჯაკით მოიწონებს თავს, არამედ — ვინ მოიტანს ალტერნატიულ პოლიტიკას, ვინ შეცვლის ქვეყანას და შესთავაზებს გადარჩენის გზას.

***— შეგიძლიათ თქვათ, რომ ამერიკა სააკაშვილის ალტერნატივას ეძებს?***

— ამაში აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ და ეს ყველა ფაქტით ჩანს. ვიმეორებ, ამერიკის ახალი ადმინისტრაციისა და მათი პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის ზუსტად იცოდეთ, რომ სააკაშვილი თავის ტკივილია. რა თქმა უნდა, ამის გამო ობამას ადმინისტრაცია სააკაშვილის ალტერნატივას ეძებს. ამ ალტერნატივას ეძებს ყველგან.

***— ფიქრობთ, რომ სააკაშვილის ალტერნატივა ამერიკისთვის გამოკვეთილი არ არის?***

— რბილად რომ ვთქვათ, არასწორი იქნება იმის თქმა, რომ მას ეს ლიდერი მოძებნილი ჰყავს, თუმცა აქაური ლიდერებიც ეძებენ გზებს, ეძებენ ლობისტურ კომპანიებს იმისათვის, რომ როგორმე არჩევანი მათზე შეჩერდეს. ასე რომ, ჯირითი, დოლი დიდი ხანია დაწყებულია. ერთი რომელიმე ფიგურა გამოკვეთილი არ არის, მაგრამ სააკაშვილის შესაცვლელად ამერიკისთვის ყველა ფიგურა ამ ეტაპზე მისაღებია, ვინაიდან ყველა ფიგურა აკეთებს კონკრეტულ საქმეს იმისათვის, რომ ხელისუფლების შეცვლა მოხდეს შიგნიდან უდიდესი უმრავლესობით და არ მოხდეს ერთი რომელიმე გარე ჯგუფის მიერ.

***— იყო ლაპარაკი, რომ ამერიკის ფავორიტი, ასე ვთქვათ, ირაკლი ალასანიაა.***

— რა თქმა უნდა, იყო ასეთი საუბრები და არასოდეს არის დღის წესრიგიდან მოხსნილი „მიშა 2"-ის საკითხი. „მიშა 2"-ის ფორმატში ვინც არ უნდა იყოს, რომელიც გვარიც არ უნდა იყოს, ჩვენ უნდა მივესალმოთ იმ ფაქტს, რომ ამერიკას უნდა ცვლილებები. მათ დაინახეს, რომ მოჩვენებითი პოლიტიკური ფარსი, მოჩვენებითი დემოკრატიაა და გადაწყვეტილებაც მიიღეს.

# კნუტ ჰამსუნის ზღაპრული ქვეყანა საქართველოა

**ეკა ირემაშვილი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა, რომელსაც მისმა ორგანიზატორებმა „დაბრუნება ზღაპრულ ქვეყანაში: კნუტ ჰამსუნი" უწოდეს. კონფერენცია ნორვეგიელი მწერლის დაბადებიდან 150-ე და საქართველოში მოგზაურობის 110-ე წლისთავს მიეძღვნა. საქართველოში საგანგებოდ ამ დღისათვის კნუტ ჰამსუნის შვილიშვილი ლაიფ ჰამსუნი ჩამოვიდა. მასთან ერთად დედაქალაქს სკანდინავიის უნივერსიტეტის ცნობილი მეცნიერებიც ესტუმრნენ. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ თსუ-ის სკანდინავისტიკის ცენტრი და კნუტ ჰამსუნის საზოგადოება კავკასიაში.

ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი ნორვეგიაში 1859 წელს დაიბადა. 14 წლიდან ეწეოდა მოხეტიალე ცხოვრებას, მრავალი პროფესია გამოიცვალა, ბედის საძებნელად ორჯერ იყო ამერიკაში, იმოგზაურა ფინეთში, რუსეთში, ირანში, თურქეთში, იყო კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში. ამ მოგზაურობის ერთგვარი მხატვრული ანგარიში იყო პიესა „დედოფალი თამარი" და შთაბეჭდილებები „ზღაპრულ ქვეყანაში". საბოლოოდ იგი სამუდამოდ დასახლდა ნორჰოლმში.

მისი პირველი ნაწარმოები „იდუმალი ადამიანი" 1877 წელს გამოიცა. 18 წლის ასაკიდან მწერალმა აქტიური ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო. პირველი ნაწარმოების გამოცემიდან ერთ წელიწადში მისი პირველი რომანი „ბერგერი" გამოიცა. კნუტ ჰამსუნი ავტორია რომანისა „მიწის მადლი", რომლისთვისაც ავტორი 1920 წელს ნობელის პრემიით დაჯილდოვდა. ჰამსუნი იმთავითვე დაუპირისპირდა ნატურალიზმს თავისი ფანტაზიითა და ფსიქოლოგიური ანალიზით. ჰამსუნის რომანებში გამოხატულია ქვეცნობიერი სულიერი ცხოვრების უწვრილმანესი ნიუანსები. მისი თხრობის ხელოვნება ახდენს ყველა იმ სტილური საშუალების სინთეზირებას, რომელიც მოპოვებულია ნატურალიზმიდან მოყოლებული იმპრესიონიზმის ჩათვლით და ჰამსუნის ნაწარმოებებს განუმეორებელ მიმზიდველობას სძენს.

ჰამსუნმა პირველი დიდი პოპულარობა მოიპოვა მოთხრობით „შიმშილი", რომელიც ნორვეგიულ ლიტერატურაში თავისებურ გადატრიალებას მოასწავებდა. ნაწარმოები ავტობიოგრაფიულ ელემენტებს შეიცავს და იშვიათი ნიმუშია ამბივალენტური, შინაგანად წინააღმდეგობრივი, უკიდურესად ზეგრძნობიერი ადამიანის სულიერი ცხოვრების ასახვისა. ჰამსუნის საუკეთესო რომანებიდან მიჩნეულია „მისტერიები", „პანი", „ვიქტორია", „მიწის მადლი".

ჰამსუნი იმთავითვე გერმანოფილობას ამჟღავნებდა. იგი პირველად გერმანიაში აღიარეს მსოფლიო მასშტაბის მწერლად, მეორე მსოფლიო ომის დროს კი მან აშკარად გამოავლინა თავისი სიმპათიები ნაციზმის მიმართ. 1945 წელს ჰამსუნს ნორვეგიაში სამშობლოს ღალატის ბრალდება წაუყენეს და დააპატიმრეს, შემდეგ კი ღრმა მოხუცებულობის გამო სასჯელი ფულადი ჯარიმით შეუცვალეს.

— ვისაც კნუტ ჰამსუნი წაუკითხავს, იგი ნამდვილად ბედნიერია. ძალიან სასიამოვნოა, რომ ამდენი წლის შემდეგ ჰამსუნი და მისი შემოქმედება კვლავაც დაბრუნდა საქართველოში, ზღაპრულ ქვეყანაში, როგორც თავად ავტორი უწოდებს ჩვენს ქვეყანას. მოხარული ვარ, რომ ჩვენმა უნივერსიტეტმა ასეთი მაღალი დონის კონფერენციას უმასპინძლა, — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ.

უნივერსიტეტში საერთაშორისო კონფერენციის დასრულების შემდეგ თიბისი ბანკის გალერეაში კნუტ ჰამსუნის გამოფენა „მოგზაურობა ზღაპრულ ქვეყანაში" გაიხსნა, სადაც წარმოდგენილი იყო მწერლის საქართველოში მოგზაურობის ამსახველი ფოტო და იკონოგრაფიული მასალა.

— ვისაც ერთხელ მაინც დაულევია მტკვრის წყალი, ყოველთვის გაჰყვება კავკასიაში დაბრუნების წყურვილი, — ასე გამოხატავდა საკუთარ აღტაცებას კნუტ ჰამსუნი საქართველოს მიმართ.

გამოფენის გახსნის შემდეგ, თიბისი გალერეაში ნორვეგიელი ხელოვანის შემოქმედებითი საღამო გაიმართა, რომელზეც კნუტ ჰამსუნის შვილიშვილმა და ქართული ლიტერატურული საზოგადოების წარმომადგენლებმა მწერლის შემოქმედებაზე ისაუბრეს.





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**

**ახალი ქსელები 700 608**

**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
**სწრაფი გადახდის აპარატები**

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**


## განცხადებები


● სიახლე! დასაქმების სრულიად განსხვავებული პროგრამა. მიიღებიან საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე პირები. ანაზღაურება ყოველკვირეულად. ასაკი 25-70 წ. ტელ: 75-72-69; 893-64-27-38 ქ-ნი მათიკო მგალობლიშვილი

● ქირავდება ვაჟა-ფშაველას II კვარტალში ოროთახიანი კეთილმოწყობილი (ყველანაირი ავეჯი, ტელეფონი, ტელევიზორი, მაცივარი, გათბობა, ცხელი წყალი) ბინა. ტელ: 899-103-183.

● სილამაზის სალონი „შარმი" აწარმოებს მოსწავლეების მიღებას 3-თვიან კურსებზე სამკურნალო გამაჯანსაღებელი და ბავშვთა მასაჟი, სტილისტი-ვიზაჟისტი, კოსმეტოლოგიის კურსები. გაიცემა სერთიფიკატი. ფასი 300 ლარი. გაგიწევთ შემდეგ მომსახურებას: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საქორწილო, საბანკეტო ვარცხნილობები, ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით. მის: მ.მარჯანიშვილი, აღმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87 ირინა.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.

● ამერიკაში სტაჟირებული ფილოლოგი-დოცენტი ყველა მსურველს ასწავლის ინგლისურ ენას საფუძვლიანად (ქართულად და რუსულად). ტელ: 95-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა 93 კვ.მ., II სართულზე, მარჯანიშვილის მოედანზე (სუპერმარკეტ „ბი-ფე-სის" სახლი). ბინა იყიდება სამისდღეშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 95-32-12.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

# მარცხიანი დასასრული

*დასაწყისი მე-12 გვერდზე*

ცარიელთა ერთი დარტყმული ზუსტი გამოდგა და 43-ე წუთზე მარიო გავრანოვიჩმა გოლიც გაიტანა.

გავრანოვიჩი ყველაზე აქტიური იყო მასპინძელთა შორის, რასაც ვერ ვიტყვით „ლევერკუზენის“ თავდამსხმელ ერენ დერდიოკზე, რომელიც ჩაკარგული იყო და შვეიცარიელთა მწვრთნელმა პირველივე ტაიმის შემდეგ შეცვალა. ქართველთაგან ყველაზე აქტიურები თორნიკე ოქრიაშვილი და ირაკლი კლიმიაშვილი ჩანდნენ.

მეორე ტაიმის საწყისი წუთები მასპინძელთა სრული უპირატესობით ჩატარდა და მასპინძლებმა 5-ჯერ დაარტყეს როინ კვასხვაძის კარში, მაგრამ უშედეგოდ. გაბელიამ იგრძნო, რომ თამაშის შემობრუნება ჯერ კიდევ შეიძლებოდა და შეტევის გაძლიერება განიზრახა, რასაც ვახტანგ კვარაცხელიათი ნემსაძის ჩანაცვლება მოჰყვა. მალე გაბელიამ მოედანზე გიორგი გაბედავაც შეუშვა, მაგრამ ოთხშაბათს საქართველოს ნაკრებს გოლის გატანა არ ეწერა.

ამ მარცხით საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შანსი, პრაქტიკულად, დაკარგა, სამაგიეროდ, კარგი შანსი აქვს, მეორე ადგილზე გავიდეს, თუმცა, რამდენად მისცემს საშუალებას უკვე საკმაოდ დაკარგული ქულების რაოდენობა, საუკეთესო მეორეადგილოსნებს შორის მოხვდეს და შემდეგ ეტაპზე გაარძელოს თამაში, დარჩენილი მატჩები გვიჩვენებს.

მორიგ მატჩს საქართველოს ნაკრები უკვე 2010 წლის 3 მარტს გამართავს და შინ ესტონეთის ნაკრებს დაუხვდება.

**ჩვენი ჯგუფის სხვა მატჩები:**

### სომხეთი — ირლანდია 4:1

ირლანდიელთა მწვრთნელი დონ გივენსი კავკასიიდან 6 ქულის წაღებას გეგმავდა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მხოლოდ საქართველოში აიღეს ქულა. სომხებთან მატჩშიც ბრიტანელები ფავორიტად ითვლებოდნენ, მაგრამ ჩვენმა მეზობლებმა უშანსოდ დატოვეს მეტოქე და ყველა კომპონენტში აშკარად დაჩაგრეს, რაც, სამწუხაროდ, ჩვენმა ნაკრებმა ვერ მოახერხა 4 დღის წინ. ამ მოგებით სომხეთის ნაკრებმა ბოლო ადგილი გაუცვალა ირლანდიელებს.

### თურქეთი — ესტონეთი 0:0

ბალტიისპირელები არ ხუმრობენ. თავიდან ყველა მიიჩნევდა, რომ ამ ჯგუფში ბრძოლას ერთმანეთში შვეიცარიელები და თურქები გამოაცხადებდნენ, მაგრამ ესტონელებმა ჯერ შვეიცარიას მოუგეს სტუმრად, შემდეგ თურქებთანაც აიღეს ქულა და მეორე ადგილისთვის იბრძვიან. თურქეთის ნაკრებმა კი, ალბათ, ამ დაკარგული ქულებით პირველობისთვის შანსები მნიშვნელოვნად შეიმცირა და ახლა ისინიც მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ.

### სატურნირო ცხრილი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | შვეიცარია | 7 | 5 | 1 | 1 | 14:6 | 16 |
| 2. | თურქეთი | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 10 |
| 3. | ესტონეთი | 6 | 2 | 3 | 1 | 6:6 | 9 |
| 4. | საქართველო | 5 | 1 | 2 | 2 | 6:5 | 5 |
| 5. | სომხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 9:13 | 4 |
| 6. | ირლანდია | 6 | 0 | 4 | 2 | 5:11 | 4 |

# ხიმენესს გულშემატკივრები დაემუქრნენ

არგენტინის პრიმერაში მოთამაშე კლუბ „ტიგრეს“ ფეხბურთელმა მატიას ხიმენესმა კლუბიდან წასვლის თაობაზე გააკეთა განცხადება. ფეხბურთელმა მიზეზად გულშემატკივართა მხრიდან დაშინება დაასახელა.

ხიმენესის თქმით, შინ მიმავალი ფეხბურთელი ქუჩაში გულშემატკივრებმა გააჩერეს და ბრალად მოედანზე გულგრილობა დასდეს. ფეხბურთელმა ისიც აღნიშნა, რომ ის, რაც ამ სიტყვების შემდეგ მოხდა, აღმაშფოთებელია, მაგრამ, ზუსტად რა, არ ამბობს.

ფეხბურთელმა კლუბიდან წასვლის თაობაზე უკვე განუცხადა კლუბის დირექტორთა საბჭოსა და თავის აგენტს, რომელთან საუბარშიც აღნიშნა, რომ ეს გადაწყვეტილება თავისი ოჯახის უსაფრთხოების გამო მიიღო. გეტყვით, რომ 26 წლის ფეხბურთელს მეუღლე და ორი შვილი ჰყავს.

ერთობლივი გადაწყვეტილებით, ხიმენესი 2009 წლის ბოლომდე ივარჯიშებს გუნდში, მაგრამ ოფიციალურ მატჩებში მონაწილეობას არ მიიღებს, ხოლო იანვრის სატრანსფერო ფანჯრისას ახალი კლუბის მოძებნას შეეცდება.

# კალაძის წასვლაზე ისევ ალაპარაკდნენ

კახა კალაძისა და მისი „მილანიდან“ წასვლის თაობაზე ახალი ჭორები აგორდა — იტალიური ინტერნეტ-გამოცემები საქართველოს ნაკრების კაპიტანს ზამთრის სატრანსფერო პერიოდში კლუბის გამოცვლას უწინასწარმეტყველებენ. კალაძის შეძენის მსურველთა გუნდებში მიუნხენის „ბაიერნი“, ფლორენციის „ფიორენტინა“ და „მონაკო“ ფიგურირებდნენ.

თავად ქართველი ფეხბურთელი კი გუნდიდან წასვლას გამორიცხავს და, მიუხედავად სადღეისო არასტაბილური მდგომარეობისა, „მილანის“ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნებას გეგმავს.

— სერიოზული ტრავმებისა და გატანილი ოპერაციის შემდეგ გუნდს გვიან შევუერთდი, მაგრამ ახლა თავს კარგად ვგრძნობ და მომზადებას ვაგრძელებ. ვინ ითამაშებს ძირითად შემადგენლობაში, მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუმცა, იმედი მაქვს, მალე მომიწევს სასტარტო შემადგენლობაში დაბრუნება. რაც შეეხება თავად გუნდს, გეტყვით, რომ ჯერ ადრეა იმაზე საუბარი, თუ რა ტიტულის მოპოვება შეუძლია „მილანს“. მთავარია, თითოეული მატჩისას მხოლოდ გამარჯვებაზე ვიფიქროთ. ახლა მთლიანად „კალიარისთან“ მატჩზე ვართ კონცენტრირებული, რადგან 3 ქულის აღება ძალიან გვჭირდება, რათა ლიდერებს არ ჩამოვრჩეთ, — აცხადებს კალაძე.

## შედეგები

### ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი. პლეი-ოფი**

| | |
|---|---|
| ბოსნია-პორტუგალია | 0:1 |
| უკრაინა-საბერძნეთი | 0:1 |
| სლოვენია-რუსეთი | 1:0 |
| საფრანგეთი-ირლანდია | 1:1(დდ) |
| ალჟირი-ეგვიპტე | 1:0 |
| ურუგვაი-კოსტა რიკა | 1:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| აზერბაიჯანი-ჩეხეთი | 2:0 |
| ირანი-მაკედონია | 1:1 |
| ს.კორეა-სერბეთი | 0:1 |
| ა.გ.ემირატები-ერაყი | 0:1 |
| პოლონეთი-კანადა | 1:0 |
| ჩერნოგორია-ბელარუსი | 1:0 |
| მალტა-ბულგარეთი | 1:4 |
| დანია-აშშ | 3:1 |
| ავსტრია-ესპანეთი | 1;5 |
| გერმანია-კოტ დივუარი | 2:2 |
| ჰოლანდია-პარაგვაი | 0:0 |
| იტალია-შვედეთი | 1:0 |

**ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| ლატვია-ფარერები | 0:1 |
| ბოსნია-უელსი | 2:1 |
| თურქეთი-ესტონეთი | 0:0 |
| სლოვაკეთი-ხორვატია | 1:2 |
| ავსტრია-აზერბაიჯანი | 4:0 |
| ისრაელი-ბულგარეთი | 4:0 |
| შვეიცარია-საქართველო | 1:0 |

**ამხანაგური მატჩი (21)**

| | |
|---|---|
| დანია-სერბეთი | 1:3 |

**პორტუგალია. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ლეირია-ნავალი | 1:1 |

**ბრაზილია. სერია ა**

| | |
|---|---|
| გრემიო-პალმეირასი | 2:0 |

### პლაჟის ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-სოლომონის კუნძ. | 6:1 |
| ნიგერია-ბაჰრეინი | 9:3 |
| ა.გ.ემირატები-ურუგვაი | 0:4 |
| ბრაზილია-შვეიცარია | 4:2 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ატლანტა-მაიამი | 105:90 |

**ზაზა ფაჩულია: 6 ქულა, 3 მოხსნა**

| | |
|---|---|
| ვაშინგტონი-კლივლენდი | 108:91 |
| ინდიანა-ნიუ იორკი | 103:110 |
| ორლანდო-ოკლაჰომა | 108:94 |
| ფილადელფია-შარლოტი | 86:84 |
| ბოსტონი-გოლდენ სტეიტი | 109:95 |
| მემფისი-კლიპერსი | 106:91 |
| მილუოკი-ნიუ ჯერსი | 99:85 |
| მინესოტა-ჰიუსტონი | 84:97 |
| იუტა-ტორონტო | 104:91 |
| დალასი-სან ანტონიო | 99:94(ოტ) |
| პორტლენდი-დეტროიტი | 87:81 |

### ფრენბურთი

**მსოფლიოს თასი**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ირანი | 3:1 |
| კუბა-პოლონეთი | 3:1 |
| იაპონია-ეგვიპტე | 3:1 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბუფალო-ფლორიდა | 2:6 |
| დეტროიტი-დალასი | 1:3 |
| მინესოტა-ფინიქსი | 2:3 |
| ედმონტონი-კოლორადო | 6:4 |
| ლოს ანჯელესი-ფილადელფია | 2:3 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ტიერი ანრიმ წესები შეცვალა

**ოთხშაბათს გაირკვა ყველა იმ 32 გუნდის ვინაობა, ვინც 2919 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. ბოლო 4 მონაწილე ევროპამ გამოავლინა, ერთი — აფრიკამ და ერთიც — სამხრეთ ამერიკამ.**



ტიერი ანრი

ყველაზე ხმაურიანი და, ალბათ, კიდევ დიდხანს სკანდალური იქნება საფრანგეთის ნაკრების გასვლა მუნდიალზე. თითქოს ყველაფერი წყნარად და ლოგიკით მიდიოდა — ფრანგებმა სტუმრად 1:0 მოუგეს ირლანდიის ნაკრებს და სანერვიულო არაფერი უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ასე არ მოხდა.

ჯოვანი ტრაპატონის შეგირდებმა, რომლებიც საქართველოს ნაკრებთან ერთად იყვნენ ჯგუფში, მთელი შესარჩევი ეტაპის მანძილზე თამაში არ წააგეს და ერთადერთი მარცხი სწორედ პლეი-ოფში შეემთხვათ, მართლაც რომ მებრძოლი სული გამოავლინეს. 32-ე წუთზე დაფი-კილბეინი-კინის კომბინაცია ირლანდიელთა კაპიტანმა გოლით დაასრულა და, საერთო ჯამში, ანგარიში გაათანაბრა. ფრანგები მდგომარეობის გამოსწორებას ვერ ახერხებდნენ, მეტიც, ირლანდიელებს რამდენიმე ეპიზოდში სიზუსტემ უმტყუნათ და მატჩიც დამატებით დროში გაგრძელდა. იქ კი ფრანგებმა 2 გოლი გაიტანეს.

101-ე წუთზე სიდნეი გოვუს გოლი სამართლიანად იქნა არჩათვლილი, ხოლო 2 წუთში გოლი უკვე უილიამ გალასმა გაიტანა, რომელიც მსაჯმა ჩათვალა და ფრანგებმაც ამ გოლით მოახერხეს სამხრეთ აფრიკის საგზურის მოპოვება. თუმცა, ეს გოლი სწორედაც რომ უსამართლოდ ჩაითვალა — ჯერ საფრანგეთის ნაკრების 2 ფეხბურთელი იმყოფებოდა თამაშგარე მდგომარეობაში, შემდეგ კი ტიერი ანრის სულაც არ შერცხვენია, ირლანდიელთა საჯარიმოში ბურთი ხელით დაეჭირა, ხელითვე გაესწორებინა და შემდეგ მიეცა საგოლე პასი უილიამ გალასისთვის. ყველაფერი ეს ისე ნათლად მოჩანდა, რომ ცოტა გაუგებარია, რატომ ჩათვალა მსაჯმა ეს გოლი.

რა თქმა უნდა, ამ გოლმა ალაშფოთა მთელი ირლანდიის ნაკრები, რომლებიც მატჩის შემდეგ კომენტარების გაკეთებას არ ერიდებოდნენ და ყველაფერს უეფას პრეზიდენტ ფრანგ მიშელ პლატინის აბრალებდნენ.

**რიჩარდ დანი:**

— მატჩის შემდეგ ანრიმ მითხრა, რომ საფრანგეთის ნაკრებმა დამსახურებულად მოიგო. ამის შემდეგ თავს კიდევ უფრო ცუდად ვგრძნობ. მართალია, გამომიტყდა, რომ არასამართლიანად ითამაშა, მაგრამ, საერთო ჯამში, ვიმსახურებდით, თანაც ეს ყველაფერი შეგნებულად არ გამიკეთებიაო. კიდევ რამდენჯერმე ვნახე განმეორებით ეს მომენტი და კარგად ჩანს, რომ შეგნებულად თამაშობს ხელით. ეს ყველამ დაინახა, მაგრამ ახლა მაინც არაფერი შეცვლება — მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთი მიდის, ხოლო ჩვენ ვრჩებით. მსაჯმა თქვა, რომ წესების დარღვევა არ შეუნიშნავს. საშინებელაა, რომ ასე მწარედ მოგვატყუეს. საერთოდ, თანამსაჯს ჯერ თამაშგარე მდგომარეობა უნდა დაეფიქსირებინა. შესაძლოა, იმ მომენტში მართლაც შეცდა, მაგრამ, როგორ ვერ დაინახა რომელიმე მათგანმა ხელით თამაში, რომელიც ყოველგვარი ვიდეოგამეორების გარეშე აშკარად ჩანდა. არასდროს შევხვედრივარ ასეთ შეცდომებს ამხელა დონეზე. მატჩის ბედის გადაწყვეტა ამგვარი ხერხით არ შეიძლება. უბრალოდ, მიშელ პლატინის უნდოდა, მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრები ეხილა.

**რობი კინი:**

— ამაყი ვარ, რომ ამ გუნდის კაპიტანი ვარ, რადგან ვთვლი, რომ ორი მატჩის ჯამში ჩვენი გუნდი უკეთ გამოიყურებოდა. საწყენია, რომ ვერ გავედით მსოფლიოს ჩემპიონატზე, რადგან მოგებას ვიმსახურებდით. ყველამ დაინახა, რაც მოხდა — ანრის მხოლოდ ხელით არ შეუტანია ბურთი ჩვენს კარში, თორემ, ისე აშკარა იყო ხელით თამაში, რომ მიკვირს, ამ თამაშს ფეხბურთი რატომ ჰქვია. წარმომიდგენია, როგორ ხარობენ ახლა ბლატერი და პლატინი — მალე ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრა იქნება. ალბათ, სასიხარულო მესიჯებსაც უცვლიან ერთამანეთს.

თავად ტიერი ანრიმ აღიარა, რომ იმ ეპიზოდში ხელით ითამაშა, მაგრამ ამაში საკუთარ თავს ვერ ადანაშაულებს.

**ტიერი ანრი:**

— მართალია, იმ ეპიზოდში ხელით ვითამაშე, მაგრამ ამაში ჩემს დანაშაულს ვერ ვხედავ და მთელი პასუხისმგებლობა მსაჯს უნდა დაეკისროს. ჩვენ 2 წლის განმავლობაში ვცდილობდით სამხრეთ აფრიკის საგზურის მოპოვებას და ამ დროის მანძილზე ძალიან ბევრს გვაკრიტიკებდნენ. სასიამოვნოა, რომ ეს მოვახერხეთ, მაგრამ, უკეთესი იქნებოდა, თუ სხვაგვარად მოხდებოდა ყველაფერი.

მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ხელიდან გაუშვეს პოსტსაბჭოური ქვეყნების გუნდებმა. პირველი სამხრეთ აფრიკას კიევიდან უკრაინის ნაკრები დაემშვიდობა. ათენში უგოლოდ ნათამაშევი ფრეს შემდეგ მასპინძლები მცირე უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ ბერძნებმა შეძლეს გოლის გატანა, რომელმაც ორმატჩიანი დაპირისპირება გადაწყვიტა. პირველივე წუთებზე მასპინძლებმა შტურმი მოუწყვეს ბერძნებს, მაგრამ სიზუსტე აკლდათ. ბერძნები გონს თანდათან მოეგნენ და 31-ე წუთზე სამარსმა შესანიშნავი პასით მეკარესთან პირისპირ დატოვა სალპინგიდისი, რომელსაც გოლის გატანა არ გასჭირვებია. დარჩენილი დრო მასპინძლებმა შეტევებში გაატარეს, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს და მუნდიალზე მეორედ მოხვედრის შანსი ვერ გამოიყენეს.

ჰო, ბერძნებიც მეორედ მოხვდნენ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე.

მეორედ მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე სლოვენიის ნაკრები, რომელმაც ზედიზედ მეორედ დატოვა მუნდიალს მიღმა რუსები. საშინაო მატჩის მოგების შემდეგ (2:1) რუსები დიდ გულზე ჩავიდნენ სლოვენიაში, მაგრამ დედიჩის გოლმა სტადიონზე მყოფ დმიტრი მედვედევსაც მოუკლა გული. სლოვენიელები თავიდანვე მეტოქის კარზე დაიგეშნენ, მაგრამ ხან აკინფეევი ყოჩაღობდა, ხანაც მეკარეს მხსნელად ძელები ეხმარებოდა, 44-ე წუთზე კი დედიჩის დარტყმულს ვერაფერი მოუხერხა.

საფრთხის წინაშე მდგარი რუსებიც გაიქაჩნენ მეტოქის კარისკენ, მაგრამ 65-ე წუთზე შეცვლაზე შესულმა კერჟაკოვმა მოედანი ნაადრევად დატოვა და რუსები უფრო რთულ დღეში ჩაყარა. ამის მიუხედავად, გუს ჰიდინკის შეგირდები მაინც უტევდნენ, მაგრამ ახლა უკვე ჟირკოვი გააძევეს მოედნიდან და აქ უკვე ყველაფერი გადაწყდა.

მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად მოხვედრის შანსი ჰქონდა ბოსნიის ნაკრებს, მაგრამ კრიშტიანუ რონალდუს გარეშე მოთამაშე პორტუგალიის ნაკრებთან მაინც ვერაფერს გახდა. პორტუგალიელებმა, როგორც 4 დღის წინ, ოთხშაბათსაც 1:0 იმარჯვეს. ბოსნიელთა ახალგაზრდული გუნდი ბევრს ეცადა სასურველი შედეგის მიღწევას, მაგრამ ამაოდ. რაც დრო გადიოდა, მით უფრო შიშვლდებოდა ბოსნიელთა დაცვა და პორტუგალიელებმაც ამით იხეირეს — ნანიმ პირისპირ დატოვა მეკარესთან მეირელეში და მანაც უპრობლემოდ გაიტანა.

ბოსნიელთა დამძიმებული საქმე კიდევ უფრო დაამძიმა სალიჰოვიჩმა, რომელიც ჯერ გვერდით, ხოლო შემდეგ მთავარ მსაჯს ეკამათა და წითელი ბარათიც დასტყუა. ამ ეპიზოდით აღშფოთებულმა გულშემატკივარმა გვერდით მსაჯს თავში სანთებელა ჩაარტყა და ტრიბუნების დაშოშმინება თავად ბოსნიელმა ფეხბურთელებმა შეძლეს.

აფრიკის ზონიდან ბოლო დარჩენილი საგზური ალჟირის ნაკრებმა მოიპოვა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში თავისი კონტინენტის ჩემპიონ ეგვიპტელებს 1:0 მოუგო. გადამწყვეტი გოლი ალჟირელმა ანტარ იაიამ მატჩის მე-4 წუთზე გაიტანა და თავისი ქვეყნის ნაკრები ფინალურ ეტაპზე მესამედ მოახვედრა.

სამხრეთ ამერიკიდან კი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრება ურუგვაელებს ერგოთ. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა თავიანთ ზონაში მე-5 ადგილი დაიკავეს და სამხრეთ აფრიკაში წასასვლელად კონკაკაფის ზონიდან მეოთხეადგილოსან კოსტა რიკასთან ორმატჩიანი ბრძოლა მოუწიათ. პირველი მატჩი ურუგვაელებმა სტუმრად 1:0 იმარჯვეს, ხოლო შინ ფრეს გამორჩნენ — 1:1.

აქვე გაგაცნობთ ყველა, 32 ნაკრებ გუნდს, რომლებიც გაისად სამხრეთ აფრიკაში ითამაშებენ: ჰოლანდია, ინგლისი, ესპანეთი, გერმანია, დანია, სერბეთი, იტალია, შვეიცარია, სლოვაკეთი, საბერძნეთი, სლოვენია, პორტუგალია, საფრანგეთი (ევროპა); ბრაზილია, პარაგვაი, ჩილე, არგენტინა, ურუგვაი (ს.ამერიკა); მექსიკა, აშშ, ჰონდურასი (კონკაკაფი); სამხრეთ აფრიკა, განა, კოტ დივუარი, ნიგერია, კამერუნი, ალჟირი (აფრიკა); იაპონია, ავსტრალია, კორეა, ჩრდილოეთ კორეა, (აზია), ახალი ზელანდია (ოკეანეთი).

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა დეკემბერში გაიმართება.

# კიელინი ბოდიშს იხდის

არ წყდება აჟიოტაჟი შაბათს ჰოლანდია-იტალიის (0:0) მატჩის დროს მომხდარ ეპიზოდზე. მატჩის 25-ე წუთზე იტალიელმა ჯორჯო კიელინიმ ვარდნაში სცადა ბურთის ართმევა რობინ ვან პერსიესთვის, მაგრამ, იმდენად უხეშად მოუვიდა, რომ ჰოლანდიელი ფეხბურთელი 4 თვით ჩამოშორდა ფეხბურთს.

ვენ პერსის თანაგუნდელმა დირკ კიუიტმა იტალიელი მცველის ამ მოქმედებას შეგნებული უწოდა და განზრახ უხეშ თამაშში დაადანაშაულა იგი.

— როგორც იქნა, ვან პერსიმ ტრავმა მოიშუშა და ფორმაში შევიდა, უცებ კი ახალი უბედურება დაატყდა თავს. წინ მსოფლიოს ჩემპიონატია მომდგარი და რობინი ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა. თამაში ამხანაგური იყო და სულაც არ წამოადგენდა საჭიროებას, კიელინის ასე უხეშად ეთამაშა, მაგრამ მისი ქმედება უფრო გამიზნულს ჰგავდა, — აღნიშნა კიუიტმა.

თავად იტალიელი მცველი კი ამბობს, რომ ვარდნაში სპეციალურად არ წასულა, რათა მეტოქე ფეხბურთელისთვის ტრავმა მიყენებინა.

— ცხოვრებაში არასდროს წავსულვარ ვარდნაში იმის გამო, რომ მეტოქე ფეხბურთელისთვის ტრავმა მიმეყენებინოს და არც ვან პერსის შემთხვევაში მქონდა მსგავსი ჩანაფიქრი. თუ ამ მომენტს განმეორებით ნახავთ, დარწმუნდებით, რომ უხეშ თამაშს ადგილი არ ჰქონია. ყველაზე მეტად კი ვან პერსის მდგომარეობამ გამანაწყენა და მალე გამოჯანმრთელებას ვუსურვებ. სიმართლე გითხრათ, გაოცებულიც კი დავრჩი, როდესაც გავიგე, რომ ამ ვარდნის შემდეგ ვან პერსიმ ტრავმა მიიღო, — განაცხადა „იუვენტუსის“ ფეხბურთელმა.

# ელკლასიკოსთვის მზადება იწყება

მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დაპირისპირება „ბარსელონა“ — „რეალია“. ამ გუნდების მომავალ შეხვედრამდე კვირაზე მეტია დარჩენილი, მაგრამ გუნდები უკვე ცდილობენ, ოპტიმალური შემადგენლობით შეხვდნენ მომავალ „ელკლასიკოს“.

ჰოლანდიელი ექიმი, კორნელიუს ნიკოლას ვან დიიკი, კმაყოფილი დარჩა „რეალის“ ფეხბურთელ კრიშტიანუ რონალდუს სადღეისო მდგომარეობით და, მისი თქმით, „რეალის“ ვარსკვლავი მალე შეძლებს, დაუბრუნდეს მოედანს.

ესპანურ გაზეთ „მარკას“ ცნობით კი რონალდუ ხვალიდან იმ ფეხბურთელებთან ერთად შეძლებს ვარჯიშს, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის უახლოესი ტურის მატჩში „რასინგის“ წინააღმდეგ განაცხადში ვერ მოხვდებიან, ხოლო კვირიდან უკვე ძირითად ჯგუფს შეუერთდება.

ესპანური მედიის ცნობით, დიდი შანსია, რონალდუმ „ელკლასიკოში“ მიიღოს მონაწილეობა, რაც გაცილებით მეტ ეშხს შესძენს მომავალ დაპირისპირებას.

შევსებაა „ბარსელონას“ შემადგენლობაშიც — წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა კატალონიელთა მცველი, გაბრიელ მილიტო.

გაბიმ სანაკრებო პაუზებისას მოასწრო და „ბარსელონა“ — „ბოლივარის“ (4:1) ამხანაგურ მატჩში რამდენიმე წუთით ითამაშა. ექიმების აზრით, ეს აუცილებელი იყო, რათა მილიტოს თავი ისევ სრულფასოვან მოთამაშედ ეგრძნო. ჯერჯერობით, არგენტინელი ფეხბურთელი არ არის მზად, 90 წუთი გაატაროს მოედანზე, თუმცა ვარაუდობენ, რომ მილიტო „რეალთან“ მატჩისას განაცხადში მოხვდება.

თქვენის ნებართვით, „ელკლასიკოდან“ გადავუხვევთ და გეტყვით, რომ „ბარსელონა“ — „ბოლივარის“ მატჩის მეორე ტაიმში კატალონიურ გუნდში ითამაშა გიორგი ჭანტურიამ, რომელმაც თავისი გუნდის მეოთხე გოლი პენალტით გაიტანა.

## დღის კალენდარი

### 20 ნოემბრისთვის



წლის 324-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 41 დღე.

**საეკლესიო კალენდარი**

24-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. პარასკევი.

ხსენება 33 მელიტინელ მოწამეთა: იერონისა, ევსიქისა, ნიკანდრისა, ათანასესი, მამანტისა, ბარაქიოსი, კალინიკესი, თეაგენისა, ნიკონისა, ლონგონოზისა, თეოდორესი, ვალერისა, ქსანთისა, თეოდულესი, კალიმაქესი, ევგენისა, თეოდოხისა, ოსტრიქისა, ეპიფანესი, მაქსიმიანესი, დუქიტისა, კლავდიანესი, თეოფილესი, გიგანტისა, დოროთესი, თეოდოტესი, კასტრიკის, ანიკიტესი, თემელისა, ევტიქისა, ილარიონისა, დიოდოტესი და ამონიტესა (III); ღირსი ლაზარე გალისიელისა (1053). მოწამე თეოდოტესი (303); მოწამე მელასიპისა და კასიანესი და ძისა მათისა ანტონინესი (363); მოწამე ავქტისა, ტავრიონისა და თესალონიკიასი.

**დაიბადნენ:**

1480 — ფერნანდო მაგელანი, ზღვაოსანი, მან პირველმა შემოუარა მსოფლიოს გარშემო, გარდაიცვალა 1521 წელს.

1858 — სელმა ლაგერლეფი, შვედი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი, გარდაიცვალა 1940 წელს.

1869 — მიხეილ ლელაშვილი, პოეტი, ჟურნალისტი, გარდაიცვალა 1915 წელს.

1876 — მიხეილ ქორელი (ქორიძე), თეატრალური რეჟისორი, გარდაიცვალა 1949 წელს.

1880 — მიხეილ ჯავახიშვილი (ადამაშვილი), მწერალი, რეპრესირებულ იქნა 1937 წელს.

1882 — ირაკლი (კაკი) წერეთელი, საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი. გარდაიცვალა 1937 წელს.

1891 — გიორგი ფრონისპირელი (ყიფშიძე), ქართველი მსახიობი და რეჟისორი, გარდაიცვალა 1951 წელს.

1901 — ლევან გოკიელი, გამოჩენილი მათემატიკოსი და ლოგიკოსი, გარდაიცვალა 1975 წელს.

1907 — გიორგი ტყაბლაძე, მსახიობი და რეჟისორი, გარდაიცვალა 1980 წელს.

1914 — ალეკო შენგელია, პოეტი, გარდაიცვალა 1975 წელს.

1924 — ირაკლი ოჩიაური, საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

1925 — რობერტ კენედი, ამერიკელი სენატორი, პრეზიდენტ ჯონ კენედის ძმა, მოკლეს 1968 წელს.

1925 — მაია პლისეცკაია, რუსეთის გამოჩენილი ბალერინა.

1927 — ვახტანგ ბალავაძე, სპორტსმენი (თავისუფალი ჭიდაობა), მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი.

1972 — ბადრი ჯანიაშვილი, სპორტსმენი, მსოფლიო ჩემპიონი სამბოში.

**გარდაიცვალნენ:**

1826 — მამია V გურიელი, გურიის უკანასკნელი მთავარი.

1877 — გრიგოლ რჩეულიშვილი, მწერალი.

1894 — ანტონ რუბინშტეინი, რუსი პიანისტი, კომპოზიტორი, დირიჟორი.

1910 — ლევ ტოლსტოი, დიდი რუსი მწერალი, დაიბადა 1828 წელს.

1945 — ფრანსის ვილიამ ასტონი, ინგლისელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1947 — ვოლფგანგ ბორხერტი, გერმანელი მწერალი.

1947 — გეორგ კოლბე, გერმანელი მოქანდაკე.

1952 — ბენედეტო კროჩე, იტალიელი ფილოსოფოსი, იდეალისტი, ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი.

1973 — კარლ ფრიში, გერმანელი ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.

1976 — ირაკლი ლორთქიფანიძე, მეცნიერი-მეტალურგი.

**მოვლენები:**

1789 წელი — ნიუ ჯერსი პირველი შტატი გახდა, რომელშიც რატიფიცირებულ იქნა ადამიანის უფლებების ბილი (კანონი).

1805 წელი — ვენაში გაიმართა ბეთჰოვენის ოპერის "ფიდელიოს" პრემიერა.

1873 წელი — ბუდაპეშტი უნგრეთის დედაქალაქი გახდა.

1920 წელი — ამერიკის პრეზიდენტს ვუდრო ვილსონს ნობელის პრემია მიენიჭა.

1945 წელი — ნიურნბერგში დაიწყო ნაცისტური გერმანიის სამხედრო დამნაშავეების სასამართლო პროცესი.

1947 წელი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ რეზოლუცია მიიღო პალესტინის ტერიტორიაზე ორი ქვეყნის - ისრაელისა და პალესტინის ჩამოყალიბების შესახებ, ქალაქი იერუსალიმი საერთაშორისო ზონად გამოცხადდა.

1947 წელი — ლონდონის ვესტმინსტერის ტაძარში პრინცესა ელიზაბეტი (მომავალი დედოფალი) ცოლად გაყვა ლორდ ფილიპ მაუნტბეტენს.

1963 წელი — გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ყველანაირი ფორმის რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ.

1969 წელი — ბრაზილიელმა ფეხბურთელმა პელემ თავისი მეათასე გოლი გაიტანა.

1975 წელი — ესპანეთში გარდაიცვალა ყოფილი დიქტატორი გენერალი ფრანკო.

1984 წელი — „მაკდონალდსში" დაამზადეს 50-მემილიარდე ჰამბურგერი.

1997 წელი — 60 წლის ელიზაბეტ ბაცს გაუჩნდა შვილი ჯოზეფი. მისი პირველი შვილი 41 წლის წინათ დაიბადა, ეს არის მსოფლიოში ყველაზე დიდი ინტერვალი ორ შვილს შორის.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

ბავშვთა მსოფლიო დღე.

მექსიკა - რევოლუციის დღე.

*მედიანიუსი*

# ბუბა კიკაბიძე რუსეთში არ ჩავა

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ქართველი მსახიობი და მომღერალი ბუბა კიკაბიძე რუსეთიდან მიღებულ შემოთავაზებას კონცერტის გამართვასთან დაკავშირებით უარით პასუხობს. სამაგიეროდ, თავისი საყვარელი ქართველი მსმენელისთვის განახლებულ ფილარმონიაში სოლოკონცერტს გამართავს, სადაც მსმენელისთვის კარგად ნაცნობ სიმღერებს კიდევ ერთხელ შეასრულებს. კონცერტში პროფესიონალი მუსიკოსების გარდა, მონაწილეობას 30-მდე მსახიობი მიიღებს. ეს იქნება ხელოვანის კიდევ ერთი სიყვარულის გამოხატულება მისი ერთგული მსმენელის მიმართ.

ბუბა კიკაბიძემ შემოდგომაზე საქართველოში საკონცერტო ტურნე დაიწყო, რომელმაც ბათუმი, ზუგდიდი, ახალციხე, რუსთავი და საქართველოს სხვა ქალაქები მოიცვა.

როგორც მომღერლის პროდიუსერმა ბატონმა **სოსო აბზიანიძემ** გვითხრა:

— თბილისში, განახლებულ ფილარმონიაში ჩვენ წარმოვადგენთ რეჟისორ დავით დოიაშვილის მიერ დადგმულ კონცერტს. ჩვენ საქართველოს გარკვეულ რეგიონებს უკვე ვეწვიეთ და იქაური მოსახლეობა ამით კმაყოფილი დარჩა.

***— თბილისში გამართული კონცერტით ბატონი ბუბა დაასრულებს საქართველოში დაწყებულ საკონცერტო ტურნეს?***

— არა. ჩვენ კიდევ გავაგრძელებთ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სტუმრობას და კონცერტების ჩატარებას. ჩვენ არ ვყოფილვართ კახეთში, რაჭაში, მთიან რეგიონებში, ამიტომ პირობას შევასრულებთ და სრულიად საქართველოს ვესტუმრებით.

***— საზღვარგარეთ გასტროლები არ გაქვთ დაგეგმილი?***

— ბუბას ძალიან ბევრი შეთავაზება აქვს სხვადასხვა ქვეყნებიდან. მას ყველგან დიდი სიამოვნებით ეპატიჟებიან. მიწვევა გვაქვს გერმანიაში, უკრაინაში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, აზერბაიჯანში, ისრაელში, რუსეთში.

***— რუსეთში ბატონი ბუბა კონცერტს გამართავს?***

— რა თქმა უნდა, არა! ბუბამ უკვე თქვა უარი რუსეთში კონცერტის გამართვაზე.

***— უკრაინაში ღორის გრიპი მძვინვარებს. ამის არ გეშინიათ?***

— უკრაინის გასტროლი უახლოესი არ არის, ამიტომ გვჯერა, რომ საშიში არაფერია.

ბუბა კიკაბიძის სოლოკონცერტი განახლებულ ფილარმონიაში 21 ნოემბერს გაიმართება.

# „ა სტუდიო" სინგლის პრეზენტაციას გამართავს

ეკა ირემაშვილი

ლეგენდარული ჯუგფი „ა სტუდიო" მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე გრანდიოზულ კლუბში „ბი ადინ მაქსიმუმ" სინგლის „სედმოე ნებო" (მეშვიდე ცა) პრეზენტაციას გამართავს.

ახალი სინგლის ავტორი ჯგუფის წევრი და მუსიკოსი ბაიგალი სერკებაევია, სიმღერის თანაავტორი კი ყაზახელი კომპოზიტორი და პოეტი ერკეშ შაკეევია. ზაფხულის არდადეგების შემდეგ ეს ჯგუფის პირველი მასშტაბური კონცერტია. ახალი პროგრამა „ა სტუდიომ" უკვე წარადგინა ბაქოსა და ალმა ატის კონცერტებზე.

— თუკი იმას გავითვალისწინებთ, როგორ თბილად მიგვიღო მსმენელმა ორივე ქალაქში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ყველაფერი კარგადაა. მოსკოვში დაბრუნების შემდეგ ჩვენ ბევრი ვირეპეტიციეთ და ახლა უკვე მზად ვართ ჩვენს ერთგულ მსმენელთან შესახვედრად, — განაცხადა ჯგუფის ხელმძღვანელმა ბაიგალი სერკებაევმა.



კლუბში ჯგუფი გაზრდილი შემადგენლობით გამოვა. „ა სტუდიო პლუს" — ასე ეწოდება ამ შემდაგენლობას. კლუბში ჯგუფის წევრებთან ერთად მათი ძველი მეგობარი, კომპოზიტორ-შემსრულებელი ანდრეი კოსინსკიც იმღერებს.

სინგლის პრეზენტაციაზე, რომელიც მოსკოვში 21 ნოემბერს გაიმართება, „ა სტუდიო" თაყვანისცემლებს ჯგუფის ცნობილი ჰიტებისგან შექმნილ პოპურსაც შესთავაზებს.

# ჭაბუა ამირეჯიბი მემუარებს წერს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ციული განათლებულობა. ბოლო ასი წლის მანძილზე ერთადერთი „ხეპრე" გვარში თქვენი მონა-მორჩილია — ლიტერატურული ფაკულტეტის სამი კურსი მაქვს დამთავრებული. მესამე კურსზე უკვე მწერალთა კავშირის წევრი ვიყავი, ვიბეჭდებოდი და სწავლა მივატოვე".

სკოლის დასრულების შემდეგ მან სწავლა განაგრძო ამიერკავკასიის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკუმის რადიოფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა მესამე რანგის სამხედრო რადიოტექნიკოსის დამატებითი წოდებით. მომდევნო წელს კი მისაღები გამოცდები ჩააბარა და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურდიულ ფაკულტეტზე. შემგომ წელს კი ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადავიდა.

1941 წელს ომის დაწყებიდან მეორე დღეს მწერალი პირდაპირ კალათბურთის მოედნიდან ჯარში წაიყვანეს. იმის გამო, რომ მან რეპრესირებული მშობლები და პოლიტემიგრანტი ნათესავები ჰყავდა, სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს. თბილისში დაბრუნებულმა მწერალმა უნივერსიტეტის მეორე კურსზე აღიდგინა თავი. თუმცა, აქაც შარში გაეხვია — მწერალი იმ ჯგუფთან ერთად აიყვანეს, რომელსაც ბრალად ედებოდა შეიარაღებული აჯანყების მზადება საქართველოში საბჭოთა წყობილების დასამხობად.

მწერალს 25-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ განაჩენი პროკურორის მიერ გასაჩივრდა და უმაღლესი ზომით — დახვრეტით შეიცვალა. სამი თვე სიკვდილმისჯილთა საკანში იჯდა, თუმცა, მოგვიანებით ტრიბუნალმა მას სასჯელი კვლავ 25-წლიანი პატიმრობით შეუცვალა. თავისუფლების წყურვილით შეპყრობილმა მწერალმა მთლიანობაში ექვსჯერ სცადა გაქცევა. ერთ-ერთი გაქცევის გამო მეორედ მიუსაჯეს დახვრეტა, რომელიც შემდეგ ახალი ვადის დამატებით შეუცვალეს. მთლიანობაში მწერალს ორჯერ გამოუტანეს დახვრეტის განაჩენი, ხოლო 83-წლიანი პატიმრობის ვადა 16-წლიანმა თავისუფლების აღკვეთამ შეცვალა.

გათავისუფლებულ მწერალს ოჯახში საგანგაშო მდგომარეობა დახვდა — მამა 1938 წელს დაუხვრიტეს, დედამ ათი წლის პატიმრობა მოიხადა სხვადასხვა ბანაკებში და უკან დაბრუნდა. უმცროსი და დეიდებთან იზრდებოდა, უფროსი და მოსკოვში ცხოვრობდა.

88 წლის მწერალს სხვადასხვა ცოლებისგან ექვსი შვილი ჰყავს. ორი გოგოს შემდეგ, მწერალს ღმერთმა ოთხი ბიჭი აჩუქა. უფროსი, ირაკლი ამირეჯიბი აფხაზეთის ომში იბრძოდა, სადაც გმირულად დაიღუპა. მან ჟურნალისტის სიცოცხლე გადაარჩინა, რის გამოც ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენი მიენიჭა სიკვდილის შემდეგ. მეორე ვაჟიშვილი — ლაშა მოქანდაკეა, ისიც აფხაზეთშია ნაომარი. მესამე ქურციკი — კინორეჟისორ-ოპერატორია, ესეც ომის მონაწილეა და მამამისზე გადაღებული საინტერესო დოკუმენტური ფილმის ავტორი. მეოთხე ვაჟიშვილს — შალვას ბიოლოგიის ფაკულტეტი აქვს დამთავრებული და ისიც ნაომარია აფხაზეთში.

ახლა მწერალი თავის ხიფათებით და განსაცდელებით აღვსილ ცხოვრებას მემუარებში გადმოსცემს. „გიორგი ბრწყინვალის", „დათა თუთაშხიასა" და „გორამ ბორგალის" ავტორი მაქსიმალურად შეეცდება თავის ახალ ნამუშევარში მკითხველს იმ პერიოდის სიმძაფრე და სისასტიკე დაანახოს, რომელშიც თავად მოუწია ცხოვრება.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 2. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 3. მაღალმთიანი ტბა ნინოწმინდის რაიონში; 4. მადის მოსაყვანი სპირტიანი სასმელი; 5. პოლონეთის პარლამენტი; 6. ველური ვარდი; 8. ამერიკის კონტინენტზე გავრცელებული დიდი ხვლიკი; 11. კონიაკის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 14. კბილის ამოღების ოპერაცია; 15. მუსლიმანური მარხვა; 16. ოფიციალური მიღება სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირის მიერ; 17. კლდეში ნაკვეთი ქალაქი საქართველოში; 19. ქალაქი აშშ-ში, სადაც განთავსებულია „კოკა-კოლას" სათავო ოფისი; 21. ძველებური კაჟიანი თოფი; 22. მდინარე დუნაის ძველბერძნული სახელწოდება.

**თარაზულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში; 5. ლიტერატურული პრემია საქართველოში; 7. ტყვიის შემცველი ოპტიკური მინა; 9. პოლიციის ქვედანაყოფი საფრანგეთში; 10. გემის სამზარეულო; 12. ძველებური ფლორენციული ოქროს ფული; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 16. უბანი თბილისში; 17. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 18. ყვითელი ფერის გამჭვირვალე ფისოვანი მინერალი; 20. ქართველი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი; 22. იაპონიაში ყველაზე დიდი, ოსაკას აეროპორტი; 23. ორსართულიანი აჭარული ხის სახლი; 24. რაიმეს შუაგული; 25. თეთრი ფერის ლითონი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. კები; 2. დაფნა; 3. იახტა; 4. ჩორთი; 5. ნამუსი; 6. ტეშენიტი; 8. იქთიოლოგია; 10. ყარაჩოლელი; 11. „ფიუმიჩინო"; 14. ბოლიდი; 15. დევიზი; 16. ოპიზა.

**თარაზულად:** 1. კუპდარი; 4. ჩინეჩიტა; 7. ბლეფი; 9. პაპყი; 12. ლიკანი; 13. ათოსი; 14. ბულიტი; 17. ბოკაჩო; 18. გვერდწითელი; 19. გაბროვო; 20. ქართლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 2. ორაგული; 3. აპატრიდი; 4. ობივატელი; 5. ლანჩი; 6. ერზაცი; 8. ბრინზა; 11. გუდრუნი; 14. ონომასტიკა; 15. ბირთვისი; 16. ალტერაცია; 17. ფაგოტი; 19. ოსტერია; 21. „ხიხვი"; 22. ალენი.

**თარაზულად:** 1. „ბოტაფოგო"; 5. „ლილე"; 7. ქაბული; 9. მაჭავარიანი; 10. ზუგდიდი; 12. აციდოზი; 13. გრეგორი; 16. ამნერისი; 17. ფიჯი; 18. ბონზა; 20. სკალპელი; 22. აკინი; 23. რეესტრი; 24. ცაგური; 25. ვისკი.

# ბერნარ კუშნერმა მაჰმუდ აბასს დარჩენა სთხოვა



საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბერნარ კუშნერმა პალესტინელ ლიდერს მაჰმუდ აბასს მომავალ არჩევნებში მონაწილეობაზე უარის გადაწყვეტილების გადასინჯვისაკენ მოუწოდა.

აბასთან შეხვედრის შემდეგ კუშნერმა მას ისრაელთან მოლაპარაკებების განახლების საქმეში შეუცვლელი პიროვნება უწოდა.

ამჟამად საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელი ახლო აღმოსავლეთში იმყოფება. ცოტა ხნის წინ, აშშ-მა და გაერომ ისრაელი მკაცრად გააკრიტიკეს იმის გამო, რომ ისრაელმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ებრაელთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის გადაწყვეტილება მოიწონა.

თეთრმა სახლმა და გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა განაცხადეს, რომ ეს გადაწყვეტილება ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესის განახლებას ხელს არ შეუწყობს.

პალესტინელები თავის მხრივ აცხადებენ, რომ ისრაელის მიერ ყველა ებრაული დასახლების მშენებლობის გაყინვამდე ისინი მოლაპარაკებების მაგიდას არ მიუსხდებიან.

ბერნარ კუშნერმა განაცხადა, რომ იგი მზად არის მხარი დაუჭიროს მაჰმუდ აბასს. ამ უკანასკნელმა მანამდე განაცხადა, რომ მომავალი წლის არჩევნებში მორიგი ვადის გახანგრძლივებას არ შეეცდება, რადგან ისრაელთან მოლაპარაკებები, აგრეთვე შიდაპალესტინური ურთიერთობები ჩიხში შევიდა.

ისრაელში გამგზავრების წინ, იორდანიაში ყოფნის დროს საფრანგეთის საგარეო პოლიტიკური უწყების ლიდერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აბასს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია.

აბასის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ პალესტინელ ლიდერთან აბასის შეხვედრის მთავარ თემად ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლება იქცა.

რაც შეეხება ებრაული დასახლებების მშენებლობას, ისრაელის შს სამინისტრომ გილოს რაიონში ებრაული დასახლების მშენებლობის გეგმები მოიწონა. ეს ტერიტორია ისრაელის კონტროლის ქვეშ 1967 წლის შემდეგ მოხვდა.

საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, მიუხედავად ისრაელის წინააღმდეგობისა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე დასახლებები უკანონოდ ითვლება.

ბოლო ორი თვის განმავლობაში თეთრი სახლის წარმომადგენლებმა ამ წვავე საკითხთან დაკავშირებით აზრი უკვე ორჯერ გამოთქვეს.

# „ფორბსმა“ ჰოლივუდის წამგებიანი ვარსკვლავები გამოავლინა

ჟურნალმა „ფორბსმა“ გამოაქვეყნა ჰოლივუდის იმ მსახიობების სია, რომელთაც აშკარად გადაჭარბებულ ჰონორარებს უხდიან, რადგან მათი მონაწილეობით გადაღებულ ფილმებს მინიმალური მოგება მოაქვთ.

ამ სიის შედგენის დროს ჟურნალმა ხუთი წლის განმავლობაში ჰოლივუდის ასამდე მსახიობის ჰონორარები შეამოწმა და მათი ბოლო ფილმების შემოსავლებიც გაითვალისწინა.

პირველი ადგილი ამ „ანტირეიტინგში“ მსახიობ უილ ფარელის ფილმმა „დაკარგული სამყარო“ დაიმსახურა. სტუდია „იუნივერსალ ფიქჩერზის“ ეს ფილმი წარუმატებელი გამოდგა. ბიუჯეტმა 100 მილიონი დოლარი შეადგინა, გაქირავების შემოსავალმა კი 65 მილიონ დოლარს ვერ გადააჭარბა.

ჟურნალ „ფორბსის“ პუბლიკაციის თანახმად, ფარელის მონაწილეობით გადაღებულმა ვერც ერთმა ბოლოდროინდელმა ფილმმა პროდიუსერებს რაიმე საგრძნობი წარმატება ვერ მოუტანა.

გაქირავებაში წარუმატებელი გამოდგა აგრეთვე კომედია „ნახევრად პროფესიონალი“, აგრეთვე მხატვრული ფილმი „ნახევარძმები“.



მიუხედავად ამისა, უილ ფარელმა მაინც სოლიდური ჰონორარები მიიღო.

„ფორბსის“ გამოთვლების თანახმად, ფარელის ფილმებში დაბანდებულმა ყოველმა დოლარმა მხოლოდ 3.29 დოლარი მოგება მოიტანა.

რეიტინგის მეორე ადგილზე ჰოლანდიელი მსახიობი ევან მაკგრეგორი აღმოჩნდა. სახელი მას „ვარსკვლავურმა ომებმა“ გაუთქვა. იგი ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მსახიობია, მიუხედავად ამისა, ბოლო დროს იგი „წამგებიანი“ გახდა. მისი მონაწილეობით გადაღებულ ფილმებში ინვესტირებულ თითოეულ დოლარს მხოლოდ 3.75 დოლარი მოგება მოაქვს.

სიაში მესამე ადგილზე ბილი ბობ თორნტონი, რადგან მისი სარგებლიანობის კოეფიციენტი 1:4-ია. მისი მონაწილეობით გადაღებული ფილმის „მისტერ გულუბრყვილოს“ შემოსავალმა 33 მილიონი დოლარი შეადგინა, „ასტრონავტ ფარმერისამ“ კი — 11 მილიონი დოლარი.

მეოთხე ადგილზე მსახიობი ედი მერფი გავიდა. ბოლო დროს მას ბედი არ სწყალობს. მისი შედეგია 1:4.43.

ანტირეიტინგში ტომ კრუზიც აღმოჩნდა. დიდი მინუსი მას ფილმმა „ლომები კრავებისათვის“ მოუტანა, რომელმაც ხარჯების ანაზღაურებაც კი ვერ შეძლო. ტომ კრუზის შედეგია 7.18 დოლარი ყოველ დაბანდებულ დოლარზე.

ფინანსურმა წარმატებამ ლეონარდო დიკაპრიო, დრიუ ბარიმორი და სემუელ ჯექსონიც გაინაპირა. „გადაჭარბებით“ შეფასებული მსახიობებიდან 1:8.5-ზე მეტი კოეფიციენტის ჩვენება მხოლოდ მსახიობმა ჯიმ კერიმ შეძლო. პროდიუსერების მიერ დაბანდებულ თითოეულ დოლარზე მის ფილმებს 8.62 დოლარი მოაქვს.

ჰოლივუდის გადაჭარბებით შეფასებული მსახიობების რეიტინგი ასეთია: უილ ფარელი — 3.29, ევან მაკგრეგორი — 3.75, ბილი ბობ თორნტონი — 4.0, ედი მერფი — 4.43, აის ქიუბი — 4,77, ტომ კრუზი 7.18, დრიუ ბარიმორი — 7.52, ლეონარდო დიკაპრიო — 8.59, სემუელ ჯექსონი — 8.59, ჯიმ კერი — 8.62

# ამერიკელმა მეცნიერებმა შემთხვევით „ქალების ვიაგრა“ აღმოაჩინეს



მედიკამენტმა, რომელმაც ანტიდეპრესანტის ტესტის გავლა ვერ შეძლო, არაფორმალურად „ქალების ვიაგრის“ სახელწოდება მიიღო — მას მოულოდნელი, თუმცა არცთუ უსიამოვნო გვერდითი ეფექტები გამოუმჟღავნდა.

სამი დამოუკიდებელი გამოკვლევის დროს პრეპარატმა ფლიბანსერინმა ქალებზე, რომლებსაც სექსუალური ლტოლვა არ აღენიშნებოდათ, საოცარი ზეგავლენა მოახდინა, იმავდროულად, მათ განწყობაზე პრეპარატს არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია.

ეს პრეპარატი ვიაგრას იმიტომაც შეადარეს, რომ ამ უკანასკნელმა პოპულარობა ასევე მოულოდნელად მოიპოვა. მას თავდაპირველად გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სამკურნალოდ ქმნიდნენ, მაგრამ ამ მიმართულებით ტესტირებას ვერ გაუძლო.

ფლიბანსერინის შექმნის შესახებ ამერიკელმა მეცნიერებმა საფრანგეთის ქალაქ ლიონში სექსოლოგიის სპეციალისტებთან შეხვედრის დროს ისაუბრეს.

მისი ავტორების თქმით, ფლიბანსერილი ცუდი ანტიდეპრესანტი გამოდგა, მაგრამ პრეპარატის გამოცდის დროს დამკვირვებლებმა შეამჩნიეს, რომ იგი ლაბორატორიული ცხოველებისა და ადამიანების ლიბიდოს ზრდიდა.

მრავალრიცხოვან ტესტირებაში მონაწილეობა 2 ათასზე მეტმა ქალმა მიიღო. კანადაში, აშშ-ში და ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში პრეპარატის წარმოება „ბოერინგერ ინგელჰაიმმა“ დააფინანსა.

როგორც გაირკვა, ქალები, რომლებიც დღეში ერთხელ 100 მგ პრეპარატს იღებდნენ, მეტ სექსუალურ ლტოლვას ამჟღავნებდნენ, გარდა ამისა, სქესობრივი ურთიერთობისაგან მეტ სიამოვნებას იღებდნენ.

სპეციალისტების აზრით, იგი, ფაქტობრივად, „ქალების ვიაგრაა“, რადგან დღეისათვის ლიბიდოს შემცირება ქალებში, ისევე, როგორც ერექციული დისფუნქცია მამაკაცებში, ყველაზე გავრცელებულ სექსუალურ პრობლემას წარმოადგენს.

# კიბერნეტიკული ომი რეალობა ხდება

კიბერნეტიკული უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ცნობილი კომპანიის „მაკაფის“ წარმომადგენლების მიერ მომზადებული ანგარიშის თანახმად, საინფორმაციო ქსელებში მიმდინარე ომი დიდი ხანია ფანტასტიკა აღარ არის და რეალობად იქცა.

ეს დასკვნები მათ სხვადასხვა ქვეყნებში ამასწინანდელი კიბერ-თავდასხმების საფუძველზე გამოიტანეს. მათი აზრით, ხშირ შემთხვევებში ამ თავდასხმების მიღმა აშკარად პოლიტიკური მიზნების მქონე ადამიანები დგანან.

ანგარიშში ნათქვამია, რომ ამჟამად მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მსგავსი თავდასხმებისაგან თავის აქტიურად დაცვას ცდილობს.

„მაკაფის“ ანგარიშის თანახმად, მსოფლიოს მრავალი ქვეყანა მსგავსი თავდასხმებისაგან თავის დაცვისათვის აქტიურად ემზადება.

„მაკაფის“ ევროპული განყოფილების თანახმად, ეს ქვეყნებია ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ჩინეთი და ჩრდილოეთ კორეა.

ცნობილია, რომ აშშ-ში არსებობს სპეციალური ოპერატიული წესდება, რომელიც კიბერნეტიკული რომის ტაქტიკის გამოყენებას და პროცედურებს განსაზღვრავს. ეს წესები პირველად ერაყის ომის დროს გამოსცადეს, შემდეგ კი მათ ამ ქვეყანაში მიმდინარე ანტიტერორისტული ომის დროს იყენებდნენ.

„მაკაფის“ წარმომადგენლების თქმით, საინფორმაციო ქსელებში ე.წ. დაზვერვითი შეჭრების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება, რაც კიბერნეტიკული ომისათვის მზადებაზე მიანიშნებს.



ჩვეულებრივი ომები მილიარდებით დოლარი ჯდება, კიბერნეტიკული ომის წარმოება კი ინტერნეტში ბევრი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი საშუალებებით არის შესაძლებელი.

სავარაუდოდ, ასეთი ომის სამიზნეებად შეიძლება იქცნენ ინფრასტრუქტურის ობიექტები. მიზეზი ის გახლავთ, რომ მსოფლიო ეკონომიკის მრავალი დარგი უშუალოდ არის დამოკიდებული საინფორმაციო მხარდაჭერაზე.

ამჟამად მრავალი ქვეყანა სპეციალურ ორგანიზაციებს ქმნიან, რომლებიც ეროვნული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ზრუნვას იწყებენ.

ამ კომპანიების წარმომადგენლების თქმით, მომავლის კიბერნეტიკულ ომებს საკუთარი სპეციფიკა ექნებათ.

ჩვეულებრივ ომში თავიდანვე ცნობილი ხდება, თუ რომელ იარაღს მიმართავს მოწინააღმდეგე, კიბერნეტიკულ ომში კი შენიღბულად მოქმედება გაცილებით ადვილად არის შესაძლებელი.

სპეციალისტების აზრით, ამჟამად პოტენციური ოპონენტები ერთმანეთს სისწრაფეში ეჯიბრებიან. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედმა ნახევრად ოფიციალურმა და ოფიციალურმა ინსტანციებმა შესაძლოა ბოროტმოქმედებს ვერ დაასწრონ და მათი თავდასხმებისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდნენ.

გარდა ამისა, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, კიბერნეტიკული ომებისათვის მზადებაზე მომავალი ფიზიკური, რეალური კონფლიქტების ბედიც იქნება დამოკიდებული.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე მანანა, შვილები ია და ხათუნა, შვილიშვილები ლადო და დიმა, სიძე ილია გუჯაბიძე, რძალი თამუნა ოძელაშვილი, შვილთაშვილი ანნა გუჯაბიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ (ვოვა) ივანეს ძე შულაია**

პანაშვიდი: 19, 20 ნოემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 21 ნოემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ქ.თბილისი, დიდი დიღომი, II მიკრორაიონი, თავდადებულის 10.



გურამ ზარანდიასა და ნონა შონიას შვილის

**ჯაკო (ჯარნაზ) ზარანდიას**

დაღუპვის გამო უსამძიმრებენ ერეკლე ჩხიკვაძე და თენგო ახალაია ოჯახებით და ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი ნათესავისა და თენგო ახალაიას შვილის ნათლიის დაღუპვის გამო.



გურამ ზარანდიასა და ნონა შონიას შვილის

**ჯაკო (ჯარნაზ) ზარანდიას**

დაღუპვის გამო უსამძიმრებენ მამიდაშვილი ნუგზარ ჩემია, რუსუდან ბიგვავა, კორნელი, ბესო ჩემიები ოჯახებით და ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ უსაყვარლესი ადამიანის დაკარგვის გამო.

აგრო განვითარების ჯგუფი სამძიმარს უცხადებს სოფიო ნარჩემაშვილს ბებიის

**ქეთევან ტორაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

*აგრო განვითარების ჯგუფი*

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**პარასკევი 20 ნოემბერი**

**08.00** ან. სერ. "პიტი და კენტროფი" **08.30** სერ. **"ფილიპის ფილოსოფია"** **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი **"ჩვეულებრივი სასწაულები"** **12.30** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. **"პირისპირ"** **17.00** ევროვიზია ჯუნიორი **2009** – დღიური **17.30** ან. სერ. "ადამიანი ობობა" **18.00** დოკ. ფილმი "კოლიზეუმი, რომის სიკვდილის არენა" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **22.00** მე მიყვარს საქართველო **23.00** სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფილმი **"იავნანა"** (ð) **02.20** მოამბე

**11.00** პარლამენტი **19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერ. "ფილიპის ფილოსოფია" **20.25** დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" **21.05** სერ. **"ელიზას ქალიშვილი"** **22.00** სერ. **"პირისპირ"** **23.00** მხ. ფილმი **"ბედისწერის შეცვლა"** (U)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** **11.00** ანა-ბანა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ. **"გზა დიდებისკენ"** **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** **15.25** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **15.50** სერ. **"გულის ძახილი"** **16.50** სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** **18.30** სერ. **"ჩვენი ოფისი"** **19.00** სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** **19.50** სერ. **"ანხელის საიდუმლო"** **21.45** თოქ-შოუ "პოზიცია" **23.00** ვანოს შოუ **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი **"მიკიბო და მე"** (18) (ჯ. ჯ. მაკნილი)

**08.00** მულტფილმი "რიპლი" **09.00** სერ. **"მარია ემილია"** **09.50** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **10.50** სერ. **"ტყუპები"** **12.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ. **"მარტოხელა მტრედი"** **15.50** მხ. ფილმი **17.30** პულსი **18.05** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **19.30** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **20.20** სერ. **"ტყუპები"** **21.10** ძილისპირული **21.30** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.35** სტუდენტური დემოკრატია **00.00** სერ. **"სი-ეს-აი"** **00.50** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. **"ორმაგი თამაში"** **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. **"უილ თრეველერის საიდუმლო"** **13.00** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **15.00** სერ. **"ყავა და ლუდი**: პანდორას ყუთი" **16.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. **"სიყვარულის აჩრდილი"** **19.05** სერ. **"მარადიული გრძნობა"** **21.00** სერ. **"განრისხებული ანგელოზი"** **22.00** ღამის შოუ **23.00** იუმორინა **00.00** სერ. **"უილ თრეველერის საიდუმლო"** **01.00** მხ. ფილმი **"სიჩქარე!** (U) (კ. რივზი) **03.00** ქრონიკა **03.15** სერ. **"კლონი"** **04.00** მხ. ფილმი **"ღამის გუშაგი"** (18) (მ. ფრიმენი)

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.50** მხ. ფილმი **"გოლდმემბერი"** **10.30, 19.30** სერ. **11.45, 21.00** სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** **12.45** მხ. ფილმი **"პრინცესა ყინულზე"** **15.20** მხ. ფ. **"მზის ცრემლები"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **23.00** მხ. ფილმი **"სუროგატები"** **00.25** მხ. ფილმი **"ვარდის სახელი"**

ერთსულოვნება

**09.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** მიწათმოქმედი **10.50** დოკ. ჩერიალი "საბჭოთა საქართველო" მე-**4** ს. **11.30** დამოკიდებულებიდან თავისუფლებამდე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"ყვარყვარე"** **13.30** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** მხ. ფილმი **"პალიასტომის ტბა"** **17.30** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** სატ. არქივიდან **19.00** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"პიერი – მილიციის თანამშრომელი"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** ჩემი ქალაქი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "საქართველოს ისტორია"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 20 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

აშშ დოლარი — 1,6825
ევრო —2,4035
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536
რუსული რუბლი — 0,0533

## ამინდის პროგნოზი 20 ნოემბრისთვის

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 8-14, ღამით — -1-6
<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-13, ღამით — 1-7
<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 1-19, ღამით — -12-3







### ქართული ფლორის საოცრება
## „სალხინო"
### უებარი წამალია

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


# მარცხიანი დასასრული

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა სეზონი მარცხით დაასრულა. ევროპული საბუქმეიკერო კანტორები შვეიცარიელებს იოლ მოგებას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა — ოთარ გაბელიას შეგირდებმა ლუგანოში გაიბრ ოლეს, მაგრამ შინ მაინც უქულოდ დაბრუნდნენ.



### შვეიცარია — საქართველო 1:0

<u>1:0 გავრანოვიჩი (43)</u>

**შვეიცარია:** სომერი, ბერარდი (ფრაი 77), ელმერი, როსინი, რ.ფელტშერი, ლუსტენბერგერი, ფ.ფელტშერი, პავლოვიჩი, დერდიოკი (კოსტანცი 46), გავრანოვიჩი, გაში (შაქირი 46)

**საქართველო:** კვასხვაძე, თომაშვილი, ხიდეშელი, კაკუბავა, სანაია, დაუშვილი, ნემსაძე (კვარაცხელია 65), კლიმიაშვილი, ოქრიაშვილი (კვეკვესკირი 90), ჭედია (გაბედავა 76), ივანიშვილი

საქართველოს ნაკრები შვეიცარიაში სერიოზული დანაკლისით ჩავიდა. ლევან ყენიას ტრავმა აწუხებს, ხოლო ჯანო ანანიძეს ყვითელი ბარათების გადაჭარბებული რაოდენობა აღმოაჩნდა და დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა მატჩი. ამ ორი ფეხბურთელის გარეშე კი ნაკრების შეტევითი პოტენციალი რადიკალურად განსხვავდება. 4 დღის წინ ირლანდიასთან ჩატარებული მატჩის შემდეგ გაბელიას კორექტივების შეტანა დაცვით ხაზშიც მოუხდა, თუმცა ეს ფაქტი ნაკრებისთვის უფრო სარგებლიანი გამოდგა — ლაშა თოთაძე და გიორგი გეთიაშვილი ამირან სანაიამ და გიორგი ხიდეშელმა ჩაანაცვლეს. ძირითადში გამოჩნდნენ ვაჟა ნემსაძე და გიორგი ჭედია.

თამაშის ყურების საშუალება ქართულმა ტელესივრცემ არ მოგვცა და ეს არახალია. თუ უეფას ვებგვერდის სისწორეში ეჭვს არ შევიტანთ, პირველი ტაიმი თანაბარი გამოდგა. კონკრეტულად სახიფათო მომენტების აღწერას ვერ შეგპირდებით, მაგრამ ქართველებმა უფრო მეტჯერ დაარტყეს კარში, ვიდრე მასპინძლებმა, მაგრამ შვეი-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

# ჭაბუა ამირეჯიბი მემუარებს წერს

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ქართველი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი, რომელსაც 18 ნოემბერს 88 წელი შეუსრულდა, მემუარებს წერს. მოგონებებში იგი კატორღელ მეგობრებზე და თავისი ცხოვრების საინტერესო თანამგზავრებზე საუბრობს.

ჭაბუა ამირეჯიბი 1921 წელს დაიბადა. 1943 წელს მწერალი არალეგალური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს. ექვსი წლის განმავლობაში მან ციხეს თავი 6□ჯერ დააღწია.

მწერალი „ავტოინტერვიუში" წერს: „მამაჩემის თავადურ წარმოშობაზე თავად გვარი ამირეჯიბი მიუთითებს. ეს საუკუნეების მანძილზე გვარად ქცეული მეფის სასახლის თანამდებობაა, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეს, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უფროსს რომ შეესატყვისება. თანამდებობა საგვარეულო იყო, მემკვიდრეობით გადაეცემოდა და ყოველი ოჯახი, რომელიც ამ გვარს ატარებდა, პირდაპირ მეტოქეობდა, რათა თავისი ოჯახიდან მოემზადებინა კანდიდატი. ულმობელი კონკურენცია იყო, ამიტომ ყველა კანდიდატი ღირსეულ განათლებას იღებდა როგორც საქართველოში, ასევე ბიზანტიაში. აქედან მოდის გვარის წარმომადგენელთა ტრადი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

### ყველამ გაითვალისწინეთ!

**დღეს დაწყებული საქმე დაასრულეთ.**

## ასტროპროგნოზი 20 ნოემბრისთვის

**ვერძი** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კურო** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ტყუპები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კირჩხიბი** — წარმატებული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **ლომი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ქალწული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **სასწორი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ნუ გადაიღლებით. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — ახალი საქმე გაამართლებს, იაქტიურეთ. **მერწყული** — ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თევზები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ამერიკელი მწერალი ქალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 2. ყავის მოსადუღებელი სახელურიანი ჭურჭელი; 3. მწერის განვითარების ბოლო სტადია; 4. ქეიფი, დროსტარება; 5. ვაჭართა წოდებრივი თანრიგი ქონებრივი რაოდენობის მიხედვით ძველად; 6. სხეულთა მოძრაობის კანონების შემსწავლელი მექანიკის ნაწილი; 8. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ადამიანის სახის გამომეტყველება; 11. ლუდსახარში საქართველოში; 14. გარეული მხეცის სადგომი; 15. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 16. აჭარაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 1. საწარმოს, ორგანიზაციის შემოსავალ-გასავლის ნუსხა; 4. მეტყველების ნაკლის მკურნალი სპეციალისტი; 7. ოპერა „დაისის" პერსონაჟი; 9. საწვავად, სასუქად გამოყენებული ჭაობის მცენარეების ლპობის შედეგად წარმოქმნილი მკვრივი მასა; 12. კუთხე საქართველოში; 13. ველორიქშა ინდოეთში; 14. კოლუმბიის დედაქალაქი; 17. კომბინაცია პოკერში; 18. რთული ცილა, სისხლის წითელი პიგმენტი; 19. აჭარული ხის სახლი; 20. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის" პერსონაჟი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## იუმორი



— უსპამო ფოსტა მინდა, რას მირჩევ?

— მტრედებს...

***

— თქვენი შვილი გეოგრაფიაში ძალიან სუსტია.

— მერე რა, ჩვენი შემოსავლით შორს მაინც ვერსად წავა...

***

მიხრწნილი ბერიკაცი ექიმთან მივიდა და მრავალრიცხოვანი სნეულებების შესახებ ჩივის.

ექიმმა უსმინა და გაღიზიანებული ხმით აწყვეტინებს:

— რას მოითხოვთ ჩემგან, უკვე 90 წლისა ხართ. მე ხომ გაახალგაზრდავებაში ვერ დაგეხმარებით.

— მართალია, ექიმო, — მორჩილად პასუხობს პაციენტი, — მაგრამ სავსებით დამაკმაყოფილებს, თუკი კიდევ უფრო მეტად დაბერებაში დამეხმარებით...

***

— საღამოს შემოიარე, ცოლი შინ არ იქნება, დავლიოთ.

— სჯობს, შენ რომ არ იქნები, მაშინ შემოვივლი...

***

— თოვლის კაცის ფეკალიები ხომ არ გაქვთ?

— არა, მაგრამ მაქვს იმ კაცის ფეკალიები, ვინც თოვლის კაცი ნახა...

***

— საინტერესოა, არსებობს ფილმი, „რა უნდათ ქალებს" და არავის გადაუღია ფილმი, „რა უნდათ მამაკაცებს". რატომ?

— ცდები, ასეთი ფილმები არის და ძალიან ბევრი, ცალკე ინდუსტრიაც კი არსებობს...

***

— პოპ-მუსიკა არასაიმედო ბიზნესია, დღეს უნიჭო არარაობა ხარ, ხვალ მილიონების კერპად შეიძლება იქცე...

## ტესტი
## როგორი აღმზრდელი ხართ



1. აქვს თუ არა თქვენს ბავშვს საკუთარი ოთახი? (დიახ 3, არა 1)

2. თუ უთმობთ ბავშვს ყურადღებას ყოველდღიურად? (დიახ 3, არა 1)

3. მოთმინებით თუ უდგებით ბავშვს, როდესაც ჭირვეულობს ან ცუდად ჭამს? (ყოველთვის 3, ხანდახან 2, არასდროს 1)

4. პატიობთ თუ არა ბავშვებს პატარა ცელქობებს? (ყოველთვის 3, ხანდახან 2, არასდროს 1)

5. თუ მიმართავთ დასჯის ფიზიკურ მეთოდებს? (დიახ 3, ხანდახან 2, არასდროს 1)

6. გინდათ თუ არა, რომ ბავშვმა ყველაფერი გაგიზიაროთ? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)

7. თუ რამეს უკრძალავთ ბავშვს, თუ უხსნით, რატომ? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)

8. თუ არის თქვენი შვილი დამჯერი? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)

9. თუ მოითხოვთ ბავშვისგან ყველა მოვალეობის შესრულებას, რაც მას აკისრია (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)

10. თუ ადევნებთ თვალს სპეციალურ პედაგოგიურ ლიტერატურას? (დიახ 3, ხანდახან 2, არა 1)

### პასუხები

**10-16 ქულა:** მგონი, არასწორად ზრდით შვილებს. რაც უფრო ნაკლებია თქვენ მიერ მოგროვილი ქულების რაოდენობა, მით უფრო მეტად მჟღავნდება ეს.

**17-23 ქულა:** თქვენი შეხედულებები ბავშვების აღზრდაზე ძირითადად სწორია, თუმცა ბავშვს მუდმივი ზრუნვა ესაჭიროება, თორემ პრობლემები გაგიჩნდებათ.

**24-30 ქულა:** როგორც ნიჭიერი აღმზრდელი, დიდ მადლობას იმსახურებთ, გიყვართ ბავშვები, გყოფნით მოთმინება მათთან ურთიერთობისას.

მოამზადა გენადი თვაურმა